


სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერატურული ჟურნალი




VII

სექტემბერი

VII

1913 წ.



შინაარსი: 1) მოტივები ფრიდრიხის ნიცხეს კულტურულ-პედაგოგიურ აზრებითან
6. ბ - ძე. 2) ბუნება და სამჯერნალო მეცნიერება, ჰიგიენა ტექ და მისი ჭარბი — ილ.
ალხაზიშვილი. 3) ფასხი ბირველი სკოლაა ბავშვისაოგის — ვანათში ნამყოფი. 4)
„გვეგასიური“ ენები და იაფეტურ ენათ მეცნიერება. — ნიკ. ჯორჯიერი. 5) ბუნება
ქართულ ენის ეტიმოლოგიურ შენიბისა (წერილი მეშვიდე) ქართული ბრუნვები განკვედე-
ბისა. — მ. ქ. უიფიანი. 6) ბუნებისემეტეველთა და ქეიმთა კრებაზე — ი. ნაკაშიძე. 7)
ასერული წარწერები ქართული ტომების შესახებ — ა. სვანიძე. 8) ჟერბარტ ჭავჭავაძის
„მიხეილ კრამერი“ ოთხ მოქმედებიანი დრამა (თარგმანი) — ივ. გომელაური. 9) კუ და
კურდევლი — ვაჟა-ფშაველა. 10) იდას ხსოვნას — რუს-იმერელი. 11) იროდიონ ეგ-
დოშვილს — ლალო გეგეჭიკორი. 12) უკანასკნელი ვედრება (ბიქოვიდან) კაონ ბაქ — ძე.
13) ამონავენები (დედის ძეითვასს ხსოვნას) — გულგატეხილი. 14) სიტევა თქმელი
სწავლის დაწეების წინ 1913 წ. ენეგნისთვის ვ — დეკ. პ. ცინცაძე. 15) წინაშედვარიანთ
კარის სამეურნეო სკოლა — სფიმონ ხუნდაძე. 16) შინაური მიმთხილვა — მეოვალურე.
17) კრიტიკა და ბიბლიოგრაფია — ილ. ალხაზიშვილი. 18) დამატება; ცნობები ქ. შ.
წერა-კითხების გამავრცელებელი საზოგადოებისა: კავკავის ქართული სკოლის 1911—1912
სამისწავლო წლის სწავლა-აღზრდის ანგარიშები, სოხუმის განეოფიციების 1912 წლის
მოქმედება და განცხადებანი.

ვინაიდან მე ამა 1913 წლის შაისილან ანში არ ვიმყოფები, ვთხოვ
ამ წლის „განათლება“-ზე დ. ანში ჩემთან ხელის მომწერთ, რომ რე-
დაქციის ყოველგვარი ანგარიში გაასწორონ ისევ ანში სერგო რუხა-
ძესთან. მასვე უნდა გადასცენ ფული. — ვისაც წრევანდელი უურნალის
ფასი სრულად, ან სულაც არ გადაუხდიათ...

დ. თნში უოფილი აგენტი ეურნალ „განათლების“ ილია გოგია.

რედაქციამ დაუგზავნა თავის აგენტებს ახლად გამოსული წიგნი განსვენებუ-
ლის იაკობ გოგებაშვილის სახსოვრად. ამ წიგნის შეძენა შეიძლება: კავ-
კავში — ვ. ბურჯანაძესთან, ბაქოში, მეთ. კაკაბაძესთან, ქართულ სკოლაში,
თელავში — ნინო გონიაშვილთან, გორში ნ. ლომოურთან, უვირილაში ს. ორ-
ჯონიძესთან. სამტრედიაში წ. ჭ. საზ. კიოსკში. ხონში — ლ. ჩიმაკაძესთან. ახ.
სენაკში — სპ. ენუქიძესთან. აბაშაში ვ. ქობულიასთან, ბათომში — წიგნის მაღა-
ზია „განათლიდი“ ფოთში მღ. ლ. წულაძესთან, ლანჩხუთში მ. იმნაძესთან. ახალ-
ციხეში კ. გვარამაძესთან. ოზურგეთში — დ. თალაქვაძესთან სოხუმში ნიკო ჯა-
ნაშიასთან. ჩოხატაურში ს. თავათრექილაძესთან, სურამში ნატ. გიგაურთან. ან-
ში დ. კერქელიძესთან ზუგდიდში ელენე ვასაძესთან. ქუთაისში ის კვიცარი-
ძესთან, ჭიათურაში ი. გომელაურთან.

რედაქცია აცხადებს, რომ „განათლების“ იანვრის ნომერს ვერავის გაუგ-
ზავნის, რადგანაც ეს ნომერი აკრძალეს და წაიღის მთლიან და დაბრუნების
იშედიც არ არის.

ՀԱՅՈՂԱՎԱՐ

(ବ୍ୟାଙ୍ଗନିର୍ବଳାଙ୍ଗ ମହାକଳେ)

VII

სეკტარები

1913 6.

კურნალი წლიურად ღირს 4 მან.
ნახევარი წლით . . . 3 მან.
სახალხო სკოლების მასწავლებლებს
კურნალი დაეთმობათ წლიურად
3 მან.

ବ୍ୟାଲକ୍ଷ୍ମୀ ନନ୍ଦ
ରହୁ ଫ୍ରାଙ୍କ

ხელის მიწვრა მიიღება **თბილისში**, „წერა-
კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. და
„ნაკადულის“ რედაქციაში. წერილები და
უურნალის ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ად-
რესით: **Тифлисъ. Дворянская Грузинская**
Гимназія. **Л. Г. Бოцвадзе.**

მოტივები ფრიდრიხ ნიცეს კულტურულ-
ექივაგრაფიულ აზრებიდან

Nur zum Schaffen
sollt ihr lernén.

Zarathustra.

¶ ბსენის დრამის გმირი პერ-გუნტი ლალად გატარებულ ცხოვრების შემდეგ უკვე ღრმად მოხუცებული სახლში ბრუნვდება. გატაცებული ეგოისტურ ლტოლვი-ლებით ბელნიერებისადმი, მზრუნვივი მხო-ლოდ და მხოლოდ თავის საკუთარ „მე“-ზე, კმაყოფილი თავისი თავის, ის არასოდეს არ მიღიოდა იმ გზით, რომელიც მისი აზრის, მისი დანიშნულების განხორციე-ლებამდის და საკუთარ „ცხოვრების სი-მართლემდის“ მიიყვნდა. უხვად დაჯილ-დოვებული ბუნებისაგან, „ლვთიური მად-ლით ცხებული“, მაგრამ უხსიათო, სუს-ტი ნების პატრონი, მშენება, მხოლოდ

იმიტომ სკეოვრობდა, რომ თვისი ურიც ხვი სურვილი, ვნებათ ღელვა, მისწრაფება, თვისი ლტოლვილება, განხრახვა, მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა. მოელი სიცოცხლის განმავლობაში ის „ის“ არ იყო, რაც უნდა ყოფილიყო; თვისი საკუთარი „მე“ დაამახინჯა, დალუპა; ყოველთვის თავის თავზე მზრუნავდა დაჰკარგა თვისი პიროვნება, და აი, როდესაც მოხუცი ცეცხლისაგან გადამწვარ ტყით სახლისკენ მიეშურება, საიდან დაც მოესმის მას უცნაური ხმა, არც თუ ბავშვის ტირილი, არც თუ მღერა. ეს ბუნების ქვითინა; იგი ჰგლოვობს დაღუპულ

სიცოცხლეს, ამტკუნებს ჭაღარა მგზავრს, რომ მან თვისი ცხოვრება ფუჭად, ამაოდ ჩაატარა. ნისლი მიმოღის მის ფეხთა ქვეშ და იღუმალად ებუტბუტება მას: „ჩვენ აზრნი ვართ, რომელიც შენ ბოლომდის ვერ განსცვრიტე“; ჭარისაგან დაფორია-ქებული, გამხმარი ფოთლები ჩურჩულე-ბენ: „,ჩვენ სიძლერიანი ვართ, რომელნიც შენ არ იძლერე“; ნამის ცვარნი ხის ტოუტებიდან ცვივიან და ჩუმად ქვითინებენ: „,ჩვენ ცრემლნი ვართ, რომელნიც შენ არ წარაფრქვიე“; ხის დალეშილი ტოტები ამბობენ: „,ჩვენ საქმენი ვართ, რო-მელნიც შენ ვერ შეასრულე“.

ამ გვარად ცხოვრებამ უნაყოფოდ გან-ვლო, ჩაინთქა, უბოლოვო არა არის რა, პერ გუნტი გრძნობს, რომ ის არარა არის, რომ მასში მოკლულია პიროვნება, რომ მთელი მისი ცხოვრება უშინაარსოა; თავის თავს იგი ხახვის თავს ადარებს, რომელიც ფურცელ-ფურცელ შეგიძლიანთ ბოლომ-დის დაშალოთ, მხოლოდ გულს კი მაინც ვერ უპოვნით. და ით თავის საფლავის წარწერას თვითონვე ჰქმნის: აქ განისვე-ნებს არარა.

როდესაც იბსენი ასეთ მსჯავრს სდებს ადამიანს, რომელმაც თვის დანიშნულებას უმტკუნა, აშით ის მუშაობისკენ იწვევს ადამიანის პიროვნებას, იხმობს მას სუ-ლიერ ძალთა განვითარებისკენ, მშვენიერებისკენ.

ამ დიად ძახილს ბანს აძლევს კაცო-ბრიობის მეორე დიდებული აღმზრდელი, იბსენის სულის მონათესავე, ფრიდრიხ ნიკუშე. ბრანდის სიტყვები: როგორიც გინდა იყავი, ოღონდ იყავი სრული პი-როვნება, ძლიერად ისმოდა აგრეთვე ნიკუშეს ბაგედან. „,სკან შენი თავი და შენის არსებიდან შეჰქმენი ის, რაცა ხარ, უაღრესობამდის განავითარე, რაც კი შენ-

ში ძვირფასია, იცხოვრე შენის სიმართ-ლის განხორციელებისათვის, არ უმტკუ-ნო შენს თავს, ყველგან და ყოველთვის იყავი ის, რაცა ხარ“. ით რას გვამცნევს ნიკუშე; ამ გვარად უნდოდა მას ადამიანის აღზრდა; იგი თავის უფლებად და მოვა-ლეობად სთვლიდა სწავლებას, ჭაღაგებას, მოხმობას, ის მასწავლებელი იყო მთელის თავისი არსებით. ზარატუსტრა თავის თავს საუკეთესო მასწავლებლის სახელს უწო-დებდა.

ნიკუშეს აზრით სწავლა-აღზრდის საქმე მეტის-მეტ უნუგეშო მდგომარეო-ბაშია. იგი ჯანყით არის მოცუ-ლი. აღზრდის არსებული ფორმა, პრინ-ციპი დახავსებული აზრების მეფობაა; ყო-ველივე ეს ხელს უშლის ინდივიდუალო-ბის განვითარებას, ორგინალურ პიროვ-ნების შექმნას და ამიტომაც არსებითად ყველა ერთი მეორეს წააგავს. ხალხი წვრილმანდება იმის და მიუხედავად, რომ იგი მრავალ ცოდნას იძენს; ცხოვრება კი დღითი დღე დარიბი, უფერული, მოსა-წყენი ხდება. ცოდნის შექმნით ადამიანს არ უვითარდება ნება, ხასიათის კეთილ-შობილება. გასაოცარი უთანმოება ცოდ-ნისა და სულიერ, ზნეობრივ და რელი-გიურ ცხოვრების შორის გვიმტკიცებს, რომ პიროვნება ქუცმაცდება; იგი თით-ქოს პატარ-პატარა ნაწილებისაგან არის შემდგარი. ზარატუსტრა ადამიანს ექებს, ის კი მხოლოდ ნაკუშებს ჰპოვებს. მთლია-ნი, ძლიერი, ავტონომიური პიროვნება არსადა სხანს. ტეხნიკის და ცივილიზაციის განვითარება არ არის სულიერი კულტუ-რის ზრდა. ცივილიზაციის წინ სვლით ადამიანი არ გამდიდრდა რაიმე შესანიშ-ნავი, იშვიათი თვისებით, იგი მხოლოდ ნასწავლი, პრაქტიკული და გაიძვერა გახდა. მან არ იცის სიყვარული, გატაცება, გამბე-



დაობა, პირ-იქით, იგი უფრო ფრთხილი და ზომიერია. გულის თქმას აღარ მისდევს, არამედ ყოველივე მისი მოქმედება ანგაუ ჩიშით არის გამოწვეული; მას არ შეუძლიან უშიშრად გაჰყვეს იმ გზას, რომელიც მის „გენიას“ ანგითარებს, ანგითარებს მის არსებაში ჩაქსოვილ სულიერ ძალას. პერ გუნტისავით მასაც არ შეუძლიან თვისი სურვილი სისრულეში მოიყვანოს, იმიტომ რომ ეს ძნელია, უხერხული და საშიში, იგი ამ გზას გვერდს უხვევს, მისი „გენია“ კვდება, სული ჰქრება; მას პერ გუნტის საქმე ემართება: მრავალი განუჭვრეტელი აზრი კვდება, საქმე იმარხება, ცრემლი შრება, სიმღერაც ჰქრება და დედა-მიწას სიბძელე, სიცოვე იცავს. ამ დაცემის მიზეზს ნიცვე ცუდ აღზრდაში ეძიებდა და ამიტომაც მის ძირითად რეფორმაზე ბევრს ფიქრობდა. იყო დრო, როდესაც ეს ფიქრი იცავდა მთელს მის არსებას.

„ყველაფერი აღზრდაშია“, ამბობდა ნიცვე. მეგობრებთან საუბრის დროს ხშირად ეხებოდა ამ საკითხს და ცხარედაც მსჯელობდა. რიხარდ ვაგნერის კითხვაზე: „როგორ მიღის ჩვენი სკოლების საქმე“, მან ლექციებით უპასუხა, რომელიც ბაზელის აკადემიურ საზოგადოებაში წარკითხა შემდეგი სათაურით: „მომავალი ჩვენი განმანათლებელ დაწესებულებათა“. ამ ლექციებით ის ცხარე პროტესტს უცხადებს საზოგადოების უპატიონსნებას, რომელიც ხედავს თანამედროვე სკოლის უვარებისობას, დალუპვას, მაგრამ ხელსაც არ ანდრევს საქმის გამოსაბრუნებლად. ნიცვე კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს გერმანულ გიმნაზიებს და უნივერსიტეტებს, რომელთაც თავი მოაქვთ, როგორც განათლების მთესველობა.

განათლებული ადამიანის სახელი მხო-

ლოდ მას ეწოდება, რომელიც თვისი ერის და კაცობრიობის სულიერი ინტერესებით სცხოვრობს. განათლების მიზანს მრავალი ცოდნის შეძენა კი არ შეადგენს, არამედ მომზადება ცხოვრებაში სამოქმედოთ, მისწრაფება მაღალ მიზნისადმი. საზოგადოების განათლებას და კულტურას ნიცვე იმითი ზომავს, თუ როგორ ეპყრობა იგი თავის საუკეთესო შვილთ, რამდენად ძლიერად უყვარს ისინი და როგორ ისწრაფის მათ მიზნის განხორციელებისაკენ. ამ გვარცეცხლით აღზნებულ მოქმედ პირთა აღზრდას უნივერსიტეტი და გიმნაზია სრულიად ხელს არ უწყობს; მაშასადამე, არც ერთი და არც მეორე არ ძლიერს ადამიანს ჰეშმარიტ განათლებას, არამედ სძენს მას მხოლოდ პრაქტიკულად სასარგებლო ან და აბსტრაქტულ ცოდნას, რომელიც არავის არავითარ მოვალეობას არ აკისრებს. ნიცვეს იდეალს ნასწავლი თეორეთიკი კი არ შეადგენს, არამედ მოქმედი პიროვნება; იგი გულ-გრილ მაყურებელს კი არ ეძებს, არამედ ცხოვრების შემოქმედს, უქმობს არა ცხოვრების კრიტიკის, არამედ საქმის ადამიანს; მასში ზიზღს იწვევს მშიშარა პედანტი, რომელიც ყოველივე მოვლენას ფრთხილად სწონავს და მოსწონს უშიშარი, გაბედულად წინ მიმავალი გმირი; ჰკიცხავს რეალისტ-კარიერისტს და მოსწონს პირად ბედნიერების მგმობელი-იდეალისტი, რომელიც არ ეძებს ბედნიერებას და კეთილდღეობას, იდეალად თბილი ბული მოწყობა არ გაუხდია, მაგრამ ღრმა სიყვარულით კი უყვარს ცხოვრება მთელი თავისი ქარ-ბუქით, უბედურებით, ტანჯვით და მზად არის მტკიცედ შეხვდეს ცხოვრების ყოველივე უკულმართობას. რაღა თქმა უნდა, რომ ნიცვე უარპყოფა და თანამედროვე სკოლას, რადგანაც ხე-



დავდა, რომ იგი ვერ ასრულებდა თავის დანიშნულებას. ის დარწმუნებული იყო, რომ სკოლა ჰქონდა ცკლაგვი დამიანში ყოველივეს, რაც კი ლამაზ და მომქმედ ცხოვრებისათვის არის საჭირო. , სკოლა მხოლოდ წუთიერ ინტერესებს ემსახურება, — ამბობს ნიკიშე, — სკოლა არაფერს იძლევა, რასაც კი სამარადისო ღირებულება აქვს; მას არ შეუძლიან გააღვიძოს და განავითაროს ის სულიერი ძალა, რომელიც კულტურულ შემოქმედებისათვის არის საჭირო, რადგანაც იგი ემორჩილება ხან სახელმწიფოს და ეკლესიის მოთხოვნილებას, ხან რამე პარტიულს და ხან კიდევ ვაჭრის მერქანტილურ ინტერესებს. მართალია, ნიკიშე თანამედროვე სკოლის ღირსებასაც აღიარებს, მაგრამ ის, რასაც სკოლა იძლევა, არის მხოლოდ „, საშუალება ცხოვრების გაჭირებასთან საბრძოლველად. ჭრიანიტ განათლებას იგი არ იძლევა. ამის მიზეზი ის არის, რომ სკოლა და შორებულია ცხოვრებას, მის სულიერ მოძრაობას, ამას გარდა იგი უყურადღებოდ სტოვებს განათლების ერთ ერთ უდიდეს ფაქტორს — ხელოვნებას. თვითონ ცხოვრება საუკუთხსო მასწავლებელია, მაგრამ ჩვენი გამოცდილება ცხოვრებაში მცირეა, შეზღუდული და ამის გაფართოვება და შევსება შეუძლიან მხოლოდ ხელოვნებას. ცხოვრებისა და ხელოვნების შუა და შორებით მეტი ორგანიული კავშირია, ვიდრე ცხოვრებისა და მეცნიერების შორის. მეცნიერება ხსნის ცხოვრებას, ხელოვნება კი ჰქმნის მას. მეცნიერებაში ცხოვრებაზეა ლაპარაკი, ხელოვნებაში კი თვით ცხოვრება ლაპარაკობს, მისი ხმა ისმის. ნიკიშეს აზრით ხელოვნების განმანათლებელი ძალა ძლიერია მეცნიერებისაზე. საუბედუროდ, როგორც საშუალო, აგრეთვე უმაღლეს სასწავლებელში ხელოვნებას უკანასუ

კნელი ალაგი აქვს მიჩენილი, რამდენიმეად და შორებულია, ამბობს ნიკიშე, — ცხოვრებასა და ხელოვნებას მაგ. ტიპიური მასწავლებელი გიმნაზიისა, ფილოლოგი!“ მისი აზრით 100 ფილოლოგ მასწავლებლიდან 99 უვარებისია. როგორ შეიძლება ადამიანმა გაიგოს ათინური დროის სული, როდესაც თვისი დროისა არა ესმის რა. მისი განჭვრეტია, გაგება შეუძლიან მხოლოდ მას, ვისაც ესმის თანამედროვე ცხოვრება, თვისი ხალხი, ვისაც უყვარს ეს უკანასკნელი მომქმედი ადამიანის სიყვარულით. განა თანამედროვე ფილოლოგი ჰგვანან ათინურ დროის დიად პირთა, რომ მათი სული შთაბერონ თავიანთ მოწაფეებს? მხოლოდ წიგნით ვერ გადასცემენ ამ სულს, მისი გაღვიძება შეიძლება ლამაზი ცხოვრების მაგალითთა. ჩვენი ფილოლოგნი მთელი თავიანთი არსებით სრულს წინააღმდეგობას წარმოადგენენ ძველის ბერძნებისას. ნიკიშეს მათდამი სიძულვილს საზღვარი არა აქვს. „ისინი მხოლოდ ყბედები, უბედურები, საზიზღარნი, საფთხურები, საბრალო ჰედანტები, მთავრობის მონანი, ფარისეველნი არიან“, ამბობს იგი. უნდა იცოდეთ, როგორ ღრმად და გატაცებით უყვარს ნიკიშეს კულტურის იდეა, მშვენიერი ცხოვრების იდეალი, დიდებულ პირთა შინაარსიანი სიცოცხლე, რომ გაიგოთ ზიზღი და სიძულვილი იმ პატარა კაცუნებისადმი, რომელნიც, აღბად ბედის უკულმართობის წყალობით, სწავლის საქმეს სათავეში უდგანან. ერთ დროს ნიკიშე გატაცებული იყო აზრით, მოემზადებინა მომავალი აღმზრდელნი; მას უნდოდა შეეძინა სახლი, დასახლებულიყო იქ თვისი თანამოაზრე მეგობრებით და დაესახებინა მმური კავშირი მასწავლებელთა და აღმზრდელთა. მას სურდა რამდენისამე

წლის განმავლობაში შეგობრების შემწეობით ხელი შეეწყო თვით განვითარებისათვის, უნდოდა თეორიულად განეხილა პედაგოგიური კითხვები, რომ შემდეგ შესდგომოდა ნორჩ თაობის აღზრდას. ნამდვილ აღმზრდელად ნიც შეს აზრით შეუძლიან იყოს მხოლოდ მთლიანს, ძლიერს და თავისებურს პიროვნებას. რაც უფრო ორგინალურია პიროვნება, მით უფრო მეტი გავლენა აქვს მას მოზარდ თაობაზე.

როდესაც მას „თვისი სიმართლე“ ეყვარება, ის ეცდება შეგირდში ჰპოვოს ის, რაც მასში ყველაზე უფრო ძლიერი და კარგია; და აღზრდაც სწორეთ ბავშვის თვისებათა მიხედვით იქნება წარმოებული. ნიც შე ღრმა და წრფელი პატივისცემით ეცყრობოდა ყოველივე პიროვნებას; ამასვე თხოულობდა ყველა აღმზრდელისაგან. მასწავლებელი, რომელიც მხედველობაში არ იღებს ბავშვის ინდივიდუალურ თვისებებს, არამც თუ რაიმე კეთილ შედეგს ახწევს, არამედ ცოდოს იდებს კისრად თვისი მოქმედებით; იგი ხელს უწყობს პიროვნების დაქუცმაცებას; არტულობს „მრავალთა“ რიცხვი, რომელ-ნიც „ნახირს“ შეადგენენ.

ყველა ადამიანში წმინდა ცეცხლი ანთია, თუნდ იგი მცირედიც იყოს. იმის მაგიერად, რომ ეს ცეცხლი გააღვიონ, სწორედ ისინი აქრობენ, ვინც მის დარჯად არიან ხმობილნი. მასწავლებელს და მშობელსაც უნდა უხაროდეთ, როდესაც ისინი ბავშვს რაიმე არა ჩვეულებრივ თვისებას ამჩნევენ, როდესაც იპოვიან მის არსების შინაარსს; აი სწორედ აქედან უნდა გამომდინარეობდეს ბავშვის აღზრდაც. ნიც შეს სძულს ჰერბარტის და მისი მოძღვრების მიმდევართა მოთხოვნილება; როდესაც ისინი ამბობენ, რომ აღმზრდელმა

თანაბარი ინტერესი უნდა გაუდვიძლოს მოზარდს ყველა საგნისადმი გაძმომნისულ განათლების დასამყარებლად, ნიც შე, პირიქით, თხოულობს, რომ უპირველესს ყოვლისა ძალა იქმნას განვითარებული, რომლის გასაძლიერებლადც ბუნებას ნიადაგი მოუქმნადებია ბავშვის არსებაში. შეგირდის „სუბექტიური ცალმხრივობა“ ნიც შეს აზრით საუკეთესო მასალაა აღმზრდელისათვის. ბავშვის ორგინალურმა, განსაკუთრებულმა თვისებამ უმთავრესი ალაგი უნდა დაიჭიროს მის სულიერ განვითარებაში. რაღა თქმა უნდა, რომ გონიერი მასწავლებელი ამ ნიჭის გასავითარებლად სხვა ნიჭით გზას არ დაუხშობს. მხოლოდ ამ გზით მასწავლებელი გარდაქმნის ბავშვის სულიერ ცხოვრებას „მზის მწყობრ სისტემად და ჰპოვებს მის მექანიკის უდიდეს კანონს“. ის ადამიანი, რომელიც მოკლებულია ამ ცენტრს, ჰგავს უფესვო ხეს; იგი ვერასოდეს ვერ მოიპოვებს მკვიდრს ნიადაგს; მას არ ექნება თავისი „პო“ და „არა“, მოკლებული იქნება თავის აზრს და გემოვნებას; ის ვერასოდეს ვერ იქნება მთლიანი პიროვნება, შემომქმედი, ახალ ლირებულებას ვერ წარმოშობს, ვერ იტყვის ახალ სიტყვას, ხალხს ვერ მისცემს ახალ აზრს. ნიც შეს კარგად ესმის, რომ ინდივიდუალობის პრინციპის აღვრა დაშორებით ადვილია, ვიდრე მისი შესრულება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ თვით პედაგოგნი ამ ღიად და პასუხ-საგებელ მუშაობისთვის მზად არ არიან.

თვით აღმზრდელნი არიან პიროვნება? კითხულობს ნიც შე; ან ახლო კი არიან იმ იდეალთან, რომელზედაც ისინი ყრმათ უთითებენ? ჯერ თვით მასწავლებელი-აღმზრდელი უნდა იყოს ახალი ლირებულების შემქმნელი; ძველში და უკვე კარ-

გად ნაცნობში მან ყოველთვის ახალი თვისება უნდა ჰქოვოს; როდესაც პედა-გოგი ამას ჰქოვებს, მაშინ ის ასწავლის ყრმათ სილამაზის და სიმდიდრის დანახვას იქ, საღაც ამას სხვანი ვერა ხედავენ, მასწავლებელი უნდა სკრინბდეს ცხოვრებას, მას ხალხი უნდა უყვარდეს, მისი ცხოვრება იდეური, ლრმა აზროვანი უნდა იყოს, ამასთანვე იგი დაჯილდოვებული უნდა იყოს მხატვრული ნიჭით — ყოველივე საგანი და მოვლენა აქციოს სიმბოლოდ, დაანახვოს ტიპიური და სამარადისო შემთხვევითში და გარდამავალში. მან უნდა აგრძნობინოს ლრმა აზრი და სიმშვენიერე სრულიად მარტივისა და ჩვეულებრივი მოვლენისა. უკვე ცნობილი მან ისე უნდა გარდაქმნას, რომ იგი სრულიად უცნობად მოაჩვენოს, ყოველისფერი ისე უნდა გადასცეს ხალხს, რომ ნათქვამის სილრმეში სიმარტივე არ გამოსციოდეს და სიმარტივეში — სილრმე, იგი უნდა მოქმედებდეს, მხოლოდ მაშინ ასწავლის სხვასაც ცხოვრებას, მისი სწავლა უნდა იყოს გამომხატველი მისი ცხოვრებისა, იგი არამც თუ ჭკვიანი უნდა იყოს თვის შეგირდზე, არამედ მასზე უკეთესი, ძლიერი სულით, მდიდარი სულიერი საუნჯით, ძლიერი ნებით და ხასიათით. აი როგორ იდეალურ მასწავლებელზე მიგვითითებს ნიცშე. გატაცებული ამ იდეალით, იგი უკველა პედაგოგში მხოლოდ ნაკლულევანებას ხედავს. როგორც ყოველთვის, ისე ამ შემთხვევაშიაც აღზრდის კითხვის შესახებ ცხარედ მსჯელობს და თავის დაკვირვების შედეგს მკაცრი სიტყვებით გამოსთქვას. მკითხველი, რომელიც არ იცნობს ნიცშეს მსოფლ-მხელველობას, მის ბუნების და აზროვნების კილოს, უკუ აგდებს წრე გარდასულს სიმკაცრეს, ზოგიერთი სრულიადაც უარპყოფს მის აზრს,

რადგანაც არ ძალუს შეიგნოს, მისი მოძღვრების შინაარსი. მართლაცა და ნიცშე არაფერზე ისე სასტიკად არ მსჯელობდა, როგორც სკოლისა და პედაგოგთა შესახებ. ნიცშე ბუნებით და აზროვნობით მხატვარი, აღზრდის კითხვების შესახებაც ისე მსჯელობს, როგორც იდეალისტი, პოეტი და არა, როგორც რეალისტია პრატიკი. მისგან მოსალოდნელი არ არის სასკოლო რეალურ კითხვების გადაწყვეტია. ნიცშეს უნდოდა მხოლოდ შეექმნა იდეალი, მიმართულება და დაენახვებინა თუნდა, მიუწდომელი მიზანი. ის მსჯელობს იმაზე, რაც უყვარს და რაც ეზიზლება; მიგვითითებს იმ მასწავლებელზე, რომელსაც სიხარულით მიანდობდა ყრმათა აღზრდას, რომელნიც შემდეგ შესძლებდნენ კულტურის უმაღლეს მიზნის განხორციელებას. იქ, საცა ნიცშე მომავალ სკოლების რეალურად მოწყობის შესახებ მსჯელობს, მართლაც ისეთს არას იძლევა, რასაც პედაგოგი-პრატიკი ანგარიშს გაუწევდეს. ნიცშეს საქმე არ არის სახელმძღვანელო წიგნების შედგენა, დაწუნება ან მოწონება სწავლის ამა თუ იმ მეთოდისა; ჩვენ მხოლოდ იმას უნდა მივუღდოთ ყური, თუ რა მიზანს უსახავდა იგი აღმზრდელს; არ უნდა გვეშინოდეს მისი მკაცრი მსჯელობისა, ცალმხრივობისა, არსებულის უსამართლო კრიტიკისა. ნიცშე გრძნობდა, რომ იგი სკოლასა და პედაგოგთა მეტად სასტიკად ეპყრობოდა; თუმცა შემდეგ კი გამოსთქვა ის აზრი, რომ სკოლის დაჭვებითების მიზეზი საზოგადოებაა, რადგანაც სკოლა მის ინტერესებს და მოთხოვნილებას ემსახურება; საზოგადოება კი მხოლოდ უტილიტალური მოტივებით და წუთიერი ინტერესებით ხელმძღვანელობს, მას არ შეუძლიან შეიყვაროს აბსოლუტური და სამარადისო.

როდესაც საზოგადოება ლაპარაკობს სასუკოლო რეფორმაზე, მას მხოლოდ რეალური, პრაქტიკული ინტერესები აქვს მხედველობაში და არა კაცობრიობის ღიაღი იდეალი; საზოგადოების ის მოთხოვნილებაც კი, რომ სკოლამ ზეობრივად იმოქმედოს მოზარდ თაობაზე, ზომიერი ფილანტროპიზმით და ევდემონიზმით არის განუღენთილი. ნიცვეს მსოფლ-მხედველობა კი სწორედ ამ ევდემონიზმის წინააღმდეგია. „მე საქმეს ვეძებ და არა ბედნიერებას“, ამბობს ზარატუსტრა. „ვანა მე უპატიოსნო მოთამაშე ვარ?!“ კითხულობს აღმფოთებული ზარატუსტრა, როდესაც მას ბედი სრულიად მოულოდნელად ხელო უგდებს საჩუქარს. „სიკეთე მხოლოდ სიკეთეა, მე იგი მხოლოდ იმიტომ მიყვარს, რომ სიკეთეა და არა იმიტომ, რომ იგი ჩემს ან და ხალხის ამ ქვეყნიურ ბედნიერებას აორკეცებს“. ნიცვეს სურს გაუღვიძოს მომავალ თაობას სიყვარული სამარადისო და აბსოლუტურ ღირებულებისადმი და შეძენულობისადმი ამ ქვეყნიური ბედნიერება. მაგრამ უტილიტალური სული ძვალრბილში გასჯდომია ხალხს. იმის მაგივრად, რომ განათლება ხალხს მოევლინოს, როგორც განსხივოსნებული ღმერთ ქალა, იგი საზოგადოების გამხრწნელ გავლენის წყალობით ტლანქ მოსამსახურედ ქცეულა; საზოგადოებას სურს, რომ განათლებამ არამე საგრძნობელი, კონკრეტული სარგებლობა მოუტანოს აღამიანს, შეჰქმნას მოხელეები, რომელნიც თავიანთ თანამდებობას პირნათლად აასრულებენ. იქ, საკა ცხოვრება საკმარისს მასალას არ იძლევა, ყრმათა გონებაზე უნდა მოქმედებდეს ღიდუბენებოვან აღამიანთა მაგალითი, რომელთა ცხოვრებაც საფუძვლიანად უნდა ისწავლებოდეს.

— როდესაც ყრმა, ამბობს ნიცვე,—

გაეცნობა ღიდ პიროვნებათა ცხოვრებას, ნაწარმოებს, საქმეს და მთელის თავისი არსებით შეიყვარებს მას, მაშინ ეს ყრმა ხდება კულტურის თანამოაზრე. გენის სიყვარული, კულტი გენიალურ პიროვნებისა შეადგენს საძირკველს ნიცვეს კულტურულ-პედაგოგიურ აზრებისას. აქაც მის გატაცებული, ძლიერი პიროვნება მიღის უკიდურესობამდის. ჩვენს ღრმაში, როდესაც დემოკრატიზმს ღრმადა აქვს ფესვები გადგმული, როდესაც გენიალურ პიროვნებას ისტორიულ მსვლელობაში უკანასკნელი აღაგი აქვს მიჩნეული, ასეთი თაყვანისუმა გენიისა შეიძლება აღამიანს ანახრონიზმადაც ეჩვენოს. ვსოდებათ ყალბია ნიცვეს შეხედულება პიროვნების შესახებ: ვითომც მიზანი და უმაღლესი სანქცია კულტურისა დიად პიროვნებათა წარმოშობაში მდგომარეობდეს და ხალხი იმდენად არის ყურადღების ღირსი, რამდენადაც იგი მასალას წარმოადგენს გენის შემოქმედებისათვის; მაინც მისი კულტი გენისა მეტად ძვირფასი და პროგრესიულია აღზრდისათვის; უნდა გვახსოვდეს, რომ ნიცვე ფილოლოგი, მხატვარი და ლირიკი მუდამ ჩამოშორებული იყო პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას; ცხოვრების ამ მხარეს ცუდად იცნობდა, სკეპტიკურად უყურებდა მას და არა სწამდა სოციალური პროგრესი. ის სულ სხვა, ახალ ცხოვრებაზე ოცნებობდა, მთელის თავისი არსებით პროტესტს უცხადებდა თანამედროვე წესწყობილებას და რაღანაც თვისი მიზნის და ლტოლვილების განხორციელებისათვის სოციალურ პროგრესში ვერავით ნუგეშს ვერა ხედავდა, ამიტომაც შეჰქმნა „გენიოსი“, ტრაგიკული გმირი, „დიონისი“, „ზეპაცი“ და ამ „ზეპაცის“ შეჰქმნა ნიცვეს აზრით უნდა ყოფილიყო.



გიზანი კულტურულ-პედაგოგიურ მუშაოւ ბისა. ამ მუშაობისათვის უხმობდა ივი ყველას, იწვევდა „იქითა ნაპირს“, „შორეულ ზღვისაკენ, „საცა კაცობრიობას ჯერ კიდევ ბევრი აღმოჟენელი კუნძული დარჩენია“. „მე ვხედავ რალასაც, რაც ჩემზე უკეთესია; მოდით, გამიადვილეთ მასთან მისვლა, მე კი ჩემის მხრივ მას აღმოჟენ შველას, კინც ჩემსავით იტან-ჯვის, ჩემსავით გრძნობს; მაშინ და მხოლოდ მაშინ კვლავ მოგვევლინება ადამიანი, აღვსილი უსაზღვრო სიყვარულით, ყოვლის მცოდნე და მხილველი; იგი იქნება მსაჯული და დამფასებელი ყოველივე არსებულისა.“ როგორც ვხედავთ ნიკუშეს კულტი გენიალურ პიროვნებისა რამე განსაზღვრულ ისტორიულ-ფილოსოფიურ მოსაზრებიდან კი არ გამომდინარეობს, არამედ ოცნებიდან ზეკაცზე. შეიძლება არ განვიზიაროთ ნიკუშეს ოქონიული შეხედულება ისტორიის შესახებ, მაგრამ არ შეგვიძლიან არ თანაუგრძნოთ მის ოცნებას ზე კაცზე. მართლაც და გენიალურ პიროვნებაში შეგვიძლიან ვპოვოთ საუკეთესო მასწავლებელი და აღმზრდელი. მართლია, ღრმა და უსაზღვრო სიყვარული ერთი ადამიანისა მუდამ ცალმხრივი და უსამართლოა სხვების წინაშე, მაგრამ ღრმა სიყვარული, ნიკუშეს სიტყვით, მუდამ უსამართლოა. უფრო ძირიფასი საქმე საყვარელი ადამიანისა ძლიერ გვიყვარს; ვერც ერთი მხატვარი, — ამბობს ნიკუშე, ვერ შექმნიდა სურათს, ვერც ერთი მეომარი ვერ გაიმარჯვებდა ბრძოლაში და ვერც ერთი ხალხი ვერ მოიპოვებდა თავისეუფლებას, რომ მათ თავიანთ საქმე უსაზღვრო სიყვარულით არა ჰყვარებოდათ. ადამიანს თავისი საქმე უფრო ძლიერად უყვარს, ვიდრე ის ამისი ღირსია, და სწორედ ის საქმეა უმშვენიერესი,

რომელიც წმინდა სიყვარულის ნიადაგზე აღმოცენდება. ის სწორედ ამ წმინდა სიყვარულით უყვარდა ნიკუშეს შოპენჰაუერი, რომელსაც უწოდებდა თვის აღმზრდელს და მასწავლებელს. ნიკუშეს დამოკიდებულება შოპენჰაუერთან ნათლად გვისურათებს მის შეხედულებას საზოგადოდ სწავლა-აღზრდის შესახებ და ამიტომაც ამაზე უფრო დიდხანს შევჩერდებით. ნიკუშე ამბობს, რომ ყველაზე დიდი ბედნიერება, რომელიც მან მთელს თავის სიცოცხლეში განიცადა ის არის, რომ თვის მასწავლებელთა შორის მას შეეძლონ დაესახელებინა შოპენჰაუერიც. ნიკუშესათვის უმთავრესი მნიშვნელობა შოპენჰაუერის სწავლას კი არა ჰქონდა, არამედ ძალას, სიმტკიცეს და სიმართლეს მთელის მისის პიროვნებისას. „თავდაპირველად, — ამბობს ნიკუშე, — გვიყვარს ფილოსოფიასი, გვწამს თვითეული მისი სიტყვა. შემდეგ ვამბობთ: დევ ხერხი, რომლითაც იგი თვის დებულებებს ამტკიცებს, სწორე არ არის, სამაგიეროთ თვით დებულებაა სწორე. ბოლოს კი ასე ვმსჯელობთ: ჩვენთვის მნიშვნელობა არა აქვს იმას, თუ რას გვამცნევს მეცნიერი თავისი სწავლით, ჩვენთვის უმთავრესია მისი ბუნების შინაარსი, რომელსაც მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ასს ფილოსოფიურ სისტემას ერთად. რასაც ის გასწავლის, შეიძლება მართალიც არ იყოს, სამაგიეროდ მთელი მისი არსებაა მართალი და ესეც საკმარისია. თვით ფილოსოფიაში არის რალაც, რაც არც ერთ ფილოსოფიაში არ მოიძებნება: მასში არის წყარო მრავალი ფილოსოფიისა, დაიდი პიროვნება. მაშინადამე ნიკუშესათვის უმთავრესი შოპენჰაუერის სწავლა კი არ არის, არამედ მისი გენიალური პიროვნება, მისი დამოკიდებულება ცხოვრებასთან, ცხოვრების პრობ-

ლემებთან, გაბედულება და სიპატიოსნე მისი აზროვნებისა. ნიკუშე ამბობს, რომ შოთან ჰაუერმა მას ასწავლა სიპატიოსნე, „თვისი ცხოვრების სიმართლის“ განხორციელებისათვის ბრძოლა; ეს კი ყველაზე ძვირფასია, რასაც მასწავლებელი ასწავლის თავის მოწაფეს. მაგრამ, როგორ უნდა ჰქონოს ადამიანმა „თვისი ცხოვრების სიმართლე“, თვისი მოწოდება, დანიშნულება, კითხულობს ნიკუშე. ამის საუკეთესო საშუალება შემდეგია: — მიმოიხედე — ეუბნება ნიკუშე თავისი თავის და თავისი დანიშნულების მაძებარს, გადახედე შენს ცხოვრებას და გამოარკვიე, რა უფრო გიყვარდა აქამდის, რა აღფრთოვანებდა შენს სულს, რა ხდიდა მას ბელიერად. ამ საქმეში კი შეუძლიან დაგეხმაროს შენი აღმზრდელი და ხელმძღვანელი. თუ ის შენი მეგობარია, გადაგიშლის შენის არსების შინაარსს, შენს სულს; გადაგიშლის მას, რაც უიმისოთ შენთვის შეუმჩნევილი დარჩებოდა. ამ შემთხვევაში შენი აღმზრდელი იქნება შენი განმათავისუფლებელი. როგორც ერთ ერთი თავისი „განმათავისუფლებელი“ ნიკუშე უკარდა შოთან ჰაუერი. მან ყველაზედ ძლიერ განაღვიდა ნიკუშეში სურვილი დარჩენილიყო ის, რაც იყო. გამოჩენილი მწერლები და მეცნიერნი თვითეულ ადამიანის ცხოვრებას განუმეორებელ სასწაულად სოვლიან. ისინი თვალ-წინ გვიშლიან ადამიანის ბუნებას მთელის თავისი თვისებებით და გვიჩვენებენ მის სილამაზეს; ისინი გვიშლიან მოულოდნელს და მარად ახალს ინტერესს, რომელიც მის არსებაშიაც ისევეა ჩაქსოვილი როგორც ბუნების სხვა მოვლენებში. ამ გამოჩენილ მეცნიერთ სძულოთ არა ადამიანი, არამედ მისი სიზარმაცე, რაფგანაც მხოლოდ სიზარმაცე ზღვის ადამიანს უპიროვნოდ.

ადამიანს თუ უნდა ადამიანად დარჩეს; უპირველეს ყოვლისა უნდა უკუ გდოს სიზარმაცე და ყური მიუგდოს თავისი სინდისის ხმას. „იყავი ის, რაცა ხარ! — ამბობს ნიკუშე, — რასაც ეხლა ფიქრობ და აკეთებ, რისაკენაც მიისწრაფი — ეგ ჯერ შენ არა ხარ“. ნიკუშეს სურვილი იყო, ყრმას დამოკიდებულება ჰქონოდა იმ ადამიანთან, რომელიც სიმართლისა და პატიოსნების განსახიერება იქნებოდა. ამ გვარი პირნი მოიპოვებიან არა „გამოჩენილ ადამიანთა შორისაც. ყველაზე ძვირფასი, რასაც ხანდისხან სკოლა იძლევა, არის შეგობრული განწყობილება საყვარელ მასწავლებელთან, რომელიც დაჯილდოვებულია სპეტაკი. სულით და მთლიანი პიროვნებით, ნიკუშე ამისთანა პიროვნებისთვის დარღობდა, მას ეძიებდა და იგი შოპენ ჰაუერში ჰპოვა; მის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. „როდესაც შოპენ ჰაუერის თხზულების პირველი გვერდი წავიკითხე, — ამბობს ნიკუშე — იმავ წუთს ჩემში დაიბადა ულრმესი ნდობა მისდამი; იგი ისე მესმოდა, თითქოს ყოველივე სიტყვა სპეციალურად ჩემთვის იყო დაწერილი, თითქოს თვისი ნაწერით სცდილობდა ჩემი სული ნათელ ეყო. — არიან მწერლები — ამბობს ნიკუშე — რომელნიც არავითარ ნდობას არ იწვევენ, იმიტომ რომ თავიანთი აზრის ღრმა რწმენა თვითონაც არა აქვთ, — მათ უნდათ მხოლოდ შთაბეჭდილება მოახდინონ, ლამაზი სიტყვებით მკითხველნი დააბრმავონ. შოპენ ჰაუერი კი შთაბეჭდილებაზე არასოდეს ფიქრობდა, ის თითქოს თავის-თვის სწერდა. შოპენ ჰაუერი თითქოს თავის თავთან ბასობს, ან არა და იგი მიაგავს მამას, რომელიც შვილს დარიგებას აძლევს. სიმშვიდე და ძალა, რომელიც ავტორის სიტყვებში ისმის, ჰეიბლავს ადა-

მიანს, ჩვენ თითქოს დაბურულს ტყეში მივდივართ, საცა წმინდა ჰაერს მთელის ჩვენის არსებით ვსუნთქავთ და ადამიანს იცავს გრძნობა უსაზღვრო ბეღნიერებისა”.

წრფელის გულის გარდა ნიცშე შოპენ-ჰაუერის თვისებათა შორის აღნიშნავს აგრეთვე სიმხიარულეს და სიმხნევეს. როდესაც ჰეშმარიტი მოაზროვნე—ამბობს ნიცშე, რასმე გამოსთქვამს, იქნება ეს ულრმესი აზრი, ხუმრობა, აღტაცება თუ ზიზლი, იგი ყოველთვის გვამხიარულებს და გვაფრთოვანებს. იმის სახეზე ვერ ვხედავთ დაღვრემილობას, ხელებიც არ უკანკალებს, თვალები ბუნდით არა აქვს მოცული, იგი მარტივად და ღრმა რწმენით, ძლიერად და წრფელის აღფრთოვანებით ლაპარაკობს, ხანდისხან მის ხმაში მკვახე, მძაფრი კილოც მოისმის, მაგრამ მისი ხმა, ყოველ შემთხვევაში, არის ხმა გამარჯვებული ადამიანისა. და აი ეს სურათი ძლევა მოსილი ღმერთისა და მისგნით დამარცხებულ არსებათა, იწვევს ადამიანში ღრმასა და წმინდა სიამოვნებას. შოპენჰაუერში ნიცშემ ჰპოვა ის აღმზრდელი, რომელსაც დიდხანს ექცედა. მაგრამ ამასთანავე დასძენს, რომ იგი მხოლოდ შოპენჰაუერის წიგნებს იცნობდა, წიგნები კი მას ყოველივეს არ აძლევდნენ. მას უნდოდა წიგნის გარეშე გაეცნო, ეხილა ცოცხალი სახე ადამიანისა, ვისი დიალი ნაწარმოებიც ხელში ეჭირა. ნიცშეს სურდა ყოფილიყო არა მარტო მკითხველი, არამედ შოპენჰაუერის შვილი, მისი შეგირდი. აქ ჩვენ შევეხეო ფრიად საყურადღებო კითხვას: **ადამიანს უნდა სურდეს შეგირდად ყოფნა.** მაშასადამე ვინც სულიერ მეგობრობას გრძნობს ამხანაგ-მასწავლებელთან, მხოლოდ მას შეუძლიან მიიღოს ჰეშმარიტი განათლება; არა კმარა ადამიანი იყოს

მხოლოდ მკითხველი და თაყვანის მცენებლი, ძლიერ ცოტაა მხოლოდ გატაცება. ადამიანი ჰეპყრობილი უნდა იყვეს იმ მელანქოლით და სევდით, რომელზედაც ლაპარაკობს ნიცშე, იგი უნდა იტანჯებოდეს და სწუხდეს თვისი ნაკლულევანებისთვის, რომ მას ნუგეშად და მხსნელად მოევლინოს მეგობარი-მასწავლებელი. ასეთი სევდა და უკმაყოფილება თავისი თვისი არის საძირკველი კულტურისა. ამ გვარად თავისუფლება, რომელსაც ნიცშე ჰქადაგებს, არ არის განთავისუფლება მოვალეობისაგან, შრომისაგან, ეს არის მხოლოდ განთავისუფლება შრომის ხელ-შემშლელ პირობებისაგან. ნიცშე იმას კი არა კითხულობს, თუ რისაგან განთავისუფლდი, არამედ იმას, თუ რისთვის, რა მიზნისათვის, რა საქმისთვის განთავისუფლდი. „ზიზლსა ვგრძნობ—ამბობს ნიცშე—იმ ადამიანისადმი, რომელიც, ნიკით დაჯილდოვებული, არ განიცდის სევდას თავის „გენისთვის“, არ მიისწავთის სრულყოფისაკენ; ვგრძნობ, რომ ამისთანა ადამიანი, იქნება იგი მხატვარი, მეცნიერი თუ ჩვეულებრივი განათლებული პირი, მთელის თავისი სულიერი სალაროთი ხელს ვერ შეუწყობს კულტურის დამყარებას, იგი ცხოვრებას ვერ შეჰქმნის, მას შეუძლიან მხოლოდ დასტკბეს და ისარგებლოს ცხოვრებით.

ეხლა წარმოვიდგინოთ ის ყმაწვილი კაცი, მათი რიცხვი კი მცირე არ არის ჩვენს საზოგადოებაში, რომელიც თავის თავს ნიცშეს თაყვანის მცემლად, მომხრედ და მის შეგირდად აღიარებს, მაგრამ იმავე ნიცშეს პატივსაცემლად არავითარ მოვალეობას არ იდებს კისრად, იგი სცდილობს მხოლოდ ნიცშეს თხზულებიდან ამოღებულ ციტატებით დაპფაროს თავისი უშინაარსობა. ეს არ არის დიდი მასწავლის

ლებლის — ზარატუსტრას შვილი, შეგირდი, იგი მხოლოდ ზარატუსტრას მაიმუნია, რომელსაც მხოლოდ ზარალი მოაქვს მაშინაც კი, როდესაც „სიმართლეს“ ლაპარაკობს. გენის სიყვარულის გასაღვივებლად სკოლა არაფერს აკეთებს. ამ შემთხვევაში დიდი სარგებლობა შეეძლო მოეტანა ისტორიის წესიერად სწავლებას.

ვინც კი თვალყურს ადევნებს სკოლის რეფორმებს, ეცოდინება, რომ ამ ბოლო დროს ისტორიის სწავლებაში ცვლილება მოხდა. დავიწყებას მიეცა ძველებური ხერხი, მეთოდი ისტორიის სწავლებისა, როდესაც უმთავრესი აღაგი სახელმწიფო მოღვაწეთა და ისტორიულ გამოჩენილ პირთა აღწერას ეჭირა, როდესაც მთელს საათებს ანდომებდნენ ომების, კონგრესების და სხვა და სხვა ეფექტურ ამბავთა მოთხრობას. „ანგელოტური“ გადმოცემა ისტორიისა თითქმის აღარსადა გვხვდება. ამის მაგივრად დამყარდა მეცნიერული თვალსაზრისი. ეხლა ისტორიას უყურებენ, როგორც მეცნიერებას საზოგადოებაზე, რომელიც თვალწინ. გვიშლის სოციალურ ევოლუციის კანონებს; ძველებური ანგელოტების მაგივრად ეხლა მოუთხრობენ სხვა და სხვა დროის საზოგადოებრივ ფორმებზე, ახასიათებენ უმთავრეს სოციოლოგიურ ტიპებს, ავგიწერენ სამეცნეო ცხოვრების ფორმათა ცვლილებას, საზოგადოებრივ კლასთა და მათ ბრძოლას, მიზეზს და შედეგს სოციალურ განხეთქილებისას, ცალკე პირნი, გამოჩენილნი მოღვაწენი იმდენად არიან საინტერესონი, რამდენათაც გამოხატავენ სოციალურ ცხოვრების სხვა და სხვა ფაზიზს, საზოგადოებრივ ჯგუფთა გაჭირვებას, იდეალს. თავიანთ თავად კი ეს პირნი განსაკუთრებულ ღირებულებას არ წარ-

მოადგენენ. კოლუმბის, ლუტერის ან დანაპოლეონის ბიოგრაფიის დაწვრილებით განხილვა, როგორც თავის თავად საინტერესოსი, როგორც პსიხოლოგიურ მხატვრულ პრობლემისა, უარყოფილია. ნიცვე ხშირად უთითებს შეცდომაზე იმ მეცნიერ-მასწავლებელთ, რომელნიც მეცნიერული კილოთი ესაუბრებინ თავიანთ მოწაფეებს. ნამდვილი, მეცნიერული ინტერესი ყრმას გვიან უვითარდება. 14, 15 წელში, მაგალითად, ბიჭებს ძლიერ ნაკლებ აინტერესებთ, პრობლემა ფეოდალიზმის აღმოცენებისა ან დაპაბის უფლების დაცემისა.

მემუარი, წერილი, დღიური რომელიმე გამოჩენილ სახელმწიფო მოღვაწისა უფრო მეტს ყურადღებას იპყრობს მიწათვისას. ყოველგვარ სწავლებას მხედველობაში უნდა ჰქონდეს ბავშვის ინტერესი საგნისადმი; ამას გარდა, ყოველივე მეცნიერულ ასწავას და განმარტებას ბავშვი მხოლოდ მაშინ შეითვისებს, როდესაც იგი დაფუძნებული იქნება ისტორიულ პირთა ცხოვრების გაცნობაზე. ნიცვეს არ მოსწონს ის ყრმა, რომელიც გულ-გრილად შეჰქონდებს ისტორიულ მოვლენებს და „მეცნიერული“ კილოთი მსჯელობს მასზე; ნიცვეს სურვილია, ყრმას იმდენი ცოდნა მიეცეს, რამდენსაც მისი „პლასტიური ლონე“ მოერგეა, ე. ი. იმდენი, რამდენსაც მისი არსება შეიგუებს სულიერ-ზეობრივად ძლიერ პიროვნების შექმნისთვის. სხვა ყოველივე „მაცდურისაგან არს“. ნიცვემ წინასიტყვაობა თავისი თხზულებისა „ისტორიის სარგებლობა და უსარგებლობა ცხოვრებისათვის“ გიოტეს სიტყვებით დაიწყო: „მძულს ყოველივე, რაც ჩემს ცოდნას ამრავლებს და ცხოვრებაში სამოქმედო უნარს კი არა მძენს“. ნიცვეს აზრით, ისტორიას სამ გვარად



შეუძლიან ემსახუროს განათლების, კულტურის და ცხოვრებას აღამიანი ისტორით სარგებლობს, როგორც მომავალის შემქმნელი, როგორც წარსულის შემნახველი და როგორც თავისუფლების მოტივი ფიალე. აღამიანის ამ სამს მოთხოვნილების უპასუხებს სამ გვარი ისტორია, რომელთაც ნიცშე შემდეგს სახელებს უწოდებს: მონუმენტალურის, ანტიკვარულს და კრიტიკულს. ისტორია ემსახურება აღამიანს, რომელიც იბრძვის და საჭიროებს მასშავლებლებს, დამრიცებელს, მანუგეშებელს, რომ სულით არ დაეცეს და უკიდურესი ზიზლი არ იგრძნოს სუსტ, ურწმუნო, ვატარა ადამიანებისადმი.

რადგანაც იგი თანამედროვეთა შორის ვერ ჰპოულობს შესაფერ პირთ, ამიტომ მომქმედმა პირმა დრო გამაშვებით თვალი უნდა გადაავლოს დიად წარსულს, რომ თავისუფლად ამოისუნობის. დიდებული წარსულის ცეკვით მას ენერგია ემატება, ის ხედავს პირთ, რომელიც იბრძოდნენ, იტანჯვილნენ ისევე, როგორც თვითონ და მათი გმირული მოქმედება მას ძალ-ღონეს ჰმატებს. ისტორია მას ამცნევს, რომ ქვეყნიერებაზე მრავალი, დიად საქმე გაკეთებულა, რომ მათი შესრულება შესაძლებელი ყოფილა და მაშასადამე მომავალშიაც მათი გამეორება ფუჭი ოცნება არ არის; მაგალითებით წახალისებული, ის უფრო თავისუფლად მიღის წინ. მაგრამ ისტორიის „მონუმენტალურის“ ხერხს ერთგვარი ხიფათი სდევს, იქამდის, ვიდრე ისტორიის დიად გაკეთილებით ისარგებლებენ ძლიერი პირნი და წარსული გადმოცემული იქნება, როგორც ბაძის ღირსი, იქამდის მას დამახინჯება მოელის; იგი პოეტურ ნაწარმოებს უფრო ემსგავსება და ზოგიერთა მოვლენას სასწაულის ელფერი

ედება. მონუმენტალურ ისტორიის თავისანის მცემლები ხშირად უსამართლონი არიან თანამედროვეთა წინაშე. ისინი თავისას სცემენ კლასიკურ ხელოვნებას, მის წარმომაღენნლების წინაშე მუხლს იღრუკენ და სრულიად უარპყოფენ თანამედროვე ხელოვნებას. მონუმენტალური ისტორია მათ ხელს უშლის ღირსეულიად დააფასონ თანამედროვე ხელოვნება. მაგრამ ეს ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ მეთოდით სარგებლობენ კაცუნები, სუსტი პიროვნებანი, რომელიც აწმყოთი არა ცხოვრობენ და არც ესმით მისი მოთხოვნილებანი.

ანტიკვარულ ისტორიის შესახებ ნიცშე შემდეგს ამბობს. ისტორია საჭიროა არა მარტო საქმის აღამიანისათვის, არამედ იმისთვისაც, ვინც ღრმა პატივისცემით ეყრდნობა წარსულს, რომელიც მოშიშებით და სიყვარულით იცქირება იქით, საიდანაც იგი წარმოიშობა, საიდანაც მოვიდა. იგი ფრთხილად ინახავს ძევლი ღროის ნაშთებს, მამა-პაპის ხელში ნამყოფი ნივთეულობა მის თვალში სრულიად ახალ ღირსებას იძეს; სრულიად უმნიშვნელო, დაძველებული ნივთი მისთვის მეტად ძვირფასი და სანუკვარია, რადგანაც საყვარელი არსების სული ტრიალებს ამ ნივთში. მისი ქალაქის ისტორია არ ის აგრეოვე მისი საკუთარი ისტორია, იქ მისთვის ყოველივე ნაცნობი და ძვირფასია; ქალაქის გალავანი, სახალხო დღესასწაულები, — ყოველივე ეს მისი სიყმაშვილის დღიურია; ყოველივე ამაში იგი ჰპოვებს თვის ძალის, სიმპატიის, სიხარულს, თვის შეცდომასაც კი. ბინდით მოცულს შორეულ საუკუნეებში იგი თავის ხალხის სულს გრძნობს, როგორც საკუთარს და სალამს უძლვნის მას. წარსული კარგად ესმის მას,

არჩევს წაშლილ კვალს, ინსტინქტით გებულობს დაზანჯებულ ნაწერებს.

სწორედ ამასვე გრძნობდა გიოტე, ამბობს ნიცვე, როდესაც იგი შტრასბურგის ტაძრის წინაშე იდგა; მრავალ გრძნობებს შეეპყრო მთელი მისი არსება. უკად ისტორიის ბუნდოვანი ფარდა ჩამოწყდა და გიოტემ პირველად იხილა აქ გერმანული სულის ქმნილება, „ქმნილება ძლიერი, თავისებური“. იგივე სული ხელმძღვანელობდა ალორძინების ხანის იტალიელებს, ამავე სულმა გააღვიძა მათ პოეტებში ანთიური, იტალიური გენია და „კვლავ ტკბილად ააქლერა მიძინებული ჩანგი“.

მაგრამ „ანთიკვარული“ ხერხით ისტორიის გადაცემა არ გამოდგება, თუ ადამიანს თავისი დროის მიმდინარეობა არ ესმის. ანთიკვარული მიმართულება ადამიანს მეტად ვიწრო ფარგლით ზღუდავს; ხშირად სრულიად უყურადღებოთ სტოვებს მოვლენების მთელს რიგს; ყოველივე მოვლენას იგი ცალკე სინჯავს; მას არ შეუძლიან თვალი მიმოავლოს ისტორიას, როგორც მთლიანს ერთეულს, ღრმა პატივსა სცემს წარსულს და უყურადღებოდ სტოვებს აწმყოს. ამიტომ თუ არ უნდა ადამიანს თანამედროვე ცხოვრების გარეშე დარჩენა, საჭიროა აგრეთვე კრიტიკული ხერხი.

ადამიანს უნდა შესწევდეს იმდენი ღონე, რომ დაამსხვრიოს ზოგიერთა მოვლენა, წარსულის ნაშთი, რომელიც მას ხელს უშლის მუშაობაში. როცა იგი ნათლად ხედავს ზოგიერთა მოვლენათა უსამართლოებას, მავ. უპირატესობას ერთის კლასისას, წოდებისას, მან უნდა კრიტიკულის თვალით გადახედოს ამ მოვლენის წარსულს და ეცალოს მის მოსპობას. ადამიანი დაკავშირებული უნდა იყოს თანა-

მედროვე ცხოვრებასთან, ხალხთან, რომელსწორე გზით იაროს. მაშინ იგი ზემოთ ნახსენებს სამივე ხერხს სწორედ მოიხმარს. მაშინ აღფრთოვანებული დიალ-წარსულით და ძლიერი ისტორიული პირებით იგი არ გახდება რომანტიკი, ფანტაზიას არ დაემორჩილება. სიყვარული წარსულისადმი მას რეტროგრადად არ იქცევს. თავისუფალი კრიტიკის სიყვარული მას უსამართლოებას არ ჩადენინებს თავის მოწინააღმდეგების წინაშე. თვით მისი ბრძოლა იქნება კულტურული და პჰიმანიური. მაგრამ საუბედუროდ ისტორიის მასწავლებლთა შორის „თეორიის მოტრფიალეთა“ რიცხვი სჭარბობს. როგორი მშრალი და მოსაწყენია, რასაც ესენი წმინდა მეცნიერების სახელით აწვდიან მოზარდ თაობას. მოზარდი კი გატაცებულია ადამიანთა მოქმედებით. ადამიანისათვის ყველაზე ძვირფასი და საჭიროა თვით ადამიანი. არაფერსა აქვს ისეთი ღრმა განმანათლებელი მნიშვნელობა, როგორც ადამიანს და მის სულიერ ცხოვრებას. როდესაც მეცნიერული კილოსჭარბობს აღზრდის სხვა ფაქტორებს, მაშინ ახალგაზრდობას ესპობა საშუალება თვალ-ყური ადევნოს ცხოვრებას; ამ შემთხვევაში მათ არ უვითარდებათ ადამიანისადმი სიყვარული, პირ-იქით იგი ჰქონება. მხოლოდ სიყვარულით შექმნილი ილიუზიებით შეიძლება ნამდვილი ადამიანური ცხოვრება. ყოველისფრის მეცნიერული ახხნა, ყოველივე მოვლენის და გრძნობის ნაწილ-ნაწილ განხილვა აქარწყლებს იმ სულის აღმაფრთოვანებელ ილუზიებს, ურომლისოდაც ცხოვრება შეუძლებელია.

გიოტე ამბობს, რომ როდესაც იგი ცნობილ თხზულებას „Systeme da la nature“-ს გაეცნო, მან თვისი ანტირელიგი-

ური მიმართულებით, ცივი რაკიონალიზ-
მით და ყოველისფერის უარყოფით, რაც
კი წმინდა მეცნიერების გარეშე იმყოფე-
ბა, საშინელი შთაბეჭდილება მოახდინა.
იგი ურუანტელს ჰვერიდა, როგორც მო-
ჩვენება. ნიცშე ამბობს, რომ ის, ვინც
მხოლოთ მეცნიერული ცოდნით არის
აღჭურვილი და სიყვარულით კი ღარიბია,
საბრალოა; იგი მაღა აღამიანის სახეს
დაჲკარგავს. სიყვარულის გასაღვივებლად
და ადამიანის სულის გასაგებად ხელოვნე-
ბა უფრო მეტს იძლევა, ვიდრე მეცნიე-
რება.

გადაჭარბებული მეცნიერული კილო
ნიცშეს აზრით ზიანს აძლევს მოზარდ
თაობას, რადგანაც მას დროს არ უტო-
ვებს ინსტინქტის, ნების და გრძნობების
გასავითარებლად. უმთავრესი მიზეზი, ყვე-
ლაზე ძლიერი სტიმული ჩვენის მოქმედე-
ბისა უნდა ვეძიოთ არა ჩვენს „მეცნიე-
რულ რწმენაში“, არამედ ინსტინქტში,
გრძნობაში.

ჩვენი აზრი, ამბობს ნიცშე, ჩვენი მეც-
ნიერული რწმენანი მხოლოდ აჩრდილნი
არიან ჩვენის გრძნობებისა, ამიტომაც
ისინი ყოველთვის უფრო უფერული იქ-
ნება, ვიდრე თვით გრძნობა. ჩვენს
არსებაში არის რაღაც, რაც არავითარ
გამოკვლევას არ ემორჩილება; წინასუ-
რა უკვე პასუხია მიცემული სხვა და სხვა
კითხვებზე; ყოველივე კარდინალურ პრობ-
ლემის შესახებ ისმის: ეს „მე“ ვარ. თუ
ამ „მე“-ს არ უნდა, მაშინ ვერავითარი
მეცნიერული რწმენანი ვერ დაგვატანენ
ძალას, და თუ ჩვენი ინსტინქტი სუსტია,
გრძნობა ბუნდოვანი, ნება სუსტი, მაშინ
არავითარ ცოდნას არა აქვს ფასი, ჩვენი
პიროვნებაც სუსტი და უფერულია.

ნიცშეს მთელის თავისი არსებითა სძულს
ფილისტერი და მისი დამოკიდებულება

ხელოვნებასთან. ნიცშეს აზრით ჩგრებები-
ლოდ „ლოკავს“ ხელოვნებას, მისთვის
უმთავრესი სიამოვნებაა, სანტიმენტალუ-
რი გრძნობა, „ესთეთიური გრძნობა“,
მას არ აფრთხოვანებს, იგი არა სძენს
სულიერ სიძლიდრეს, მუსიკა მას ტკბილს
თვლებას ჰვერის. მუსიკა მას იმგვარივე
სიამოვნებას ჰვერის, როგორსაც კარგი
სიგარის მოწევა ან და გემრიელი ღვინო.

ხელოვნება ნიცშეს აზრით ერთი უმთავ-
რესი საშუალებაა ადამიანის სულის გასა-
გებად; იგი ადამიანის ბუნებას ამაღლებს.
უმთავრესი სიამოვნება კი არ არის, რო-
მელსაც ხელოვნება იძლევა, არამედ ის
განცდანი, რომელთაც განიცდიდა მხატ-
ვარი.

ახლა ყური დავუგდოთ ნიცშეს აზრს
თეატრის და მუსიკის შესახებ.

— ცხოვრებაში, ამბობს იგი, ყოველი-
ვე ერთმანეთზე გადაკვანძული. გაუმჯო-
ბესება ერთის დარგისა უეჭველად იმოქმე-
დებს სხვა დარგებზედაც. მაგ. ოეატრის
რეფორმა გემოვნებას განავითარებს, ზნეო-
ბას გააფარიშებს, აღზრდაზე და ადა-
მიანთა დამოკიდებულებაზე იმოქმედებს.
მუსიკის აღმზრდელობით მნიშვნელო-
ბას ყველაზე მაღლა აყენებს, რად-
განაც მუსიკალური ემოცია უფრო
სტატურ-ორგანიულია სხვა დანარჩენ
მხატვრულ ემოციებზე. იგი უფრო უახ-
ლოვდება ჩვენს ბუნებრივს ინსტიტებს
და ძლიერად მოქმედობს მათ გაღვიძებაზე,
განვითარებაზე. ჩვენ ვხედავთ, განაგრძობს
ნიცშე, რომ ადამიანის მეტყველება ღა-
რიბია; უწინ ენით გამოსთვამდა ადამია-
ნი თავისს გრძნობებს, ვნებათა ღელვას,
მაგრამ უამთა ვითარების გამო მან იცვა-
ლა თავისი ხასიათი, დანიშნულება და
ამ ხანად იგი მხოლოდ აზრთა და არა

ადამიანის სულის გამომხატველია. ადამიანს არ შეუძლიან სულიერი განცდანი ენით განუზიაროს თავის მოძმეს, ხშირად გრძნობანი გამოუთქმელი რჩება, და აი მუსიკა გამოსთქვამს იმას, რასაც ენა ვერ იტყვის. მუსიკა არა თუ მარტო გრძნობებს გამოსთქვამს, არამედ აპატიოსნებს, ავითარებს, აღრმავებს ამ გრძნობებს.

თავის აზრების განხორციელებას ნიცვე მოელოდა შეგნებული, იდეალურ ახალ-

გაზრდობისაგან. — მძაგს აწმყოს შეიღინ, რომლისაკენაც ასე მიისწრაფოდა ჩემი გული, ამბობს ზარატუსტრა, დევნილი ვარ ჩემის შუობლების ქვეყნიდან. მიყვას სამშობლო ჩემი შვილებისა, სამშობლო ჯერედ უცნობი, შორეულ ზღვაში გადაშლილი. იქითკენ მივაფრიალებ ჩემს იალქნებს, მას ვეძებ, მისკენ მივისწრაფი. მომავლით მინდა აწმყოს გამოსყიდვა".

6. ბ—ძე.



ბუნება და სამკურნალო მეცნიერება

პირისძე

(წერილი მედოხე)

ტუ და მისი ჰაერი

თ ა ვ ი III

ეს წელს მაისში, საფრანგეთის თაოსნობით პარიზში მოხდა საერთაშორისო მეორე კონგრესი ტუის მოვლისა და მფარველობის შესახებ *).

ჭერ გრძელი საუკუნის 80-ციან წლებში გამოჩენილი მეცნიერი ლესპიო ამტკიცებდა, რომ ექიმის ჭავა გამოიცვალა, საშინელი გვალვა — პაშანაჭება გახშირდა, ხოლო გვალვას ერველთვის თანასდევეს უეცარი ქარიშხალი და კოკაპირული წვიმა ნიავდერებით. ამის მიზეზი სულ ის არის, რომ ამერიკაში დადასალი ტუები გაჩეხესათ. წინეთ თურმე ამერიკის უზარ-მზარი ტემპი იმაგრებდენ ციკლონებს, იფარავდენ ეკროპას მექსიკის ზღვის ურედან წამოსულ საშინელ ქარტენი-

ლებისაგან, ახლა კი ეკროპა თურმე განსაცდელუნა.

ამა სად ამერიკა და სად ეკროპა, მაგრამ წლებანდელ კონგრესზედაც საფრანგეთის მენიურთა შორის ძრიელ ბევრმა ლაუგირა მსახიობის თეორიას. იმ უკეთეს აზრს დაადგნენ, რომ როცა რომელიმე ქვეექნაში ტემპისადგურებენ და ავაზაკურად სწერავენ, იქნებო მთაბარის მოტივიზმება უკეთეს გაგლენას იქნიებს ხოლმე სხვა ქვეექნების ჭავაზედაცა. აი ამ მიზეზის გამო ტუის საკითხი გაჭირდეს მსოფლიო საკითხთ — ტუის რაციონალურად მოვლა და მოხმარება საერთაშორისო კანონით საფალდებულო უნდა გასდეს გველა სახელმწიფოსა და საფინანსოსათვის.

მიწის მრეწველობის მინისტრი კლემპინ-ტალი, საფრანგეთის მთავრობის სახელით სიმაგრებით მიეგება კონგრესის წევრთ და თავის სიტყვაში მჭერმეტუევლად დამტკიცა ის საჭიროება, რომ რაციონალურად ტუის

*) პირველი კონგრესი ტყის შესახებ საფრანგეთის თაოსნობითვე მოხდა იმავე პარიზში 1900 წ.



მოშენება, მისი მფლობელი და მოხმარება უკეთა ქვეწა ქვეწაში მომდევის საგადაღებულო კანონიდ გახდეს.

კლიმენტი ლიმა გაახსენა კონგრესს სიტემები კოლეგიას და გულახდილად განაცხადა, რომ მთელს კაციონილიას და დუჭვა მოჰქმდის, თუ რომ ტექნიკი მთისპირი და თუ ეხლავე გონიერი ზომები არ მივიღეთ.

მისის მირცხვის მარტი ის როდი ჰქონდა მსეულებელიაში, რომ ტექის განადიურებას თან მისდევს ჭარის შეცვლა, მდინარეთა და შრობას და სხვ. ათასი უბედურება. კლიმენტი ლიმი შირდი მერიაში კონტაქტის საკითხს შექმო — ეხლანდელ ინდუსტრიას არ ჰქონდნის ხე-ტექ და უფეხლ გვარი ხის მასალა და თუ ეხლავე არაფერი ვიზუალურ, ცხადია მომავალში რასაც უნდა მოველდეთ.

კონგრესზე ექვებანი იმ აზრის დაადგნენ, რომ ახლავე უფეხლმა სახელმწიფო თვითონავე (მთავრობაში) უნდა იყისროს ტექის მფარველობა, მოშენება, გამრავლება, რისთვისაც, ეხლავე უნდა გადაიდოს საჭირო ფეხლი ტექნიკის და იმ ადგილების შესსუიდათ, საც უწინ ტექნიკი იყო და ადამიანის უდიერებაში გაჩეხა, ამთაგდო. კერძო შირი ვერ შესძლებს და გროვთუცდის ტექის გაზიდასათ.

საფრანგეთში, სახელმწიფო შემნახველი კასსები დიდი ხანია და გადაღებული არიან თავის საკუთარ თანხმიდან ($\frac{1}{10}$) ერთი მეტედრ უფეხლ წლივ გადასდონ ტექის სასუიდელად. დღესაც საფრანგეთის რესუბლივში გვევ დაკანონა ტექის საქმისთვის უფეხლ წლივ ერთი მილიონი ფრანკი გადაიდოს. გარდა ამისა სახელმწიფო შემნახველი კასსები არიან ნაწილი სახელმწიფო საკუთრებად უნდა შეიძინოს უზარ-მაზარი D' Eu.

კონგრესი უფრო ფრანგული იყო, 800 წევრი და ესწრებ და ამათში თითქმის უკეთანი საფრანგეთის შეინდნი იყვნენ, სხვა ქვეწაში და გან მხოლოდ 40 ერთი — მეტი ნაწილი სახელმწიფოთა წარმოდგენელი იყვნენ.

კონგრესზე დიდად ისახელა თავი არ გეხმი-

ნის ახალგაზდა რესტუბლიკაში. რაც დღეს უკან გრესზე ითქვა, იმათ დიდისანია თურმე საქმეთ გმიციათ: 1) ტექის დასაცავად სასტიკი განხებიდ გამოუცია, 2) სადაც კი უწინ ტექ უფილა უკეთად ხელ ახლად გაუშენებით. 3) გაუშართავს მრავალ ალაგას უზარ-მაზარი ნაციონალური (სახაზინი) პარტები, სადაც საგანგიბოდ მთაშენებ არიც რე ადგილობრივი, სხვა ქვეწაში დგანაც გადმინერებეს საუკეთესო ჯიშის ხები, მრეწველობაში დიდად საჭირო და სასარგებლობი. — მთავად რესტუბლიკაში არ ტექნიკია თვით მთავრობას მზრუნველი, ურის მგდებელი და სხვ. და სხვ.

მომხსენებლად იყო დირექტორი ბუქნის — ინერცის ბოტანიკურ ბაზისა, მთავავე და არგანზარფორი არგენტინის ნაციონალურ პარკებისა (დაცულ ტექებისა), ჯერ საგვეურად მიახნდათ, რომ საფრანგეთის გარდა სხვა ქვეწაში არ გვიმარჯვება, სხვა ერგებსაც წინ გაუსწიგდათ ტექის საკითხში, მაგრამ ბოლოს ადმინისტრაცია ეს მომხსენებელი თვით ენერგიული მთავაწე ტექის საქმეში, საფრანგეთის შეილი იყო M-r Chays (მისტერი თასი).

საინტერესო სტატისტიკური ცნობები გამოიყენება კონგრესზე: მთელს ევროპის ტექნიკურითავს 3.150.000 თხე-ეუთხი კალამეტრი (*), ამერიკის ტექნიკს 6.470.000, აზიანისას 3.860.000, აფრიკისას 2.290.000 და აფრიკალიისას 944.000.

ამ გვარად აღმოჩნდა, რომ მთელ დედამიწის ზურგზე ტექ უზარ-მაზარ ხმელეთს ჰყავს, არა ნაკლებ 16,700.000 თხე-ეუთხი კილომეტრს მოჰდანს ანუ, მოვლენე რო გათხება, ხმელეთის ერთი მეტედრი ($\frac{1}{8}$) უჭირავს.

ამასთანავე კონგრესზე გამოიწვევა იგივე, რაც ჩვენ უკვე გვესრობდა შირველ წრილიში ნათქვაში, ესე იგი, მეცნიერებმა ერთხელ კა-

*) კილომეტრი — ათასი ადლია. ამასთანავე რუსეთის ტექნიკს უჭირავთ 40 %

დევ დამტკაცეს, დააგრძნეს, ოთხ 1) ტექ-
ურარჩაზე როლის თამაშოს ბუნეაში, დედა-
შიწის, მსოფლიოს ექინომიაში — ცხველთა
და კაცთა ცხველებაში. 2) ღიღ-დიღი ტექები
ჭავას ზომიერად ნოტით ინახვეს, სითბო-
სიცივეს თანაბრად ახალი დევის, წევის და თოვ-
ლი თავის დროს და ზომიერად მოდის და
სხვ. 3) ხის ფოთლები და ტოტები წევის ს
წევას ახერხებენ და ვადრე მთასწრებდეს მიწ-
ზე დასვლას, ჭავებივე თრთქლად ჭვერებ. ხოლო
რამაც მთასწრო ზედაგზე დაკმა-
(წევის წევაზე) ტექის ზედაგი სპონგივით
(დრუბელივით) სარბად სჭავს, გულში ინახვს,
თუმცა აქედანაც ადგილად ორთქლდება, მაგრამ
სევის და ბუჩქების ძირვების წევაზობით ხა-
წევისარი წევალი მარც დრობად ჩადის ნიადაგში
(10—14 ადლის სიღრმეთ). ტექის ნიადაგში
შე გვარად გროვდება აუარებელი წევალი, სა-
დაც წევართა საკუჭაოები იმართება, თვით
ტექის და მისი ზედაგის საფარველის ქვეშ,
იქიდან მერე სადმე ფერდობზე წევართს ნაკა-
დელი ამთხეთქვს და სასმურად სჩქეფს ეინული-
ვით ცივი წევალი.

4) ტექები თოვლი ისე ერთბაშად არა დნე-
ბა, როგორც სხვა უტექო მთაზე ანუ მიხდორ-
ზე, ამიტომაც ტექე მთა ადგილს და მდინა-
რება სათავეებში წევალი ნაკადულ-მდინარეებში
თანდათანაბით უმატების, ამრავლების, ადიდების.
ტიტექება, უტექო მთებიდან კი უეცრივ დარ-
ძრის სთლებ წევისა და თოვლის წევალი —
მიას ფერდობ-კალთებს ჩამორცხავს, ჩამოშო-
რებს სთლებ სახნავ-სათესისთვის საჭირო
ზედაგს, ნაყოფიერ მთშეო მიწას და მას
მერე ხიადვერების ჩამოზიდელი ქვა, როეე და
ლამი წალევას ხთლებ ბრად მისდვის ხათე-
სების. 5) მდინარე წევალი და მისი ტოტები
უტექება სათავეშივე მაღა კლებულობის და
შეა წელშივე შრება, კალმოტი რიეე ხდება.

დღეს შეცნიერება და საფრანგეთის დი-
დებული დროშა დამოს კაცობრითის

ტექ შეარჩნის და მით გადამისინოს დადუ-
შვისაგნი, მისმობისაგნი.

თ ა ვ ი IV

მთების საქართველოს ტექ ამშენების, აკე-
ლუცების; ტექ უსარების გულს, ტექ აცხო-
რების; ჭავის უწმენდს, წევალს უნახავს, ჭავა-
ს ქმნის; ტექ ათბობს, ტექ აგრილების —
სიცხე-სიცივეს ანელების, ხოლო სადაც ტიტ-
ელი მთების და ხრიაკ ადგილების ხედავთ, ებ-
სულ კაცის უგუნურებაში, მისმა დაუხდობელმა
ხელმა გაჩეხა, გააჩანაგა, ამოაგდო.

თვით ადგილ მდებარობაც არ ტურთა ქა-
ქნისა მართლაც რო საგანგებოდ არი შექმნი-
ლი ჯინ-მრთელობის ხელის შესწეობად. ჩე-
ნი ქვევის ტოპოგრაფია, მასი გეოლოგიუ-
რი შენისა შესაბამისად გაცივებულა „დასრუ-
ლებულა“. კავკასიონის მთავარ მთაგრეხილის
სამხრეთი მხარე, მისი გვერდა-უერდობი კალ-
თები და ტოტები მთლად დაღარულია ხეგ-
მდინარეებით. უმთავრესი ხელი ბასეინები არი-
ან რიონისა და პატარა კავკასიონის მთებიდ-
გან გამომდინარე ჭირობის და მტკვრის ხე-
ბა-ბასეინები. *) აქ ხევებისა და ხეგების შე-
ადამიტოვებან მთანი და ბორცვები, რომელთა
რელიეფზე, ტექის მთის ფერდობა-კალთებზე,
გაშენებულა სოფლების მეტი ნაწილი. მხა-
ლიდ შემდეგში, ბოლო ტიტექები სიძრიელის
დროს თუ ხალხის გამრავლების და უადგილო-
ბის გაძლ, ზოგინი ძირს ბარად ჩამოსელან
და აღარც თუ ჭაბიანი ადგილები დაუწენიათ
—, არ ცოდნა, არ ცოდვალება“.

დასავლეთ საქართველოში სთველი სურა-
თივით გაფანტეჭდია. უელას თავისი საკუთა-
რი წალეოტი და გრცელი გარ-შიდამო აქვს.

*) დასავლეთ საქართველოში თავის მშვენიე-
რებით განთემულნი არიან ხეობანი: ბზბის, კო-
დორის, ინგურის, ცხენის წყალის და რიონისა.

მეტადო ზემო იმერეთი და რაჭა მშვენიერ ჰიგიენურ პირობებში სცხოვრიბის მთის გვერდასადაც თებულობრივი იყო. ზოგი ადგილებზე მზის უკან როზე გაშენებულია. დიდი ფასხვის ხეთასაც სულ მარჯვნივ მზის გულას, მთის ფერდობზე ჭიროლია სოფლები ვიდრე რთვა-კუპას და ჭე. კახეთში გომისონის მთა (ცავი გომისონი) ალაზანს და ივრის შორის გაწლილი, რომ კე მხრივ დაღარულია დელე-ხელებით. ამით შორის აღმართულ მთა-გორაკებზე, სერებზე, ტეის შირად კაზწრად გაშენებულან თავმოწნე სოფლები ბალ-ვენასებში შიანთ ქვედნი. თბილისიდან აუთლება ვიდრე გოლა არტანამდე მთლად მტკრის ხეთა — ბასეინი საუცხოო ჰიგიენურ პირობებში სცხოვრიბის. იგივე იმქმის ჭირობის ხეთაზე. ღიდ წერა-ნიაღვისი-დონს ეს სოფლები საგანგებოდ ირეცხება და სარეცხი უწმინდეულია მოვარდნილ სევებს ვაკებზე ჩააქვთ, დიდ მდინარეებს აძლიერენ. *) კე! თქვენ ის ბრძანეთ, რომ ცოდნა არა გვაქს, თორებ თვით ბუნება უოვლის ფრით ხელს პირწეობს, სმითხისურ ცხოვრებაზე გვითოვებს.

ვინ ჩამოსოფლის, რამდენი მაგალითი უოვილა: საშიან და ჭაობიან ადგილებში როგორ გაუშენებათ, ჰაერიც გამოცვლილია, ციებ-ცეცხლება მოსპობილა, აქ ცხოვრება საღი და სასარგებლო შექმნილა.

ეკრაში და ინდოეთში რამდენჯერმე მოხდა, რომ ტექმ საფხო დაიხსნა გამძვინვარებულ ხორველისაგან. — მთაში და ტექმში ეს საშინელი მთარელი ჭირი მნელად იყიდებს ფეხს, — ტექმის მშავე ზეადაგი ბაქტერიებისთვის მაგნებული აღმოჩნდა, მეცნიერებაში მრავალი მაგალითია აღნიშნული: ტექმის ქვეუნებში, საღაც სორველას თავის დღეში ახლოც არ გაუვლია,

როგორც კი ეს ტექმ გაუჩეხიად, მაუსამარტონის შემდეგ ხორველაც ხშირი სტუმარი გამხდარა. ამ გვარადებე სამხრეთ ამერიკაში ცვითელი ცივ-ცხელება ხალხს უფრო იქ მუსრასი, სადაც ტექმის უდირთად მოქმედნენ, გააჩნავეს და ძირის ფეხიან ამიაგდეს.

ამიტომაც გამოჩენილი ჰიგიენისტი პროფესორები და მეცნიერი დაქტორები (ექიმები) მედგრად ებრძეინ ხალხთა უმერქობას და დაუინებით ქალაგებენ, რომ ტექმ არამც თუ ვინმები გააჩნადგუროს, პირიქით, საღაც კი ტექმ აღარ არის, იქან განგებელი დათესხინ, გააშენოს, რათა ტექმის ზრდამ ზეადაგი გააჯანსაღოს და მით ხალხში ტექმის უწმინდელო ჰერით ისენ-თქოს, ათას გვარი ჭირი და მაგნე თავიდგან აიცილოს — დღეგრძელ და ბედიერ იუს მოულის ფაზახიბით, ჯალამობით.

ნობა“ სისულეები იქცედა.

რი-ო, რი-თ(ი), რა-თ(ი), რაღა-თ(ი),

*) ახ. ქ. გრამმატიკა. 1882. ღ. ყიფიანისა.
გვ. 23. რაც ნათევამია „არ ჰყარაო...“ და
ვრცელი ახსნა კი აღარ დაგვირჩა. მ. შ.

რიღა-თ(ი), მეფე-თ(ი), ღელე-თ(ი), ჭამი-
ნასთ(ი), მორჩილა-თ(ი) მესამე-თ(ი), მეხე-
თე-თ(ი), წერი-თ(ი), ცემ-ი-თ(ი), ჭამი-თ(ი),
მესესე-თ(ი).

„გეფშისატეალსნდან“: ძალი-თ(ი), ძლი-
რი-თ(ი), სული-თ(ი), ზეცი-თ(ი), მონაბე-
რი-თ(ი), ფერი-თ(ი), სახი-თ(ი), მიერი-თ(ი),
მიჯრი-თ(ი), შიგნი-თ(ი, ი), ბედი-თ-ს(ი) (მთ-
მებულებით-ნათესავობით), შორი-თ(ი), ბედი-
თ(ი) დ(ა, ი) მოქმედებითგანვითარებით, და-
ბადები-თ(ა, ი), არსი-თ(ა, ი), ვა-თ(ი), აღმა-
ფრენი-თ(ა, ი), ბედი-თ(ა, ი), სიტუა-თ(ა, ი),
გალობი-თ(ა, ი) და სხვა.

VI. განვითარებითი ბრუნვა.

ამ ბრუნვას კანკლებიდისას ჭარბადა აქვს
სახელის, თვისების, ყოფი-მოქმედების ანუ
ზმის და სიტუაციის სხვა ნაწილების განსაზ-
ღვრა, ვითარება, სწროვედ რომ ერთ სახიე-
რიდ, ერთუამ—შემოზღუდულად შეუწევა და
წარმოდგენა საგნისა, თვისებისა, გარემობი-
სა: კაცად და არა ნადირად, ლამაზად და არა
გრძელად, წერად და არა ბრძანებად, ზემოდ და
არა ქვემოდ, სწრომ(ა), და არა ჭ-გითხულებ-
დ(ა), ს-ცემ-დ(ა) და არა ჭხუმრბ-დ(ა) და არა
წავი-დ(ა), ჩეგნ-დ(ა), ჩეგნა-დ(ა), ჩეგნი-დ(ან)
და არა თქვენიდან, ვინაიდ(ან), ზედ(ა) [ზე,
ზე-ს(ი), ზე-ს(ა), ზე-მან, ზე-ო-თ, ზედ(ა),
ზე-ო]. (ნახ. ჩემი ბრუნვათა სხმანი შემდეგ).
ეს ბრუნვა, სხვათა შორის, გამამოქმედი-
ბებია საგნისა, სახელისა, თუ ზმის ძირ-
ბისა: სახლი—საბლადა—დასხლდა; ლამაზ-
ლამაზადა—გალაზაზ-და; შენ-შენადა—ა-შენ-
და; ხელ-ხელადა—გაეკლ-დ(ა) და სხვა.

ამ განვითარებითის ბრუნვისთვის რამდე-
ნიშე ახალი სახელი დაურქმევით „ახალ-ახალ“
გრამმატიკაში: „გმინის-ზედითო“, „გარნა-
ცებალებალიო“, გნებითით და იქნება კადებ
სხვაც. განა არ, ხშირად ზმის ზედა ჭედე-
ბა ამ ბრუნვის ფორმა და, როგორც სიტუაციის



სხვა ფორმებიც, ცეკვებადობის მუხლია, მაგრამ ეს არ არის მისი მთავარი თვისება, რომ დაერქვას ახლად მოგონილი სახელი. მთავარი თვისება ამ კანკლენდობის მუხლისა ის არის, რომ იგი სახელს, თვისებას, გარემობას თუ ეთვა-მოქმედებას, გამოიყენებ, ერთ განსაზღვრულს სახედ ჭრის: კაცად და არა პრივად, ქალად და არა ვაჟად, ლამაზად და არა გონჯად, შენად და არა ჩემად, ზედა და არა ქვედა, ვაიდა და არა ვაშად, აქადა და არა იქადა, წყალის დასალევად და არა მის მოსატანად.

ერთი სიტყვით ეს „ბრუნვა“ საგანს და უფლებამოქმედებას განსაზღვრავს და განავითარებს ერთს განსაზღვრულს სახედ და ამიტომ „განვითარებითი“ ბრუნვა სწორედ სამართლიანად და ერქმებათ ძეგლად და უნდაცა ერქვას. ენის ეგოლუციაში ეს ბრუნვა არის სწორედ თვით განვითარების ხანისა და არ ენის მარტივობის დროისა, როგორებადაც მიგაჩნია ჩვენ ნათესავობითი და მიცემითი ბრუნვები, რომელთა მეხასიათე ნიშანია — „ს“-ანი, ეს იმ თავითი, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ არ იყო საესებით პირმეტულები და გამოსცემდა მთავარებელთა მიმართ „გამაფრთხილებელს“ ხმას — „სსს“-სა (ნახე ჩემი მარტივები. „განვითარება“ სექტ. 1912. ბუნება ქართულ ენის ეტ. შენობისა).

გიდევ და კიდევ გიტუვი: ძნელად შექმნდება ადამიანი ასე შესაფერად მთავარებელს ტერმინს, რომელიც შემოტანა ჩვენს გრძელებაზე შირველ გრძელების ანტონ კათოლიკზე, სახელდობ „განვითარებითი“ ბრუნვაა, რადგან სწორედ ამ ფორმაში გითარდება სიტყვა, — კაცი გაჭირდა (ზელადა — გაჭირდა-0-და) ასე ისე გაჭირდა, რომ სელებს იარაღად ჭრის არადა; კაცი თოხნად იყო და წევალის დასალევად წავიდა, ე. ი. თოხნის საქმე წევალის დასალევა მიზნად შესცვალა. ამ წევალის დასალევად მარტივ დღეს შემოუ-

დიათ უსაგნო, უაზრო და გლობუს-ცარიელი „ახალი“ ტერმინები, „გნებითიო, ზენის ზედითიო“ და სხვაც. ემაწვილი „გლობუს-ცარიელი“ სწავლის, ვითარდება და ამასთაში არც ემაწვილია გნებაში და არც სწავლა. ახალი რამ შეიძლება იყოს სიბრძნეცა და გლობუს-ცარიელი, მარტივეცა და მატრაკვეცაცა.*)

განვითარებითი ფორმის ბრუნვები ვეფხის ტყაოსნიდან: დათრგუნვა-დ (ა, ი), ავა-დ (ა, ი), მელნა-დ (ა, ი), კალმა-დ (ა, ი), ქება-დ (ა, ი), გა-მოთქმა-დ (ა, ი) ტურფა-დ (ა, ი), თვალა-დ (ა, ი), სოულა-დ (ა, ი), ქართულა-დ (ა, ი), ახლა-დ (ა, ი), პირველა-დ (ა, ი), სადამო-დ (ა, ი), მოკლე-დ (ა, ი), ახალი-დ (ა, ი), ნალი-დ (ა, ი), მდერა-დ (ა, ი), ლადობა-დ (ა, ი), სათრეველა-დ (ა, ი), ძნელა-დ (ა, ი), ნათელა-დ (ა, ი), გრძელა-დ (ა, ი), ცუდა-დ (ა, ი), დიდა-დ (ა, ი), ძნელა-დ (ა, ი) და სხვა.

განვითარებითი ბრუნვა (სუფთიქსი „დ“) ერთი დიადი შემოქმედები ფორმა არის უცბა-მოქმედების მთავარ ძრითადებისა ნაშენ ღრცე (უსრული), რიცხვის და შირვენების ურთიერთობაში, იგი გვიადვილებს ჩვენა ზმნების მთავარარიგებასათ: წერ-დ (ა-ი-ე), ცემ-და-ა-ე, გათავ-დ-ა-ე ან მეგრული: ქარუნდ-უ-ი-ე და სხვა. გასარჩევად ამა ბრუნვისა მოქმედებითის და გრგვითარებითს ბრუნვის უნდა მოებას მარტივები „ა“-ნი ან „ი“-ნი, შეშინ იგინიცხად იყოთიან ბაზშისათვისაც და ურთიერთ შერცეს განირჩევაა: კაცა-თ (ი) და კაცა-დ (ი), მეთეთ—მეთე-თ (ი) და მეთედ—მეთედ (ი), — ცოტა — ცოტა თ (ი)=ცოტა — ცოტა-დ (ი) და სხვა.

*) ნახე ბუნება ქ. ენის ეტ. შერილი პირ. 1910 წ.

მოქმედებ.: რით? განვითარ.: რად?
 რამდენა-თ(ი), რამდენა-დ(ი),
 ოფალსაჩინო-თ(ი), ოფალსაჩინო-დ(ი),
 ტანა-თ(ი), ტანა-დ(ი),
 ცოტა-თ(ი), ცოტა-დ(ი),
 გუთხე-თ(ი), გუთხე-დ(ი),
 და სხვა.

როგორც მე დავაძრევიც, ქართული ულვ-
 ლილება დაყრდომილია ქართულ ქანკლე-
 ლობაზედ, მთავარი ფორმები ულვლილე-
 ბისა ჩამოისხმის პირდაპირ კანკლელობი-
 საგან. ეს ბუნებრივი კანონია ქართულ

კანკლელობისა და ულვლილების ურთიერ-
 თობისა, ახლად გამოვევეულია ჩემ შიერ, და
 უმორჩილესად გთხოვთ ჩემს გვალობაზედ
 თქვენც ააშეშათ მგზავრი მაგალითები. ჩემი
 მაგალითებია იყს შემდეგი.

კანკლელობისა და ულვლილების ბუნებრივმა
 კანონია, მათ ფორმების ურთიერთობისამ,—
 მიჩნევა, რომ ქართული ულვლილება პირ-
 დაპირი ხმომავალია კანკლელობისა. მკი-
 თხველისთვის ეს ასაღი მცნებაა და ამიტომ
 უმორჩილესად ვსთხოვ ჩემი მაგალითების
 გვალობაზედ მეთქმი მგზავრი თავისი მაგალი-
 თებიც მოსძებნოს. ჩემი მაგალითებია შემდეგი.

| | წრო. | ნათ. მიცემ. | მოქმედ. | განვით. | წოდებ. |
|-----|---|------------------------|-------------------------|---------------------------|---------|
| I | { კანკლელობა: თლა-ა, ულვლილება: ს-თლა-ი, | თლა-ღ-ს, ს-თლა-ი-ს, | თლა-ღ-თ, ს-თლა-ღ-და, | თლა-დ, | თლა-ღ, |
| II | { კანკლელობა: თხრ-ა, ულვლილება: ს-თხრ-ი, | თხრ-ი-ს, ს-თხრ-ი-ს, | თხრ-ი-თ, ს-თხრ-ი-და, | თხრ-ა-დ-ა, ს-თხრ-ი-და, | თხარ-ო, |
| III | { კანკლელობა: მკა ულვლილება: ჰ-მკი, | მკ ღ-ს, ჰ-მკი-ს, | მკი-თ, ჰ-მკი-ღ-თ, | მკა-დ-ა, ჰ-მკი-დ-ა, | მკა-ო, |
| IV | { კანკლელობა: ხრა, ულვლილება: ჰ-ხრ-ი, | ხრ-ი-ს, ჰ-ხრ-ი-ს, | ხრ-ი-თ, ჰ-ხრ-ი-დ-ა, | ხრა-დ-ა, ჰ-ხრ-ი-დ-ა, | ხრა-ო; |

შემდეგ ცხადივე მაგალითებიც და კანკლე-
 ლობრივი ჩამომავლობა ულვლილებას გვიჩვე-
 ნებს და გვიძრებიცებს, რომ ბუნებრივი სუფ-
 ფიქსი განვითარებითის ბრუნვისა არის „დ“-ნი
 და არა ჟორგონისტების „თ“ ნი: კაცა-დ,
 კაცა-დ(ი): აქედან წარმოსდგება ულვლილებრი-
 ვი ფორმები: გა-კაც-ი-დ; ბეჭად—გა-ბეჭად-
 ი-და, მეულად—და-მეულ-ი-და, მაგალითად—
 გა-მაგალით-ი-და, რამდენა-დ—გა-რამდენ-
 ი-და, თვალის ჩინად—გათვალისჩინდა, გგ-
 რა-დ—გადა-გგარ-ი-და, თავისუფლად—გახ-
 თავისუფლ-ი-და და სხვა.

შემძლო უფრო სახელდახელო მაგალითები
 ამოქმერჩია, მაგრამ ეს არჩევასი არ გაკარი და გართულ ენის კანონსა, და რომელი

სიტყვაც შემჭხვდა იგი ვამუშავე ბუნებრივ პა-
 ნონის მანევრებელად. მარტო უმეტარი ჟარ-
 გონისტი თუ გაჭბედავს, აითხოვება და არ
 დამეთანხმება, რომ განვითარებითს ბრუნვაში
 უგვეველებდ და უფეხლ შემთხვევაში უნდა იწე-
 რებოდეს „დ“-ნი და არა „თ“-ნი.

ამ გვარად უფეხლი ქართველი, რომელიც
 მექანიკური განვითარებით ბრუნვის ჰქმარობს
 „დ“-ნის მაგიერ „თ“-ნისა ისეთივე უმეტარია
 ამ შემთხვევაში, როგორც იქნება რუსი გინ-
 მე, რომელიც უსულ სიტყვას ითეცა-ს დასწერს ასე, ითეცა-ო, ამერელი იქნება
 იგი ზემორელი თუ იმერელი, კახელი თუ
 გუსელი, აჭარელი თუ ჭანი ას სხვანა.
 ვეფხის-ტურქისიდან ამოწერილი მაგალითე-

ბი. კანკლედობრივ ფორმებიდან ჩამოვაჭისხათ უღვლილებრივი ფორმები: დასთრუგნა-დ: დასთრუგნ-ი-და (ანუ დასთრუგნი-და); ავა-დ — გაავ-და თუ გაა-ავა-და, მელიად — გაა-მელია-და, კალმა-დ — ჩამოკალმა-და, ქეა-დ — აქებ-და, გამოთქმა-დ — გამოთქმ(ი)-და, ტურფა-დ — გა-ტურფ-ი-და თუ შემოს-ტურფლა, თვა-ლა-დ(ა) — ჩამეთკალა-და აქ მხოლოდ პრეფუ-ფიქსის წაჭებმით პირდაპირ კანკლედობრივი ფორმა ჭიდება უღვლილებრივ ფორმად; სრულა-დ — დასრულ-ი-და; ქართულა-დ: გა-ქართველ-ი-და; ახლა-დ: გაახ-ი-და; პირველა-დ: გაპირველ-ი-და, გაა-პირველა-და; მოკლე-დ: და-მოკლ-ი-და, ამა-დ: და-მა-და (აქაც პირდაპირ); მართლა-დ: გა-მართლ-ი-და; ხელა-დ: გა-ხელ-ი-და; სადირა-დ, — განადირა; მდერა-დ: ამდერ-ი-და; ლაღობა-დ: ჭ-ლაღობ-ი-დ(ა); თრეველა-დ: ა-თრევ-ი-და; სათელა-დ: განა-თლ-ი-და; გრძელა-დ, — გა-გრძელ-ი-და; ცუ-და-დ: გაცუდ-და, ღიაღა-დ: გადიდ-ი-და; ძნელა-დ: გაძნელ-ი-და, და სხვა და სხვა.

კანკლედობისა და უღვლილების სრული ურთიერთობა ქართულში სავსებით ცხადვჰყავ ამ უკანასკნელი მაგალითებითა და სხმებიდან. (ნახე: ბუნება ქ. ენ. ეტ. შენიდისა წ. I და II).

ძნელა-დ: გა-ძნელ-ი-და; ჩუმა-დ: გა-ჩუმ-ი-და და სხვა. საზოგადოდ ერთი უგუნური ჭარია ქართველობაში გაგრცელებული, ვითომ ქართველი არ ჭარითობებულეს თავის ენის გრამიტიკის ცოდნასა. რესულმა სკოლამ დაბგარწმუნა რესულ გრამმატიკის საჭიროება და ჩვენი ენის ბუნებრივის შენბას კი გადა-გვაჩვა, გონება გაგიორგულა ჩვენად.

დასასრულ კიდევ საბუთად გიტეგი განვითარებითის ბრუნვის ბოლოსართის — „დ“-ის შესხებ, რომ ამ ფორმისაგან შესდგება და სწაომების ქართული უსრული დრო, როგორც ქართველში, აგრეთვე მეგრულში, და ცხადზე

უცხადესია თვალსილუფლოთათვის, რომ იმურ-ლი „თი-თი“-ნის ხმარება „დ“-ონის მაგირ განვითარებით ბრუნვაში მხოლოდ მეგრულის ენის დალბილებისაგანაა და ქართულის ენის „ამსუბუქებისაგან“ წარმოდგება იმერეთში.

1. კანკლედობა ქართული.

წ. წერ-გა, ნათ. და მიც. წერ-ი-ს, მლო. წერა-მა, მოქ. წერ-ი-თ, განვ. წერ-ა-და, წო-დებ. წერ-ა-ო;

2. უღვლილება წარმოსდგება ქართული კანკლედობიდან.

ს-წერ. ი, ს-წერ-ი-ს, — ს-წერ-ი-თ, ს-წერ-ი-დ-ა-ი-ე, ს-წერ-ი-ო.

3. კანკლედობა მეგრული.

წოდ. ჭარუა, ნათ. ჭარუა-ში, მიც. ჭარუა-ს, მოთხ. ჭარუა-ქ, მოქ. ჭარუა-თი, გან. ჭა-რუა-ო და წოდ. ჭარუა;

4. უღვლილება წარ. მეგრული კანკლედობიდან.

მოთხ. ჭარუნ-ქ, ნათ. და მ. ჭარუნ-ს, — მოქ. ჭარუნ-თ, გან. ჭარუნ-დ-უ-ი-ე, წოდ. ჭარუნე.

მეგრული ენა განვითარებითს ბრუნვაში, მართალია, ამ ბრუნვითს სუთფიქს „ატებაბს“, მაგრამ იგივე მეგრული უსრულს დროში ამ ბოლოსართს კვალად აღადგენს „დ“-ონად; ეს ასეა, მაგრამ იმერლების რადა სჭირით ეს ენის ამსუბუქება? — არ გვესმის ჭემარიტად. ხოლო იგი ვაგლახი თქმა ჰედაგდ პ. მირიანიშვილისა, რომ იმერლე ბაგშვებს არ შეუძლიანთ „ჭ“-ეს გამოთქმა-ო, და ალბად — მე დამიმატებია — დ-ონისადა განგითარებითი ბრუნვა-ში, — სრულად უნადაგო. ამის ვამტკიცებ მე შორაპნელი.

VII. წოდებითი ბრუნვა.

ამ ბრუნვას კანკლედობისას ჭარადა აქვს მოწოდება, ძახლი, ხმობა, მოწოდება შირისა: ო, გაც ანუ გაც თ! ო, დედა ანუ დედა-ო!

ଓ, ওঁধীকাৰী আনুষ লাভার্থ-ত! ও, প্ৰজন আনুষ প্ৰেরণ-তে!

ଏକେବିତାର ଶ୍ରେଷ୍ଠରୁଣୀ ଏଇ ଜ୍ୟୋତିରଜ୍ଞାନଙ୍କ ପାଦମେ
ଏହାଙ୍କିରା ଗର୍ଭମିଳାର୍ଥିରୁକୁଣ୍ଡି, ଅଛି ଏହି ବର୍ଣ୍ଣନାକୁଣ୍ଡିଲେ
ଯେତେବେଳେ ବିନ୍ଦୁରୁଣୀରୁ, “ଶତରିସଲ୍ଲେଖପୁରୁଷଙ୍କବିତା”, ମାତ୍ରାମିଳା
ମାନିନ୍ତି ନେବେବି ବିଶ୍ଵାସ କରୁଥିଲୁକୁ ତୁମମିଳିଲୁ, “ଯେତେବେଳେ
ମାତ୍ରାମିଳିଲୁକରିବାରିରୁ, ଏହାଙ୍କାଳ ଗାମିତ୍ରଙ୍ଗରୁଟିର ରୂପ
ଏହାଙ୍କାଳର ଶ୍ରେଷ୍ଠରୁଣୀର ବିଶ୍ଵାସ କରିବାରିରୁ ଏକା ଶ୍ରେଷ୍ଠରୁଣୀ
ରୁଣ୍ଧେବିରୁ, ଏବଂ ନେବେବି ଗର୍ଭମିଳାର୍ଥିରୁଣ୍ଡିମିଳିଲୁ, - ଗାରିଲା
କ୍ଷିରୁଣୀର ରୁଣ୍ଧେବିରୁଣ୍ଡିମିଳାର୍ଥିରୁଣ୍ଡିମିଳିଲୁକାରିବା. - ଯେତେବେଳେ ବର୍ଣ୍ଣ-
ପ୍ରାଣିଙ୍କରୁଣ୍ଡିମିଳିଲୁକାରିବା ଏବଂ ବିଶ୍ଵାସ କରିବାରିରୁ ଯୁଦ୍ଧ-
ମିଳିଲୁକାରିବା ଏବଂ ବିଶ୍ଵାସ କରିବାରିରୁ ଯୁଦ୍ଧ-
ମିଳିଲୁକାରିବା ଏବଂ ବିଶ୍ଵାସ କରିବାରିରୁ

ბაში: წერად = ს-წერ-ო-დ; ცემად = ს-ცემ-ო-დ;
ფენა-დ = ჰ-ფინ-ო; წეგა-დ = ს-წიგ-ო-დ და სხვ.

ამ მთკლეებ ბრუნვების საზოგადო განშპარტების შემდეგ, შეგუძგები განხილვის სიტყვის სამ წარმოებას, სასხელდო: I სიტყვის პირველის ანუ მანძილადს წარმოებას; II. სიტყვის კანკლედობრივს წარმოებასა და III სიტყვის ულვლილებრივს წარმოებას.

ବ. ଶ୍ରୀ ପ୍ରିସିନ୍.

ბუნებისძეგლობრივი და უქიმთა კრებაზე

გუნებისმეტყველთა და ექიმთა გან-
ვლილი კრებაზე ყველაზე ხშირათ პედა-
გოგიურ სექციის სხდომებს ვესჭრებოდი.
როგორ უნდა აღიზარდოს გონიერი და
კეთილი იდამიანი? — აი უდიდესი თანამე-
დროვე საკითხი, რადგან დიდი უმრავლო-
ბა შეკრებილთა — ექიმები და ბუნების-
მეტყველები იყვნენ, თავის-თავად ცხადია,
რომ უდიდესი ყურადღება ბუნების მეც-
ნიერებას და აღზრდა განათლების საქმეში
იმის მნიშვნელობას მიაქციეს. მრავალი
მოხსენება იყო წაკითხული იმის შესახებ,
თუ როგორ უნდა იქმნას შეტანილი სკო-
ლაში დღეს იქიდან განდევნილი ბუნების
მეცნიერება და რა მნიშვნელობა აქვს
მეცნიერების ამ დარღს ადამიანის აღზრდა-
განათლებისათვის. ამავე დროს ამ სექცი-
ამ სასურველად არ დამაკმაყოფილა. ამის
მიზეზი — ბრძოლის სული იყო. ბუნების-
მეტყველები იბრძვიან. რათა თავის საყვა-

რელ საგანს სკოლაში გზა გაუკაფონ, ერთ ბანაკად შეერთდნენ, რათა იერიში უფრო მხნე და ძლიერი იყოს, ტა ვერ ამჩნევენ, რომ როგორც ხალხთა შორის ბრძოლა მათ შორის კავშირის მომსპობია, ასე მეცნიერების სხვა და სხვა დარგის შეტაკება, მათ შორის ღრმა კავშირის აღმომფერელია. ისეთი აზრი გამოვიტანე, თითქმ ადამიანის სხეულის სხვა და სხვა ორგანო-ნაწილები პირველობისათვის იბრძვიან და იმის შეგნება არ აქვთ, რომ მხოლოდ მათი მწყობრი შეთანხმება, გონივრული, ჰარმონიური ერთობა ჰქმნის სრულს კრკლად — მოაზრე ადამიანს.

მაგრამ მაინც ბევრი რამ საყურადღებო
გამოითქვა კრებებზე, რასაც უეჭველად
ყოფილება უნდა მიექცეს.

ჩვენმა თანამეგმამულებ, ბ. ქავთარაძემ
შინაარსიანი მოხსენება წაიკითხა სკოლაში
ბუნების მეტყველების სწავლების შესახებ.




იგი, ჩვენდა სასიამოვნოდ, იმ გონიერ უმცირესობას ეკუთვნის, რომელიც ბუნების-მეტყველების ცოდნას მხოლოდ ერთ დარგად სთვლის; ამ დარგს ცოდნის სხვა დარგებთა ღრმა და მწყობრი შეთანხმება სკირდება. მოხსენებიდან გამოირკვა, რომ თანამედროვე სკოლაში შეტანილი ნაბეჭდი სახელმძღვანელოები დღითი-დღე უზომლდ იზრდება, სივრცე და სიდიდე ემატება და არავინ კითხულობს, შეუძლიან მოწაფეს ამ აუტანელი მასალის შეთვისება, თუ არა. დღეს სკოლა ასწავლის მოწაფეს, ცდილობს მეტი ცოდნა შესძინოს და ამავე დროს ჰუკრობს იმაზე, რომ ეს მძიმე აუტანელი მასალა ცნებას უქმობს მოწაფეს, თავისუფალი აზროვნების უნარს უსპობს და სჩაგრავს. დიდად საჭიროა დღეს, მოსწრებულად იოხუნჯა ავტორმა, ისეთი მეთოდის აღმოჩენა, რომელიც მოწაფეს ნასწავლის დავიწყებას გაუადვილებს, მის გონიერას ზედ მდებარე მძიმე ლოცეს მოაშორებსო. გაკვეთილი დღეს კლასში არ ირკვევა, არ წარმოადგენს იმ მასალას, რომელზე დაც მოწაფე და მასწავლებლები შეერთებული ძალულონით მუშაობენ, რაიცა მოწაფეს თავისუფალი გამორკვევის, საკუთარი აზროვნების უნარს უღვიძებს. გაკვეთილის დროს მოწაფეს მზა-მზარეულ ცოდნას, უკვე შემუშავებულსა და გამორჩეულ მეცნიერულ ჰქეუმარიტებას ასწავლიან, რომლის შეთვისებას სასტიკად ავალებენ. ამის შედეგი - გონების დაბმობაა. ვინც ამგვარ სკოლას გაივლის, დამოუკიდებელი მუშაობის, თვით-მოქმედების უნარი ეკარგება. იმას მხოლოდ ძალუბს ზერელე მსჯელობა, რადგან ცოდნის ზედა-პირზე ნავარდობასაა ჩვეული; იმ გამჭრიახობის, კრიტიკული განჭვრეტის უნარი არა აქვს, რომელიც ცოდ-

ნის ღრმა შინაარსსა და მნიშვნელობას გაუმხელს აღამიანს. ამგვარი ზერელე ცოდნა—ფუქსავატი თავ-მომწონეობის წყაროა, ზნეობა გამრყვნელია. ამგვარი ცოდნას აღამიანის სულში არ უდგას ფესვები, იგი უფრო წაგავს ჭრელ-ჭრელი ნაჭრებისაგან შეკერილ წამოსასხამს, რომელითაც ფუქსავატი აღამიანი თავ-მომწონედ კოხტაობს.

მეცნიერება თავის-თავად მიზნად გადაიქცა სკოლაში, სამართლიანად შენიშნა ავტორმა, — სკოლის გამგებს არ აქვთ ის შევნება, რომ მეცნიერება კი არ არის აღზრდა-განათლების მიზანი, არამედ მოწაფის, აღამიანის სული, ამ სულის შინაგანი ძალების განვითარება. ცდილობენ სული მეცნიერების კალაპოტში მოათავსონ, ძალად მოიქციონ შიგა და არ ჰყოქრობენ იმაზე, რომ მეცნიერება სულის შინაგან ვითარებას, იმის შედლებას უნდა შეათანხმონ, ჰარმონიულად დაუკავშირონ.

ამგვარი სამწუხარო მდგომარეობის შედეგი ის არის, რომ იმ სკოლებში, საღაც ბუნების მეტყველებაა შეტანილი, საერთო რეჟიმი ცოდნის ამ თავისდათავად საღარებს დაეტყო: იგი სწავლი სულითაა გაულენთილი, დამჭერი ყვავილის ელევტერი აქვს. მასწავლებლებს ავალებენ წინდაწინ შედგენილი პროგრამის ძალით მოწაფეთათვის „ამდენი და ამდენი“ ცოდნის გადაცემას და ეს პროგრამები მოელი სამოსწავლო წლის კურსს კი არ შეეხება, წელიწადი ოთხ ნაწილადაა დაყოფილი და დავალებულია სამი თვის განმავლობაში უეჭველად წინდაწინვე გამორჩეული პროგრამის მიხედვით „ამდენი და ამდენი“ ცოდნის გადაცემა მოწაფეთათვის.

დღევანდელი სკოლა, — განაგრძო ავ-



პრეზიდიუმის მობილური დღის დროის მიზანით სახაზინო თქატრის სცენაზე სეჭვიების საერთო სხდომის დროს,



ტორმა, — სცდილობს გონება, აზროვნების უნარი განუვითაროს მოწაფეს ამ ყალბი და უშინაარსო მეთოდით. რასაკვირველია — ვერ იღწევს საწადელს და ამავე დროს არავითარ ყურადღებას არ აქცევს მოწაფის ნების, ნებისყოფის განვითარებას.

არ შეიძლება არ დავეთანხმოთ პატივუმულ ავტორს. ჩვენ ვიცით, რომ იქ, სადაც თავისუფალი კვლევა-ძიება, დამოუკიდებელი აზროვნება განდევნილია, სადაც ცოცხალი აღამიანი მკვდარი პროგრამის კალაპოტში უნდა მოექცეს, — იქ ნებისყოფის განვითარება შეუძლებელია. თვით სიტყვა „ნება“ შეიცავს სურვილს, თავისუფალ მისწრაფების კვლევა ძიებისას, სადაც ჩემ სურვილს, ჩემს წადილს, თავისუფალი ასპარეზი არა აქვს გახსნილი, როგორ შეიძლება ამ სურვილის, ამ წადილის გამტკიცება, განვითარება? რაც უნდა ცოცხლად მჩქეფარე იყოს ბავშვის, ამ პაწია აღამიანის სულში ნებისყოფის თავისუფალი წადილის ანკარა წყარო, თუ მას გზა არ გაუსხენით, კალაპოტი არ მიეცით, იგი ბოლოს, და ბოლოს დაგუბდება, აშმორებულ გუბედ გადიქცევა. თავისუფალი, ცოცხალი რკვევა ბაასი მოწაფესა და მასწავლებელს შორის, პროგრამის მკვდარი განკარგულების გარეშე, ბავშვს მუდამ მღვიძარე ცნობის მოყვარეობას ცოცხალ მასალის აძლევს, როთაც მას უფრო განაცხოველებს, სიმტკიცეს და ზრდა-განვითარების უნარს ანიჭებს. მკვდარი მასალის შეთვისება — ნებისყოფის სამუდამოდ მკვლელია.

დავუბრუნდეთ ისევ ბ. ქავთარაძის საინტერესო მოხსენებას. ბუნების მეცნიერება, — განაგრძო მან, — წმინდა ზნეობის წყაროა. ბავშვი, რომელიც უკვირდება იმას, თუ როგორ ცხოვრობს მის გარშე-

მო გადაშლილი ქვეყანა, მცენარე, უნდა რუტყვი და ადამიანი, თანადათან ერგვება ობიექტიურ მსჯელობას ზნეობის შესახებ: ბუნებასთან კავშირი, მსოფლიოსთა ურთიერთობა — ულვიძებს ადამიანს წმინდა ესოეთიურ გრძნობას, ფაქიზი, უმწივალო მშვენიერების შეგნებას. ეს მშვენიერება ყველგანაა გაფანტული ამ მსოფლიოში; ბავშვს მხოლოდ წმინდა ფაქიზი გემოვნების უნარი უნდა გაულვიძოთ, და ამ მშვენიერებას იგი ბუნების კალთაში ყველგან აღმოაჩენს.

ექიმთა და ბუნების მეტყველთა სხდომებზე არც ერთი მოხსენება არ წაკითხულა იმის შესახებ, თუ რა ღრმა კავშირი არსებობს ცოდნის სხვა და სხვა დარგის შორის. გამეფებული იყო ვიწრო პარტიული შეხედულება. ამიტომ ბუნების მეტყველების მნიშვნელობაც არ იყო გონივრულად და საცხებით განათებული. ვინც ცოდნის სხვა დარგებს ვერ სცნობს, თავის საგანსაც რიგიანად ვერ გააშუქებს; რადგანაც არ ესმის, რა ადგილი უჭირავს ამ საგანს მეცნიერების საერთო ფარგალში.

ერთ პედაგოგს ვესაუბრე ამის შესახებ, და გულ-უბრყვილოდ მომიგო: როცა გავიმარჯვებთ და ბუნების მეტყველებას სკოლაში ადგილს დაუმტკიდრებთ, შემდეგ თავის თათავად აღმოჩნდება და გამოირჩევა იმისი კავშირი ცოდნის სხვა დარგებთანაო. უცნაური ვიწრო შეხედულებაა. გამოდის, რომ ამ წუთი-სოფელში იმარჯვებს მხოლჯდ ფანატიზმი, ერთგვარი სიბრძმავე: როცა სიბრძმავე, როცა ბრმა გაიმარჯვებს, შემდეგ თვალები აესილებათ. მოლით და იწამეთ ამგვარი ფილოსოფია!

ძალიან მცირედ შეეხო კრება თანამედროვე საყურადღებო მიმართულებას ალ-

ზრდა-განათლების სფეროში — თავისუფალ სკოლას, თავისუფალ აღზრდა-განათლების პრინციპს: მსჯელობდნენ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაუმჯობესებულ იქნას თანამედროვე სახაზინო სკოლა და უცურადებოდ დასტოვეს ის საკითხი, რომელიც აღზრდა-განათლების ასპარეზზე მოწინავე მოღვაწეთ ღრმად აფიქრებს და

აღელვებს: აღზრდა-განათლების შირითადი, რადიკალური რეფორმა — ისეთი სკოლის მოწყობა, სადაც აღმზრდელები და მოწაფები ამხანაგურად იქნება აღიარებული არა უფროს-უმცროსობა, როგორც დღეს არის, არამედ სრული თანასწორობა და მოწაფეთა მიერ სასწავლო საგნის თავისუფლად არჩევა.



საბეჭდაგოგიან სექციის სხდომა ქ. ზუბალაშვილების სახელობის სახალხო სასლაში.

არავინ შექხებია ამ ღრმა მნიშვნელოვან საკითხს, არავის უთქვამს, რომ უკვე რამდენიმე ცდა, ბრწყინვალედ დაგვირგვინებული, რუსეთსა და ევროპაში, ამ ოცნებას სინამდვილედ აქცევს. არავის გაპესენებია, მაგალითად, შაკისა, ზელენკოს და მათ თანამოაზრეთ თავისუფალი

სკოლა მოსკოვში ღარიბ ბავშვებისათვის, სადაც ღრმა-მნიშვნელოვანი პრინციპი იყო დაცული — სწავლება მუშაობის, ხელ-საქმის დროს, რადგან ბავშვი ბუნებით მუშა, მოსაქმეა. ეს მუშაობა-საქმიანობა აღზრდა განათლების საფუძვლად უნდა დაიდოს. ამიტომაც შაკისა და იმის მე-

კომბრების სკოლაში არა კარ-დახშული კლასები, არამედ სახელოსნოები იყო, სადაც ხელმძღვანელთა მეთაურობით ამ-ხანაგური მუშაობა იყო გაჩაღებული და აღმზრდელ მოწაფეთა შორის თავისუფალი ბასი, აზრების გაზიარება იყო. ამ სკოლის დღიურები ხელთა გვაქვს; ("Дѣ-ти работники будущаго". Мюсекви, изданіе Постредника). Амას გარდა ერთი ჩემი ქალაქელი მეგობარი ეწვია ამ სკო-ლას, გაიცნო იქური სწავლების მეთო-დი და აღტაცებული დაბრუნდა ტფუ-ლისში.

დღეს ეს თავისუფალი სკოლა აღარ არსებობს, დაიხურა „დამოუკიდებელ მი-ზეზთა გამო“. მაგრამ ბრწყინვალე ცდა ამაოდ არ დარჩება. ახლო მომავალში, როცა ცხოვრების პირობები შეიცვლება, ისევ ფრთას შეისხამს და განახლდება.

როცა ვეკიოხებოდი კრების წევრებს, რატომ არავინ ეხება ამ დიდად საყურად-ლებო თავისუფალ აღზრდას განათლების პრინციპს-მეთქი, მორცხვად მიპასუხებ-დნენ: „დიდი უმრავლესობა წევრებისა სამსახურის კაცები, პედაგოგები და ეში-ნიათ ამ სახიფათო საკითხის შეხებისაო“.

მაგრამ მაინც თითო-ოროლა მოხსენე-ბაში გამოკრთა აღზრდას განათლების ახა-ლი მიმართულების სხივი.

ბ. მალიშევმა, რომელიც პეტერბუ-რის ერთ საუკეთესო სასწავლებელში იყო მასწავლებლად, ეგრედ წოდებულ ტენი-შევის სკოლაში, საინტერესო მოხსენება წაიკითხა, სადაც ამტკიცებდა, რომ წინ-დაწინ არჩეული მეთოდი გზა სწავლე-ბისა — ყალბი მიმართუებააო. სკოლაში უნ-და არსებობდეს არა განყენებული მეთო-დი, არამედ ცოცხალი, მოსიყვარულე ადამიანი, რომელიც ბავშვებს დაუახლოვ-დება და როცა მათ სულიერ ვითარებას

გაეცნობა, მხოლოდ მაშინ გამოსაკვეთს, თუ სწავლების რა მეთოდს უნდა მიმო-თოსო. ბავშვების ბუნებრივ სულიერ მის-ტრაფებას უნდა შეათანხმოს მასწავლებელ-მა სხვა და სხვა მეთოდი და არა მეთოდს ეს თავისუფალი მისტრაფება ანაცვალოს.

ჩემთან პირადი საუბრის დროს მაღი-შეემა საყურადლებო ცნობები გადმომცა. ტენიშევის სკოლაში, პეტერბურგში, სა-დაც ის მასწავლებლად იყო, სრულებით აკრძალული არ ყოფილა მოწაფეთათვის თუთუნის წევა და ამავე დროს ბავშვები იქ თუთუნს არ სწევენო. რა არის ამის მიზეზი? რასაკირველია, მასწავლებელთა კეთილი გავლენა, პირადი ზნებობრივი მა-გალითი და არა ისეთი სასაცილო და უკუნური ქცევა, როცა პირში პაპიროს-ამოჩრილი დღევანდელი მასწავლებელი მოწაფეს სასტიკად უბძანებს: „არ გაძედო და არ ჩაიდგა პირში ის, რასაც ჩემ პირ-ში ჰქედავო!“ ამ უსულო, მეხანიკური განკარგულებრის შედეგი ის არის, რომ მოწაფეები მასწავლებელს არ უჯერებენ, გულში ანგარიშობენ: ალბად კარგი რამ ყოფილა ეს პაპიროსი, რომ მასწავლებე-ლი პირიდან არ იშორებსო; ჩვენც კაცე-ბი ვართ და მოდი ჩვენც ფარულად ამ სიამეს დავეწაფოთო.


შაცკის და მისი ამხანაგების სკოლაში შემდეგი დიდად საყურადლებო შემთხვევა მოხდა. სკოლას ეწვია ერთი გამოჩენილი ამერიკელი პედაგოგი. როცა იგი შაცკის-თან საუბრობდა, ამ უკანასკნელს მიუა-ხლოვდა ერთი ოორმეტი წლის ბიჭი, რო-მელისაც პაპიროსი ეჭირა და სწევდა. შაც-კიმ მიმართა პატარა ბიჭს და უთხრა: „სიმონ, ხომ ხედავ აქ ქალალდებია გა-ფანტული, ადვილი შესაძლებელია ცეც-ხლი წაეკიდოს: ამ ოთახში გადი და პა-პიროსი იქ მოსწიეო“.

ამერიკელ პედაგოგს დიდად ეოცა ეს არა ჩვეულებრივი მოვლენა. შაცის მიმართა და კითხა: ნუ თუ ოჯვენ სკოლაში ბავშვებს თუთუნის წევას არ უკრძალოვთ“.

„მშრალი აკრძალვით თავის დღეში ვერ მივაღწევთ საწადელს“, — უპასუხა შა-

ცკიმ: „როცა ბავშვი მუშაობაში ჩაეტანა, მასწავლებლებს და მოწაფეებს გაეცნობა, იმათ კეთილ გავლენას განიცდის, თავისთავად დაეთხოვება ბევრ მავნე ჩვეულებასაო“.

ეს სიტყვები ღრმა და საყურადღებო გამოცდილების შეგეგი იყო.



სექტის შეერთებული სხდომა ტფ. სახაზინო თეატრში

საინტერესო მოხსენებებანი წაიკითხეს პეტერბურგელმა მასწავლებლებმა რაიკოვმა და გენკელმა. რაიკოვმა ბუღდოვანი სურათები საშუალებითს გვაჩვენა და აგვისნა ის სწავლების მედოთი, რომელიც პეტერბურგის ერთ ახალ სკოლაში არსებობს. ბუნების მეცნიერების შესწავლას იქ საფუძვლად უდევს ექსკურსიები საუბრებით და შეკრებილ ბასალის შესწავლა კლასში. კლასში მუშაობა სამ დარგად იყოფა. ეგრედ წოდებული ინდივიდია ლური, პიროვნული მეთოდი: თითოულ

მოწაფეს ცალკე, სხვებისაგან დამოუკიდებლად, მასალას აძლევენ კვლევა-მუშაობისთვის. იგი თავისუფლად ვარჯიშობს, კრიტიკული უნარი ელვიძება; მასწავლებელი კი მხოლოდ ხელმძღვანელობას უწევს. ფრონტალური მეთოდი: როცა მთელი კლასი, მასწავლებლისაკენ პირმოქცეული, ერთნაირ სამუშაოს ასრულებს. ჯგუფური მეთოდი: როცა მთელი კლასი ჯგუფათაა დაყოფილი და თითოეულ ჯგუფს ცალკე სამუშაოს აძლევენ, საერთო კვლევა ძიებისთვის.



„ვერც ერთ ნაჩვენებს მეოთოდა“, — განაცხადა რაიკოვმა, — „ჩვენ უპირატესობას ვერ ვაკუთვნებთ. თვითონ მასწავლებლმა საგნისა ბავშვების სულიერი განწყობილების მიხედვით უნდა აწარმოოს საქმე, უნდა აირჩიოს და შესცვალოს მუშაობის სხვა და სხვა მეოთოდით.

მოხსენების გონიერი საფუძველი — ბავშვის სულის განსჭვრება იყო, ახალი მისართულება აღზრდა-განათლების საქმეში, რომელიც ბავშვის სულისა და თავისუფალ მისწრაფებას ყველაზე მაღლა იყენებს და სწავლებას ამ სულის ვითარების მიხედვით უძლვება.

გენკელის მოხსენება ეხებოდა ბუნების მეტყველების სწავლებას კლასში სწრაფი ხატვის დახმარებით.

მშრალი, გაუგებარი აწერა ცხოველთა და მცენარეთა ყოფა-ცხოვრებისა ხატვის მეოხებით ცოცხლდება, მოძრავი, ხილული სახე ენიჭება. ბავშვის სულიერი ვითარება მოითხოვს არა განყენებულ სიტყვებს, არამედ ცხად, ხილულ ფორმებს. მაგალითად, მოუთხრობთ ბავშვს, ესა და ეს წყლის ცხოველი იმიტომ მოძრაობს, რომ მოძრაობის იარაღად ბეწვები აქვს ტანზე გამოსხმული, ამ ბეწვებს ანძრევს და ნელ-ნელა მოცურავს წინაო. ეს და ეს წყლის ცხოველი კი უფრო ჩქარა მოძრაობს, რადგანაც ტანზე ნიჩის მსგავსი სამოძრავი იარაღი აქვსო.

ეს განმარტება მკრთალი იქნება, თუ

ბავშვის თვალ-წინ დაფაზე გაკრულ წერტილი ქალალდზე არ დაუსურათო.

გენკელმა ცოცხლად დაგვისურათა ეს ორი მომენტი ცხოველთა მოძრაობისა: დახატა ნავი შიგ მჯდომარე ბავშვით, რომელსაც მარჯვენა და მარცხენა ხელში მათრახება უჭირავს და ნავის წინ წასწევად ამ მათრახებს წყალსა სცემს. დახატა აგრედვე მეორე ნავი, შიგ მჯდომარე ბავშვით, რომელსაც მარჯვენა და მარცხენა ხელში ნიჩბები უჭირავს და ამ ჩვეულებრივი საშუალებით ნავი წინ მიჰყავს.

ვინ უფრო ჩქარა მოძრაობს? მიაწერა გენკელმა ქვეშ ამ ორ სურათს. ასე ცოცხლად დასურათებული მოძრაობა ცხოველებისა ბავშვს, რასაკვირველია, სამუდამოდ აღებეჭდება გონებაში, მით უმეტეს. რომ ხატვა — ბავშვების საყვარელი საგანია და ყოველთვის ხალისით ეკიდებიან.

დავასრულოთ ჩვენი მოკლე მიმოხილვა.

განვლილი კრების მნიშვნელობა, ჩემის აზრით, არა რეფერატების კითხვაში, არა მედ რუსეთიდან მრავლად ჩამოსულ ნას წავლი ხალხის მიერ ჩვენი ქვეყნის გაცნობაში გამოიხატა. ოთხი ათასი კაცი ეწვია კავკასიას, გაეცნო ჩვენ საინტერესო კუთხეს. ბევრი ყალბი შეხედულება, კავკასიის შესახებ შეზგენილი, შეიცვლება და კავკასიაში მოსახლე ერების საჭიროებას რუსეთის განათლებული ხალხი მეტის ყურადღებით მოეკიდება.

ი. ნაკაშიძე.



ასურული წარწერები ქართული
ტომების შესახებ*)

ქ რ ც ერთი ერი არ ყოფილა ისე მო-
წადინებული რომ უკვდავ ეყო თვეისი სა-
ხელი, როგორც ასურელები, სამართლია-
ნად შენიშვნავს ერთი მეცნიერი, მაგრამ
შეიძლება ითქვას, არც ერთ დიდ ერს არ
დაუტოვებია ისე ცოტა ნაშთები, რო-
გორც ასურელებს. მიზეზი ამისა ის უნდა
იყოს, რომ ასურეთი მეტად ლარიბი იყო
ქვით, სხვა ნაშთები კი (უმთავრესათ აგუ-
რი) ისე კარგათ ვერ იტანენ დროთა
ზედგავლენას. რამდენად მოწადინებულნი
იყვნენ ასურელები, რომ მათ სახელს
დროთა სვლა ეძლია, ამას ის წყევლა-
კრულვა გვიმტკიცებს, რომელიც მათ
წარწერებს უძღვის ხოლმე ხშირათ წინ.
აი ამ წყევლის ფორმულაცია: „ვინც ჩემი
წარწერა დაამტკრიოს და გადაყაროს,
წყალში ჩაგდოს ან ცეცხლში დასწვას,
მიწაში დაფლას, წიგნთ-საცავში ან სხვა
ფარულ ადგილს (ამოშლილია) ჩემი სახე-
ლი ამოშალოს და თავისი ჩაუმატოს ან
სხვა რამით დააზინოს იგი, ანუ და რა-
მანმა, დიღმა ღმერთებმა, ჩემმა მეუფეებმა,
შეპხედონ მას მწყრალის თვალით, (განუ-
კურნებელი) სენი მოავლინონ მის თავზე,
დასცენ მისი სამეფო და ნიადაგი გამოა-
ცალონ მის ტახტს, შეატეხონ მას ხელში
იარალი, (რამანმა) ნუ მოუშალოს მის
ჯარს დამარცხება, (რამანმა) დასოს იგი
პყრობილი თავის მტრის წინაშე. დამე-
ხოს მისი ჭვეყნა (ყოველგვარი) უბედუ-

რობით და შიმშილი, სიკვდილი, ჭირი
და ვარამი მოუკლინოს მას, არ აცაც-
ხლოს იგი არც ერთ დღეს და მისი ოქს-
ლი და სახელი მოსპოს“.

ასურელების ასეთი პატივის მოყვარულობა საბეღნიეროთ ძალიან სასარგებლოვანი გამოდგა მეცნიერებისთვის. წინათ თუ ამ ქვეყნის და საერთოთ წინა აზიის ისტორია ბერძნების ზღაპრული გადმოცემების მიხედვით იწერებოდა, დღეს ბევრი პოზიტიური ცნობა შევძინეს წარწერებმა; ჩვენთვისაც უაღრესი მნიშვნელობისანი აღმოჩნდენ ეს წარწერები, რადგან მათ შუქი მოჰყონეს ჩვენს დაჩრდილულ ისტორიას.

ქართულ ისტორიას, ასე ვთქვათ, წარ-
მოდგენაც კი ორ ჰერითა ქართველების
იმ ძველ ისტორიულ მნიშვნელობაზე და-
დიდებაზე, რომელსაც ეს წარწერები აშ-
კარათ ჰყოფენ; ამიტომ შეიძლება ითქვას,
რომ მათ მკდრეობით აღადგინეს ძველი
საქართველო და ნათლიათ დაგვანახვეს მი-
სი მნიშვნელობა.

*) მოხსენება, წაკითხული ქართ. საისტ. და საეთ. საზოგადოების კრებაზე 15 მაისს.



ზევიდან თავის ხუთი მეფით და დაიპურეს კუმუნი, ჩემი უფლის ასსურის მოიმედემ მე მოუყარე თავი ჩემს ჯარს და საომარ ეტლებს. გავიარე კაზიარის უგზო ჭალა უკან მოუხედლივ, შევებრძოლე მათ 20 ათას კაცს და 5 მეფეს და დავამარცხე ქარიშხალივით სასტიკ შეჯახებაში, მე მოვფინე მათი მეომრების გვიმებით მინდვრები. მე დავანთხიე მათი სისხლი შალალ მთებზე და ხევებში. მე დავსჭერი მათ თავები და ფეტვივით მოვუანტ მათი ქალაქების მიდამოებში მათი ნადავლი და მთელი ქონება მე წამოვიდე თან. გადარჩენილი 6 ათასი კაცი, რომელნიც შეუშინდენ ჩემს იარაღს და მუხლებზე მომეხვიენ მე წამოვიყვანე თან და შეუერთე ჩემს ქვეშევრდომთა რიცხვს.

როგორც მოგახსენებთ ეს წარწერა მე XII საუკუნის მე II ნახევარს ეკუთვნის, მაგრამ იგი, როგორც თქვენც დაინახეთ ნახევარი საუკუნის კიდევ უფრო წინაამბავს შეიტავს. ეს ამბავი ე. ი. ასურეთის პროვინციების ალკის და პურუკულცის დაპყრობა, რომელიც ტიგლატ-პილესარის სიტყვით 50 წლის წინათ მოხდა, ცნობილი ისტორიკოსის ფრიც ჰიმმელის ვარაულით მეფე ასურდანის დროს უნდა ეკუთვნოდეს; ეს უკანასკნელი კი მისივე ანაგარიშით 1190-1155 წლებს შეა უნდა ყოფილიყო მეფეთ. მაშასადამე, კუმუნში შესვამდე, კუმუნში ჩასვლამდე კიდევ უფრო წინათ ე. ი. მე XII საუკ. დასაწყისში ალკის და პურუკულციში ჩასვლან, დაუბყრიათ ეს ასურეთის კუთხილი პროვინციები, ასურეთს არ სცალოდა მაშინ, ალბათ, რომ იარაღით ხელში წინააღდგომოდა მათ მისწარაფებას და ამიტომ შერჩენიათ კიდევაც მესხებს ეს ქვეყნები ტიგლატ-პირველის დროს, რომლის დრო-საც ასურეთის ძლიერებამ მაღალ საფე-

ხურს მიაღწია, მათ ხელახლი დაუწერებულ კიდევ უფრო სამხრეოით და დაუბყრიათ კუმუნი. მაგრამ ტიგლატ-პილესარის დროის ასურეთს აღარ მოუთმენია ის, რაც ასურდანის დროისმა ასურეთმა მოითმინა და იარაღით ხელში წინაღგომია მათ დაბყრობით პოლიტიკას. მა პროვინციების ადგილ-მდებარეობა მეცნიერების აზრით ასეთია; ჰომემელის სიტყვით ორივე ეს ქვეყანა მიზიუსის ე. ი. არარატის დასავლეთით მდებარეობდა. მტრეჯის განმარტებათ ალკის საზღვრები ესეთი უნდა ყოფილიყო:

აღმოსავლეთით ურარტუ და დასავლეთით ნარდანუ და მირპისუმდე; რაღან უქარტოთ ამ საზღვრების გათვალისწინება ძნელია, ამიტომ ჰიუბშმანის მიხედვით შემიძლიან აღნიშნო, რომ ეს ალკი იგივე სომხური ჰანგითაა, რომელიც ანის ტბის პირდაპირ ეფრატის გადაღმა მდებარეობდა. პირველი დასკვნა, რომელზეც დაც ეს წარწერა აშკარათ მიგვითითებს, შემდეგია. მესხებს მე XII საუკუნემდისაც ხანგრძლივი და სახელოვანი ისტორია ჰქონიათ. ამას ჯერ ერთი ასურეთთან შეჯახების ფაქტი გვიკარნახებს. თვით წარწერის მოწმობა, რომ ესენი არც ერთ მეფეს არ დაუმარცხებიან ხომ ყოველ ეჭვის გარეშეთ ჰყოფს ამ დასკვნას. დიადია ის პერსპექტივა, რომელსაც ეს მოწმობა გვიშლის, მაგრამ ჯერ ჯერობით იგი უქმია, საუბედუროთ, ჩვენთვის, რაღან ჩვენ არავითარი ცნობის ნასახი არ მოგვეპოება იმის შესახებ, თუ ვინ უნდა ყოფილიყვნენ ეს მე XII წინა მესხებისგან ძლევული მოპირდაპირები. საიდან გა-ჩნდენ მესხები აქ – ეს კითხვა მათი ბინადრობის კითხვასთანაა დაკავშირებული. მისი ასე თუ ისე საბოლოოთ გადაჭრა კი ჯერ-ჯერობით ძნელია, წარწერა გვეუბ-

ნება, რომ ასურდანის მეფობის დროს მესხები ალციში ჩასულან. ტიგლატ I დროს მათ კიდევ უფრო სამხრეთით ჩაუწევიათ, აქედამ აშკარათ სჩანს, რომ მათი მსვლელობის გზა ჩრდილოეთიდამ სამხრეთისკენ ყოფილა მიმართული. თუმცა ეს ცხადია, მაგრამ იმის განმარტვა, თუ საიდამ დაიწყო ეს მოძრაობა, ძელია. ჩვენი ნიჭიერი მკალევარის ბ-ნ ჯავახიშვილის აზრით ასურული ხანის ქართველების საბინადრო სამხრეთი იყო. მე სხვაგანაც მითქვამს და ეხლაც ვიმეორებ, რომ ეს აზრი უსაფუძვლოა. ე. ი. მის დასამტკიცებლათ ჩვენ არასფერი საბუთი არ მოგვეპოება. პირიქით, მათი მსვლელობის მიმართულება ძალაუნებურათ სულ წინააღმდეგზე მიგვითითებს, რომლის მომხრეთაგან მე შემიძლიან დავასახელო მეცნიერების ისეთი კორიფეები, როგორც კიპროტი, მაიერი და შრადერი. მე ხელთარ მაქვს საუბედუროთ ამ მეცნიერების შესაფერი ნაწარმოებნი, რომ სავსებით და სიტყვა სიტყვით მოვიყვანო შესაფერი ადგილები, ამიტომ დავქმაყოფილდები მხოლოთ მაიერის მოწმობით, რომელიც დაახლოვებით შემდეგსა სწერს თავის ძველი ისტორიის მე-II გამოცემაში.

„კავკასიის ნიადაგი მრავალ პატია ერს უჭირავს. რამდენადაც ეს გამორკვეულია, ამ ერებს ერთი ერთმანერთთან არავითარი ნათესაური კავშირი არ უნდა ჰქონოდეთ, უკელაზე უფრო მნიშვნელოვანი ამ ერებ-

ში იბერებია“. შემდეგ მაიერილებულის იბერების მოძმე ტომებს: მეგრელებს, სვანებს, ლაზებს და დასძენს: „ეპვს გარეშეა ეს ტომები ხან გამოშვებით ძალიან შორს უწევდენ სამხრეთ და აღმოსავლეთ მცირე აზიის საზღვრებში“. ვისაც ძველ ისტორიაზე წარმოდგენა აქვს, იმან იცის, რა არის მისთვის მაიერი. ამიტომ მე აღარ აღვნიშნავ იმას, თუ რამდენათ საყურადღებოა მისი აზრი. მაგრამ მაიერსაც რომ არ ეკუთვნოდეს, მაინც ჭრარიტებაზე ახლო იქნებოდა ეს აზრი. აი რატომ: იმ ტერიტორიაზე, სადაც ასურეთის ახალ ხანაში მესხებს და მათ მოძმეებს ვხედავთ, მათზე წინ, ესე იგი მე XII საუკუნებიდე, ხეტებს ვხედავთ. საღუნდა ყოფილიყნენ ამ დროს ეს ტომები? შეიძლება გვერქვა, რომ ესენი ხეტების ქვეშევრდომების სახით იქვე ცხოვრებდენ, სადაც შემდეგ ისენებიან, მაგრამ ამას შემდეგი საყურადღებო და უტყუარი დასკვნა ეწინააღმდეგება; ასურულს ხანაში მესხები წარმოადგენდენ ხეტელების პოლიტურ მეტკვიდრეებს, რომელთა გავლენა და ძლიერება იქამდინ უწევდა, სანამდინ სწვდებოდა თვით ხეტელების ძალა და კულტურა; ეს დასკვნა ეკუთვნის ცნობილ ერიენტა ვინკლერს, რომელმაც 1896 წელს თვითონ აღმოაჩინა ხეტელების სატახტო ქალაქი და მათი კულტურის მრავალი ნაშთი.

ა. სვანიძე.

(დასასრული იქნება)





କୁରୁକ୍ଷୁରୀ କୁରୁକ୍ଷୁରୀ

„ମିଳିବାରେ କରାମଜାରି“
ଅନ୍ତରେ ମହିମାଦିଲୀବାରେ ଦରାଖା

ଓଡ଼ିଆ ପ୍ରକାଶନ କେନ୍ଦ୍ର :

მიხეილ კრამერი — მხატვარი, საიმპერატორო სამხატვრო აკადემიის მასწავლებელი. ქალბატონი კრამერისა, იმისი ცოლი.

არნოლდ კრამერი, მიხეილ კრამერის შვილი, მხატვარი.

მიქალინა კრამერი, მიხეილ კრამერის ქალიშვილი, მხატვარი.

ლახმანი—შხატვარი

ალმინა ლახმანისა — ამისი კოლი

კრატიზე — სამხატვრო აკადემიის მოსამსახური

ଲୋକା ଦେଖିଲୁ—ରାଜସହିତଙ୍କାଳିର ପାଇଁ ଦେଖିଲୁ।

କେଉଁଳାଇବିଲାପାଣି ଦେଖି

အဆုတ်အသန မြန်မာ

ଜୀବନ ପୂରାଣ୍ଟ ଧୀରମି

კვანტმაიერი

ბერტა—კრამერის სახლში მოსამსახურე ქალი.

জুরিয়ে রাজস্বকরণীস প্রেলন্ধৰণ (মোসামসাৰ্কুৰণ).

მოქმედება სწარმოებს გერმანიის ერთ-ერთ უმთავრეს ქალაქში

მოქანდაკის პირველი

დიდი, გრძელი და ოდნავ განათებული თოახი. ზამთრის დილაა, ასე ცხრა საათი. კუთხე-
ში, სტოლზე დიდი ფანჯრის მახლობლათ სდგას ჭერაც ჩაუქრობული დამპა და დილის
ეკვის შემდეგ მიუღავ გაბეჭდი ჭურჭელი. თოახის მორთულობა ჩვეულებრივია. მიქალის შავ-
გვერდის ქალია, ემსიანი. სკამზე ზის სტოლის მახლობლათ და ბაზირზე ეწევა, მუხ-
ლებზე გადამდიდრი წიგნი უქვეს. უგანა კარგიდან შემდის ქალბატონი კრაპერისა, სახლს
ალა გებს, დაფუსფუსებს. ქ-ბატ. კრაპერისა ხაშმი შესეღბა, ჭადრა შერთული, ასე 56
წლისა, დაუწენარებული, მუდამ რამეზე სწებს.

ქალბ. კრამერისა. მიქალინა, შენ აქა
ვე ხარ? განა ჯერ დრო არ არი?

მიქალინა. (მცირე სიჩუმის შემდეგ უპა-
სუხებს) არა, დედი! ჯერ აღრეა. გარეთ
თითქმის ისტყვა ბნელია.

ქ. კრამერისა. მიქალინა, საქმეს მიხე-
დე. არ დაგიგენიანდეს.

მიქალ. არხეინათ იყავ, დედი!

ქალ. კრამერ. ამიტომ რომ... მარ-

ოლაც და... ეხლა შენ თვითონ უნდა
ზრუნავდე ემაგეებზე. უამისოთაც მე ათა-
სი სხვა საჭმე მაქვს.

მიქალინ. ჰო, დედი, რასაკვირველია.
(შპართულს ეწება, თან წიგნში ჩაიუსრება).

ქალ. კრამერ. რას კითხულობ? რა არის
მუდამ მაგ წიგნში ჩაყურება?

მიქალინ. შენი აზრით, მაშ მე წიგნი
არ უნდა ვიკითხო?

ქალ. კრამერისა. რა მენაღვლება, იკი-
თხე! მაგრამ ნეტავი შენ, რომ გეხალი-
სება წიგნში მაგდენი ჩაყურება?

მიქალინა. ხალისს რო უყუროს ადა-
მიანმა ვერაფერს ვერ მოწევა!!

ქალ. კრამერ. წასვლისას მამას არა
უერთ უთქვაში?

მიქალინ. არა!

ქალ. კრამერ. ეგ უარესია, რო არა-
ფერს ამბობს.

მიქალინ. ჰო, მართლა, კინაღამ დამა-
ვიწყდა. არნოლდს დაუბარა, სწო-
რეთ თერთმეტ საათზე სახელოსნოში მი-
ვიდეს.

ქალბ. კრამერ. (ფეხის ქარჯის ხუთავის,
ბურდს უჭერს და მერე დრმათ ოხრავს.)
ჰა!! ჰ... ოჯ, უფალო და ღმერთო ჩემო!

მიქალინა. მე მომბაძე, დედი; ეცადე
სხვა რამეზე ითიქრო. ახალი ამბავი ხომ
არ არის, ეს ყველაფერი ჩვენ ვიცით კარ-
გა ხანია, და არნოლდიც, სულ ერთია,
არას დროს არ გამოიცვლება ამ მხრივ!

ქალ. კრამერისა. (სტოლთანა ჯდება,
დაუკდნობა ხელის გულებზე და ოხრავს)
ახ, თქვენ რო იმისი არაფერი გაგეგებათ?
იმისი არა გაგეგებათ რა; არა გაგეგებათ
რა! მამა კი—დალუბავს უცეველია.

მიქალინა. შენი ეგ არ მამწონს, დედი,
რო მაგისთანა რამეს აიხირებ ხოლმე. სა-
შინელი უსამართლო ხარ! მამა, რაც კი
შეუძლიან, არაფერსა ზოგადს არნოლდისა-
თვის; ყველა საშუალება სცადა მაგაზე.
მით უარესი, დედი, ამეების გაგება თუ
არ გინდა.

ქალ. კრამერისა. მამიშენის შვილი
ხარ! მე ეს კარგად ვიცი.

მიქალინა. ჰო? შენი და მამისების შევ-
ლი ვარ!

ქალ. კრამერისა. არა, უფრო მეტად
მამისა, ვიდრე ჩემი: შენ რო უფრო ჩემი
შვილი იყო, მუდამ მამის მხარე არ გეჭი-
რებოდა.

მიქალინ. კარგი ერთი, ტყუილათ გულს
ნუ გავიშვოთებთ. მუდამ იმას ვცდილობ,
რო, რაც შეიძლება, სამართლიანათ და
მიუდგომლათ მოვიქცე, მაგრამ საყვედუ-
რი მაინც არ მცდება: ამისი, ან იმისი
მხარე გიჭირავსო. დედი, მერწმუნეთ რომ
თქვენ ამწარებთ სიცოცხლეს.

ქალ. კრამერ. მე ჩემ ბიჭს ვექომაგები
და მეტი არაფერი. თქვენ რაც გინდათ
ისა ქენით.

მიქალინ. საკვირველია, როგორ იტ-
ყვი ხოლმე მაგისთანა რამეს?

ქალ. კრამერ. საქმე ისაა, მიქალინა,
რომ შენ სრულებით ქალი არა ხარ. არა-
ფრით არა გევხარ დედაკაცს. შენ ლაპა-
რაკობ, როგორც მამაკაცი, აზროვნობ
როგორც მამაკაცი. რის მაქნისია ამისთა-
ნა ქალი!?

მიქალინა. (მხრების აწევით) თუ ეგ მა-
რთალია, დედი... არა მგონია, რომ ეხ-
ლა ვისმესლა შეეძლოს ჩემი გამოცვლა!?

ქალბ. კრამერ. კი შეგეძლო, გამოცვ-
ლა, მაგრამ არ გინდა!

მიქალინა. დედი... სამწუხაროთ, ეხლა
მე უნდა წავიდე. დედი, ნუ დარდობ,
ნუ შფოთავ. შენ ეხლა ხომ სრულებით
იმას არ ლაპარაკობ, რასაც ფიქრობ.

ქალბ. კრამერისა. სწორეთ იმას—რა-
საც ვფიქრობ. ეს ისე მართალია, როგო-
რათაც ის, რო ეხლა შენ წინა ვდგევარ!

მიქალინა. თუ მართლა ასეა, დედი, ძა-
ლიან სამწუხაროა ყველა ჩვენთვის.

ქალბ. კრამერისა. საზოგადოთ ჩვენა

გვტანჯავს და სულს გვიხუთავს შამიშენის მტარვალობა.

მიქალინა. გთხოვ ერთხელ და სამუდამოთ... მე არც როდისმე შიგრძენია მამიჩემის მტარვალობა და არც ეხლა ვერდნობ. მე ვაღმერთებ იმას.— შენ ეს ძალიან კარგათ იცი! საზიზლარი ცილისწამება იქნება...

ქალბ. კრამერისა. ჰო! მიქალინა .. ჯერაც არ გითქვამს...

მიქალინა. ...თუ მითქვამს, რო მამა სასტიკია და მავიწროებს მეთქი; სამაგიეროთ ქვეყნაზე აღამიანი არ არის, რომელსაც ისე უსაზღვროთ ვემადლიერებოდე, როგორათაც მას.

ქალბ. კრამერისა. არც მე?

მიქალინა. სამწუხაროთ არა! როგორია და ან რა არის ჩემთვის მამა — ამას გარეშე აღამიანი უფრო აღვილათ გაიგებს, ვიდრე თქვენ — მე ვამბობ ამას, დედი, შენზე და არნოლდზე. ეს რაღაც უბედულებაა, რო ასეთი მახლობელი პირნი ერთმანეთზე ამრიგათ შორის ვდგევართ. მამა თქვენ შორის უნდა დაღუპულიყო!

ქალბ. კრამერ. მითომ და არ ვიცი რამდენჯერ გიტირნია, როცა მამა...

მიქალინა. ჰო, ეგ მართალია. ხშირათ მიტირნია. გაუმწვავებივარ ხანდისხან, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ყოველთვის მითქვამს ჩემი თავისთვის: მამამ მაწყენა, მაგრამ ბრალი ჩემი იყო მეთქი, და ასეთი შენანება დიდად ჭკუს სასწავლებელი ყოფილა ჩემთვის.

ქალბ. კრამერ. არ ვიცი კარგი რამ გასწავლა თუ არა, ეს კია, რომ ვერ გაგაბედნიერა. ეხლა შენ რო გქონდეს საკუთარი, მყუდრო ჭრი, ქმარ-შვილი და.

მიქალინა. ყველა ეს მამაჩემს ხომ არ წაურთმევია ჩემთვის?

ქალბ. კრამერ. ეხლა შენ მამიშენივით იტანჯები, მაგრამ მაგ ტანჯვისაგან არა ფერი გამოდის დარღისა და მწუხარების მეტი.

მიქალინა. ოჰ, დედი! როდესაც ამისთანა რამეები მესმის, სული მეხუთება! გული მიშეფოთავს... შენ ვერ წარმოიდგენ რა საშინლად მეხურება გული (ნადგლიანი მწუხარებით) არნოლდი რო სწორეთ ეს არნოლდი არ იყოს — რა მადლიერი იქნებოდა მამაჩემისა!

ქალბ. კრამერისა. არნოლდი ხუთმეტი წლისა სრული იყო, რო მამაშენმა კიდევა სცემა!

მიქალინა. მე მაგას უარს არა ვყობ, რო მამა ხანდისხან მეტი სასტიკია; მაგგრამ როცა კი გადუჭარბებია, მაშინ არც გამიმართლებია და არც გამომილამაზებია იმისი საქციელი. დედი, ნურც ამას დაივიწყებ, რო ყველა ის თვით არნოლდის საზიზლარი ქცევის შედეგი იყო. შენ სწორეთ მაშინდელს ამბავს იგონებ, როცა არნოლდს ხელი მიემზევასტინა და მამიჩემის მაგიერ ხელი მოეშერნა.

ქალბ. კრამერისა. სასოწარკვეთილებაში მიიყვანა იქამდის... ის მამის შიშმა ჩაადენინა.

მიქალინა. არა დედი! ეგ ვერაფერი საბუთია!

ქალბ. კრამერისა. ბიჭი საშინლად ჩამოხმარია, სუსტი და ბუნებით ავადმყოფი.

მიქალინა. ეგ, რასაკვირველია, მართალია, დედი, მაგრამ, მეტი გზა არ არის, მაგ გარემოებას უნდა შეურიცდეს, აიტანოს. მოთმენა, ატანა, ბედის დამოჩილება ხევდრია ადამიანისა. დედი, თავის შეკავება, თავის დაჭერა და უზენაენისაკენ გზის გაკაფვა, უმაღლესი მიზნისკენ მისწრაფება თვითეული ჩვენთაგანის მოვალეობაა... აი ამ შერივ მამა საუკეთესო

მაგალითით არნოლდისათვის. მართლა, დედი, აპა 20 მარკა ამ თვეში მეტის შემოწევა არ შემიძლიან. სახატავი წამლების ფასი გადავიხადე — 23 მარკა შემდგარიყო. ზამთრის შლიაბა ეხლა რო არ მეყიდნა — აღარ შეიძლებოდა; ორ მოწაფესაც დავაცალე გადასახადი...

ქალ. კრამერ. იტანჯები, მაგოდენს ჩასჩიჩინებ ი ქალბატონებს, და ისინი კი მაგ მცირე სასყიდელსაც აღარ გაძლევენ.

მიქალინ. სრულებითაც არა, დედი, მაძლევენ კი, მაგრამ ერთი მათვანი საშინელი ღარიბია, საცოდავი, კუზიანი არსება, ყოვლად უმწეო..., უბედური შეფუფერი ლუკებს იკლებს, ოლონდ კი მე გადამიხადოს ხოლმე სწავლის ფული. (ზაურის ხმა ისმის შემთხვევაში კარგი ნეტა ვინ იქნება!?)

ქალბ კრამერ. არ ვიცი ლაშას გავაქრობ.

ბერტა გამოივლის ათასში და კარგი გადადებათ შიდას).

მიქალინა. ბერტა, ჯერ გვარი ჰქითხე.

ქალბ. კრამერ. პატარა ბატონს ისევას შეინავს?

ბერტა. არც კი დაწოლილა. (გადის).

მიქალინა. დედი, ვინ უნდა იყოს?

ბერტა. (ბრუნდება). მხატვარი ლახმანი გახლავთ ცოლით, წინეთ აქ, აკადემიაში ბ. პროფესორთან რო შეცალინეობდა.

მიქალინა. თქვენ ხომ იცით რო მამას არ ესამოვნება პროფესორს რო ეძახიან. იმას უნდა, რომ ყველანი ისე უბრალოდ ბატ. კრამერს ეძახდნენ. (გამოდის ტაფანში).

ქალ. კრამერისა. მოიცადეთ, ცოტა ხანს უნდა მიგალავ მოვალავო აქაურობა. აბა, ჩქარა ბერტა, მე იქნება მერე გამოვიდე. (კრამერისა და ბერტა გადიან, თან გააჭირდეთ იქნებელი).

(ტაფანიდან ისმის სტუმარ-მასინებლის შესალება. შემდეგ შემთდიან მხატვარი ერნსატ ლახმანი, იმისი ცოლი ალფინა და ბიჭის მიქალინა. ლახმანი ცილინდრითაა, ხელში ჰალორ და ჯიხი უკირავს; ლახმანის ცოლის ხურავის ბუმბულებით მორთველი შევი შედიანა. კისერზე ჩამოგდებული აქვს ბუმბულების ბოა. თრივეს გასუნებული ტანისამთხია აცვიათ).

მიქალინა. საიდან? როგორა ხარ?

ლახმანი. (მიქალინის ცოლის აცნობებს) ეს ალვინაა... ეს კიდევ მიქალინა კრამერი.

ლახმანისა. (საშინლად განცვითებული) სწორეთ არ მჯერა! ნუ თუ ეს თქვენა ხართ?

მიქალინა. ნუ თუ მართლა მაგრე გაგაცირვეთ?

ლახმანისა. ჰო, ცოტათ. სწორე გითხრათ, მე სულ სხვანაირათ მყვანდით წარმოდგენილი.

მიქალინა. უფრო ხანში შესულად და დაღმეჭილი პირისახით?

ლახმანისა. (სწრაფად) არა, სწორე მოგახსენოთ. პირიქით!

(მიქალინა და ლახმანი მხიარულად იცინან).

ლახმანი. (ცოლის) დაწყებით კარგა დაიწყე და ვნახოთ შემდეგში რა იქნება.

ლახმანისა. რა იყო? ნუ თუ ისეთი რამე მოვახდინე?

ლახმანი. მიქალინა, როგორაა მამაშენი?

მიქალინა. კარგათ. თითქმის ისე, როგორც ყოველთვის. არა მგონია, რომ დიდი რამ ცვლილება შეატყო. დაბანდი, გეთაყვა. (მიუბრუნდება ალფინას) დაბრძანდით, ბატონ! უკაცრავათ კი, — აქაურობა ჯერ მიულაგებელია (უველავი სტაფი შემუშავდებას) ეწევი ისევ (ჰაპირზეს გაუწვდის) თუ გადაეჩვე? მე კი აქაურობა ბოლით ივამსე; ვიცი ეს, ქალს არ შევენის, მაგრამ სამწუხაროთ... ძალინ გვიან მივხვდი. (მიუბრუნდება ალფინას) თქვენ



უთუოდ არ ეწევით, არა? მერე ბოლი არ გაწუბებთ?

ლახმანისა. (არაობის ნიშნად თავს აქნებს) ერნსტიც სახლში მთელი დღე პაპ-როზ-სა სუტავს.

ლახმანი. (მიქაილინას სათუთხედან იღებს პაპირზეს) გმაღლობა! (ფოლს) შენ ხომ ამია სი არა გაგევება რა?

ლახმანისა. მერე მანდ რა არის გასა-გები?

ლახმანი. ბევრი რამ ჩემო საყვარელო აღვინა!

ლახმანისა. მაინც რა?

მიქალინა. პაპირზის წევის დროს ადამიანს ლაპარაკი უაღვილდება.

ლახმანისა. მაშ კარგა ვშვრები ქალბა-ტონო მიქალინა, რო არ ვეწევი. მაგის აზრით მე უამისოთაც ძალიან ბევრსა ვყედობ და...

ლახმანი. საქმე ისაა — რას ილაპარაკებ...

ლახმანისა. საყვარელო, ერნსტ, ხან-ლახან შენც კი იცი სისულელის როშვა.

ლახმანი. (სიტყვას ბანზე აგდებს) ჰო, რა მინდოდა ბეთქვა? მაშ მამა შენი კარგათ არი? ეს ძალიან სასიამოვნოა.

მიქალინა. ჰო, ისე რაღა. არის რო-გორც ყოველთვის... შენ უთუოთ დედის სანახათ მოხვილოდი.

ლახმანისა. (აგდებულათ) მაგას უფრო უნდოდა აქაურობის დათვალიერება, იმ აზრით, — შეიძლება რამე საქმის დაწყება თუ არაო? საქმე ისაა, რო ეგ ბერლინში ვერაფერს არიგებს! ბატ. მიქალინა, ნუ თუ აქაც ისეთივე ამბებია?

მიქალინა. მაინც?.. ვერ გავიგე რაზე ამბობთ?

ლახმანისა. თქვენ აქ, მგონია, სკოლა გახსენით... განა კარგ შემოსავალს არ გაძლევსთ?

ლახმანი. ოჰ... ლვთის გულისათვის, ერთი მითხარი როდის გაათავებ?

მიქალინა. ჩემი სამხატვრო სკოლა? ცოტაოდენს, რასაკვირველია, იძლევა, მაგრამ მაგდენს არაფერს. შაგრამ შეიძლება კაცი დაკმაყოფილდეს. (დახმანს) ხომ არა აპირებ შემეცილოთ?

ლახმანისა. რას ამბობთ? ლმერთმა დაი-ფაროს! ევ როგორ იფიქრეთ. ჩემ ქმარს გავიუებით მოსწონხართ, — ამისი თავდებობა მე შემიძლიან. ჩემი ქმარი თავის დღეში მაგას არ იკასრებს. ვაგრამ ადა-მინი რამე საქმეს უნდა ადგეს თუ არა? ეს ჭამა-სმა ხომ გვინდა, არა? ჩემი ქმარი...

ლახმანი. ჩემი ქმარი და ჩემი ქმარი!.. მე სრულებითაც შენი ქმარი არა ვარ!.. ეგ სიტყვები მე ყოველთვის მაღიზიანებს და მაჯავრებს...

ლახმანისა. აბა, ემაგის მსგავსი თქვენ გაგიგონიათ რამე?

ლახმანი. ალვინა, მე ერნსტი მქვიან! გთხოვ დაიხსომო ეს ერთხელ და სამუდა-მოთ. შენ შეგიძლიან სთქვა — ჩემი აქან-დაზი, ჩემი ყავის ტომარა, ჩემი ჩასადგამი კბილი, მაგრამ რაც შემეხება მე... მონო-ბა, შენც კარგათ იცი, კარგა ხანია მოს-პობილია.

ლახმანისა. მაგრამ, მეგობარო...

ლახმანი. ეს საძალლე სახელიც მეჯავ-რება.

ლახმანისა. ერთი შეხედეთ, გეთაყვა! ესეც შენი ქმარი! (მიუბრუნდება მიქალინას) თქვენი ჭირიმეთ, გენაცვალეთ, ნუ გათ-ხოვდებით, ნურაფრის გულისათვის. გა-უთხოვრათ დარჩენილი ქალები გაცილე-ბით უკეთეს პირობებში არიან! (მიქალინა გულიანათ იცინას).

ლახმანი. ალვინა, აბა ახლა კი კმარა! მოიხვიე შენი ბოა, წადი საღმე და მე-ლოდე. გაიგე? თორემ ყველა ეს აუტანე-

ლია. აიღე შენი საყვარელი ბოა—ხელოვნების და გემოვნების ეს საუცხოვო ნიმუში და წადი, შეიარე დედა შენთან, ან ე მანდ პირდაპირ ყავახანაში დაჯექ.—იქნება მერე მეც გამოვიარო შენს წამოსაყვანათ.

ლახმანისა. გაგონილა! აი ეხლა ხომ ხედავთ ქმრიანობა რა ყოფილა... კრინტს ვერ დასძრავ, — მაშინათვე... ოხ, ღმერთო ჩემო!

ლახმანი. მეტიცაა შენთვის კრინტის დაძვრა! სულ ერთია, შენ სისულელის მეტს მაინც ვერაფერს იტყვი.

ლახმანისა. აბა, შენ ჭკვიანურ ლაპარაკთან რაში მოგეწონება!

ლახმანი. კმარა, რაც სათქმელი დაგრჩა ის კიდევ შენთვის მიჩუქებია! შეგიძლიან აღარა სთქვა და შეინახო.

მიქალინა. (ალექსის) გეთაყვა ნუ წაბრძანდებით, დარჩით აქ...

ლახმანისა. აბა რას ამბობთ, ღმერთმა დაგიფაროს!.. ტყუილა გებრალებით! ნუ გეშინიანთ, ეგ ისევ მალე მოირბენს ჩემთან... მშვიდობით!.. აქ, თქვენ პირდაპირ, საკანდიტროა, ასე რომ ჩემ წამოსაყვანათ იქ შემოხვალ, — გესმის მეგობარო!? (გადის. მიქალინა აცილებს).

ლახმანი. მხოლოდ, გეთაყვა, იმდღევანდელსავით ოცდაათი პიროვნი კი არ შესჭამო.

მიქალინა. (ბრუნდება) გაუთხოვრათ დარჩენილი ქალები უკეთა ცხოვრობენო... მართლა რო მეტის მეტი გულახდილი, ყოფილა!..

ლახმანი. მაგას რაც პირზე მოადგება იმას წამოროშვას ხოლმე.

მიქალინა. (ჯდება) შენც კი უდიერათ ეცსვი; მაგრე ყველა არ დაგებრიყვინება.

ლახმანი. მიქალინა, სწორეთ სულს მიხუთავს! ძალიან უნდოდა შენი გაცნო-

ბა, თორემ არ წამოვიყვანდი. ვამ ეხლა მითხარ.— შენ როგორლა სცხოვრობ? მიქალინა. გმადლობ, კარგათ! შენ? ლახმანი. მეც— ვარ რაღა.

მიქალინა. ოჰო!. შენ ჭალარა გაგრევია კიდეც... საფეთქლებთან თმები გაგთებებია.

ლახმანი. სისულელე გამოდის თავი დან. (თრივენი იცინიან).

მიქალინა. აქ აპირებ დასახლებას?

ლახმანი. აზრათაც არ მომსვლია! ე მაგრე იცის, გამოიგონებს რასმე უცნაურს და მერე ფიცით იჭაჭება, ვითომ მეთქვას იგი. (სიჩუმება). შენი ძმა როგორაა?

მიქალინა. გმადლობ, კარგათ.

ლახმანი. ხო გულმოდენებითა ხატიავს? მიქალინა. სრულებითაც არა.

ლახმანი. მაშ რას აკეთებს?

მიქალინა. დახეტიალობს, რასაკვირველია, ქარაფშუტობს... მაშ რა უნდა გააკეთოს!

ლახმანი. რატო მიუნხენში არ დარჩა? იქ პატარ-პატარას მაინც არის მუშაობდა.

მიქალინა. განა არნოლდისაგან შენ გამოელოდები კიდევ რასმეს?

ლახმანი. რატომაც? სწორე გითხრა, შენი ლაპარაკი კარგათ არ მესმის: მე არ ნოლდის დიდი იმედი მაქვს.

მიქალინა. ნიჭი თუნდა კიდეცა ჰერნდეს... ის ლირისი არ არის ამ ნიჭისა... მაგრამ უკეთესია სხვა რამეზე ვილაპარაკოთ... მამა ხშირათ გკითხულობდა და უეჭველია ძალიან გაუხარდება ეხლა შენი ნახვა. ჩემ შესახებ რო არა ვთქვა რა— მამაჩემის მაგივრათაც მეტათ მიხარიან, რო კიდევ დაბრუნდით ჩენენთან— ცოტა გაერთობა და გულს გააყოლებს...

ლახმანი. ჩემთვის უფრო საჭიროა და იცი, შენი ნახვის გარდა განსაკუთრებით კიდევ მომინდა მამიშენის ნახვა, მასთან

ცოტიხანს ყოფნა. ეს გარემოება რომ არ ყოფილიყო, შეიძლება რო ჯერ ხნობით სრულებითაც არ მოვსულიყავ. რასაკვირველია, იმისი სურათის ნახვაც მინდოდა.

მიქალინა. ეგ ვისგან გაიგე?

ლახმანი. ამბობენ სურათი უკვე შეძინა გალერიაში, მართალია?

მიქალინა. დირექტორი მიურინგი იყო ჩვენსა, მაგრამ არ ვიცი იყიდა თუ არა მეკი არა მგონია რო ეყიდნოს! მამა საშინელი თავ-მოყვარეა და ვიდრე სულ არ დაასრულებს არ გაყიდის.

ლახმანი. შენ, უეჭველია, ნანახი გექნება?

მიქალინა. ორი წლის წინათ ვნახე, რიგინად აღარც კი მახსოვს. კარგა ხანია რაც იმ სურათსა ხატავს (სიჩუმე).

ლახმანი. როგორ გვონია, მე არ მაჩვენებს? არ ვიცი რათ, მაგრამ წინათ გრძნობა შეუბნება, რო რაღაც არა ჩვეულებრივი უნდა იყოს. მე მწამს, რო უეჭველათ ასე იქნება და არც შემიძლიან სხვა ნაიდარ ვიფიქრო. აქედან გასვლის შემდეგ ბევრი ვინგე გავიცან, ბევრს დავუახლოვდი, მაგრამ არც ერთ მათგანს არ აღუძრავს ჩემს გულში სურვილი მათ სულში, წმინდათა წმინდაში ჩახედვისა. საზოგადოთ, იცი, თუ რომ აქამიმდის სრულიათ არ ჩავეფალი ცხოვრების ჭაობში და ჯერ კიდევ მაგრა ვდგევარ, — უნდა გითხრა, უმთავრესათ მამიშენის წყალობითაა იმას, რასაც მამაშენი იტყვის და როგორც ის იტყვის, — არასოდეს არ დაავიწყდება ადამიანს! ასეთი მასწავლებელი სხვა არ არი. მე დარწმუნებული ვარ, ვიზედაც კი ის გავლენას იქონიებს, არასოდეს სულით არ დაეცემა, არ გათანხირდება...

მიქალინა. ოღონდაც!

ლახმანი. იმას შეუძლიან ყოველ ადა-

მიანს ღრმად ჩახედოს სულისა და გულში. სხვასთანაც შეიძლება კაცმა ცოტა რამე ისწავლოს, — არა ჩვეულებრივი კაცი ბევრი შემხვედრია; მაგრამ, როდესაც კი წარმომიდგენია მამაშენი, ყველა ისინი გაცრეცილან, დაკარგვიათ ფერიცა და ძალაც. ჩვენ ყველანი, თვისი მოწაფეები, ძალზე მოგვენა, საფუძლიანათ გამოვგბერტყა და რაც რამ იყო ჩვენში ფარული, გარეთ გამოიტანა, გამოამზევა; ამოფხვრა ყოველივე მეშჩანური. ცხოვრებაში ეგ წაუშლებ კვალს დასტოვებს! მაგალითად, ვინც შეიგნო მამიშენის ღრმა, სერიოზული და მტკიცე შეხედულება, როგორც საზოგადოთ ხელოვნობაზე მხოლოდ იმას შეუძლიან ფუჭათ ჩასთვალოს ცხოვრების დანარჩენი მხარეები.

მიქალინა. აი ხედავ, ეს დიდებული, სერიოზული მამიჩემის სული... როგორც შენ ამბობ... გამჯდარი გაქცს ძვალისა და რბილში; ჩემთვისაც ის სული ერთ საუკეთესო საუნჯეთ გადაიქცა. ყოვლად უგვანო სულიერებზედაც მამა გავდენის ახდენს, მაგრამ არნოლდზე კი ვერა, მხოლოდ არნოლდის გული აღმოჩნდა ცხრაკლიტულით დაჭედილი (დგბა). ეხლა კი უნდა წავიდე და მოწაფეებს ნახატები გავუსინჯო. მგონია გუნებაში გეცინება და ამბობ: თვითონ რო რიგინათ არაფრის დახატვა არ შეუძლიან სხვას რა უნდა ასწავლოსო

ლახმანი. არა! შენ მაინც მამიშენის შვილი ხარ! მე კი მაგ საქმეს ხელს ვერ მოვკიდებდი. მგონია ვერაფერი სასიამოვნო უნდა იყოს მაგ მხატვარ ქალბატონებთან მეცადინეობა.

მიქალინა. რათა? აქაც შეიძლება კაცმა რამე გააკეთოს. ძალიან სინიდისიერათ მეცალინეობენ. მარტო ეს გარემოება გულს უკეთებს ადამიანს. მეტი რა მინდა?

ძნელი სათქმელია, ბოლოს მაინც მივაღწევ რასმეს თუ ვერა, მაგრამ თვით ეს მისწრაფება და შრომა—თავის თავათ დილი განძია. გარდა ამისა, ამისთანა შემთხვევებში მამასა ვგევარ: დიდ სიამოვნებას ვგრძნობ, როცა ხალხზე რამე გავლენას ვახდენ! ამასაც ვიტყვი, რომ მოწაფეებთან ადამიანი თვითონაც ახალგაზდავდება და ბოლოს უმისოთ გაძლებაც კი აღარ შეუძლიან (კარებს გაადებს, უკანა თახასისკენ მიბრუნდება და ეძხის) დედი, მშვიდობით, ჩვენ მივდივართ?.. (ისმის არნოდის ხმა, დას ლაპარაკს აჭავრებს) დედი, მშვიდობით, ჩვენ მივდივართ!..

ლახმანი. ის ვინ არი?

მიქალინა. არნოლდია, ეგ მუდამ. მაგრეა. ვერაფერი სასიამოვნო ამბავია; წავიდეთ!..

ლახმანი და მიქალინა გადინა. არნოლდი შემთდის. უფასაზა. შავი, ახთებული თვალები აქვს. შავი თმა და ამთერივე. თხელი წერი. ცოტა მოგრეხილია და წელშიც მოხსრილი, შავ-უვითელია. ცანზე მხოლოდ სეროვანი და შალვარი აცვია. ფეხებზე წამოცმული აქვს ჩუქტები, ფლასეულით მიდის სარკისაკენ. იხსნის სათვალეებს, იქცან და თან პირის სახეზე მუშაკებს იძინვავს. დავრდომიდი და ფეთხები ადამიანის შთაბეჭდილებას ახდენს.)

მიქალინა (ბრუნდება ცოტა შემკრთალი) ოჯ, არნოლდ! ქლოგა დამავიწყდა. მართლა, იცი, ლახმანი აქ არის!

არნოლდი. (ხელის ჩაქნევით. ასე გთხია ამ ხელის ჩაქნევით იმისი ჩაჩუმება უნდა) თავში ქვა შემა ლახმანმაც ირტყას.

მიქალინა. ლახმანმა რა დაგიშვა?

არნოლდი. ერთხელ თავისი წიგნები მაჩვენა.

მიქალინა. (მხრებს იჩეჩავს. მშვიდათ) არ

დაგავიწყდეს, რო თერთმეტ საათზე მამასთან უნდა წახვიდე.

(არნოლდი თრივე სელებით უურებს აცავს).

ერთი მითხარ, არნოლდ, ნუ თუ კარგი გგონია მაგეთი ქცევა?

არნოლდი. ჰო! შენ გახსენ ეგ ქისა და ერთი მარკა მასესხე.

მიქალინა. შეიძლება. რატომაც არ გასესხებ, მაგრამ ის კი უნდა გისაყვედურო, რომ მე...

არნოლდი. კარგი, კარგი... წადი... ვიცი რა წუწურაქიცა ხარ!..

(მიქალინას უნდა რადაცა უშასუხოს, მაგრამ მხრებს აწევით გადის).

(არნოლდი ფლასა-ფლუსით მიდის სტოლთან, შაქარის ჰეჭველს. ოთახში მომავალ დედას გაუვლის გვერდზე და ლდნავ დაეჭახება. შემდეგ ისევ სარკესთან მიდის).

ქალ. კრამერისა. (ხელებს გულსაფარზე იწმებდავს და გმინვა-თხვრით სკამზე ჯდება) ო... ლმერთო, ლმერთო!..

არნოლდი. (მოტრიალდება, სათვალეებს ცხვირის წვერთან გადიტნს, მხრებს მაღლა აიწევს და სასაცილო შესახედავი ხდება, რომელიც სწორეთ შეევერება შემდეგ მის სიტუაციებს). დედი, მარაბუს*) არა ვგევარ?

ქალ. კრამერისა. ეხლა სრულებით მაგისი გული არა მაქს. მე არ შემიძლიან შენ სისულელეზე გავიცინო! წუხელ კარივინ გაგილო?

არნოლდი. (მიდის დედასთან მარაბუსებული სასაცილო სიდინჭით) მამამ.

ქალ. კრამერისა. მესამე სართულიდან თითონ ჩამოვიდა?

არნოლდი. (სათვალეების ზემოდან წინადებულად სასაცილოდ გადაუურებს დედას) ჰო!

ქალ. კრამერისა. არა, არნოლდ, ეს

*) ერთხაირი ფრინველია, რომელიც წეროს წააგავს.



სწორეთ საზიზლრობაა! მაგ სისულელეს ეხლა მაინც თავი დაანებე! ნუ თუ ვერა-სოდეს ვერ უნდა დადარბაისლდე? ჭკუთ იყავი: აბა მიამშე მამამ რა გითხრა?

არნოლდი. თქვენ ჩემი ყველაფერი გე-ზიზლებათ! თქვენ კიდევ მე მეზიზლებით და, ხანდისხან, ძალიანაც მეზიზლებით!

ქ. კრამერისა. კარგებს რო გიღებდა, მამაშენი ძალიან გაჯავრებული იყო?

(ფიქრებში გართული არნოლდი პასუხს არ აძლევს).

მაინც რა გითხრა?

არნოლდი. არაფერი.

ქ. კრამერისა. (არნოლდს მიუსწოდება) შვილო! თუ ჩემი სიყვარული გაქვს, ხა-სიათები გაისწორე... ახალი, რიგიანი ცხოვრება დაიწყე...

არნოლდი. ეხლა როგორდა ცხოვრობ?

ქ. კრამერისა. უწესრიგოთა სცხოვრობ, უსაქმოთ!.. ღამ-ღამბით სადღაც დაწრწი და შინ აღარა ბრუნდები... ო ღმერთო, ღმერთო! საშინლად სცხოვრობ, არნოლდ, საშინლად!..

არნოლდი. დედი, აგრე ნუ ასტყდები ხოლმე! ნეტავი რამე გაგევებოდეს მაინც!

ქ. კრამერისა. ბარაქარია, კარგი სიტ-ყვა-პასუხით ელაპარაკები დედას!

არნოლდი. მაშ თავი დამანებე! მომა-სვენე გეთაყვა... მთელი დღე რასა მყე-ფავ! აღამიანს ჭკუიდან შეშლიან!

ქალბ. კრამერისა. მერე შენ ამას ყე-ფას ეძახი? არნოლდ, შენთვის სიკეთის მეტი რა უნდა მალაპარაკებდეს? განა დე-დის ვალი არ არის, რომ შვილს დაეხმა-როს? არნოლდ, შვილო არნოლდ, ცოდ-ვის ნუ იყიდებ!

არნოლდი. ჩემთვის ეგ სულ მეტია! მერე მაგ თქვენი გამუდმებული ოხვა-გმინვით რასა მმატებთ? გარდა ამისა, ეხ-ლა ძალზე თავი მტკიცა, მისქდება. ცოტა

ფული მომეცი და მერე მეცოდითონ მუ-უვლი ჩემ საქმეს...

ქალ. კრამერისა. რო სამუდამოთ თავი დაიღუპო! (სიჩუმეა).

არნოლდი. (სტაციონან ბულგი იდება). ბულკი ისეთი მაგარია, როგორც ქვა.

ქალ. კრამერისა. ადრე ადექ და მაშინ ხმელი აღარ იქნება.

არნოლდი. (ამზენარებს) უამისოთაც ძალზე ჭიანურდება ეს ფუქსაოტი და სა-ზიზლარი დღე!

ქალბ. კრამერისა. ვინც კი შენი ცხოვ-რება იცის, ეგ სიტყვები არ გაუკვირდე-ბა. ღამე რო კარგათ გამოიძინო ხოლმე, მაშინ დღისითაც უფრო მხიარულათ იქ-ნები... გამიგონე, არნოლდ, მე დღეს არ მოგასვენებ, რაც გინდა უზრდელათ მო-მექცე! მეტის მოთმენა და ატანა აღარ შემიძლიან (არნოლდი სტაციონან ჯდება. დედა ყაფას უსხამს). დაიღრიჯ რამდენიც გენებოს. შენი საიდუმლოება მაინც უნდა გავიგო! შენ რაღაცა გაქვს გულში... მე ძალიან კარგათ გიცნობ. კარგა ხანია რა-ღაცა გტანჯავს. იქნება გგონია, რომ შენი ოხვარა არ გამიგონია? ოხვრის მეტს აღარაფერს აკეთებ და შენ თვითონ ამას ვერც კი ატყობ.

არნოლდი. აბა, რასაკვირველია, ჩემი ზვერვა და თვალთვალობა თქვენ კარგათ იცით. დასწუევლა ღმერთმა! რამდენჯერ ცხვირი დავაცემინე, რამდენჯერ გავაფურ-თხე, ამოვიოხვე და კიდევ სხვა რამე ვქენი, ყველაფერი იციან... თქვენგან ხსნა არ არის, თუნდა ცხრა მთას იქით გადა-ვიკარგო.

ქ. კრამერისა. შენ რაც გინდა თქვი— ჩემთვის სულ ერთია. მე ვიცი, რომ გულ-ზე ლოდივით მძიმე რაღაცა გაწევს. ამისი ბრალია, რო მოუსვენრათა ხარ. მოუსვენ-რობა წინათაც გეტყობოდა, მაგრამ ასე

კი არა, როგორც ეხლა. ეს ნამდვილათ ვიცი.

არნოლდი. (სტაფა შემცირსა სცემს) გესმის?! დედი, თავი დამანებე, ერთი მომასვენე! თორემ წავალ და თქვენ სახლში თავს აღარ შემოყვოფ. რა თქვენი საქმეა მე რას ვაკეთებ. მე ბალლი აღარ ვარ და, თუ რისამე თქმა არ მიჩნა, არც ვიტყუი. მეყო თქვენგან ყოველგვარი შევიწროება. კარგა ხანს მტანჯეთ, თავი მომაბეზრეთ!.. დახმარებისათვის დიდათა გმადლობ! წინა-თაც მითქვამს და ეხლაც გეუბნები, რომ ჩემი დახმარება და შველა თქვენ არ შე-გიძლიანთ... ბევრი, ბევრი თქვენ მოახერ-ხოთ ერთი ლონიერი „გვიშველეთ!“ დაი-ძახოთ.

ქ. კრამერისა. (სასოფარ კვეთიდების გამო სტირის) არნოლდ, ცუდი ხომ არაფერი მოგიხდენია? მოწყალე ღმერთო! არნოლდ, ღვთის გულისათვის, თქვი რა მოახდინე!

არნოლდი. ბებერი ურია მოვკალი, დედი!

ქ. კრამერისა. ნუ ხუმრობ. მასხარათ ნუ მიგდებ! მითხარი თუ რამე ჩაიდინე. მე ხომ ვიცი, რომ ავი გულის აღამიანი არა ხარ, მაგრამ ხანდისხან სიძულვილის ჟინი მოგივლის ხოლმე და მაშინ შენ თვითონ არ იცი რას ჩადიხარ. ამ აპილ-პილებისა და აზვირთების დროს ყოველ-გვარი უბედურების მოხდენა შეგიძლიან.

არნოლდი. დამშვიდდი! მე არც ბე-ბერი ურია მომიკლავს და არც ყალბი გირავნების ფურცლები გამიყიდნია, თუმცა ფული ძალიან მიჭირს.

ქალ. კრამერისა. მე ისევ ჩემ აზრზე ვდგევარ: რაღაცას გვიმალავ, პირდაპირ თვალებში ვერ შემოგიხედნია. შენ წინა-დაც გეტყობილა ველური დაკრთომა, ში-ში და მორცხობა, მაგრამ ეხლა, არ-ნოლდ,—ნუ თუ შენ თვითონ ვერ მა-

ჩნევ—ეხლა სწორეთ დაღივით დაგესც... სმაც დაიწყე! წინად ლუდის დანახვაც გე-ზარებიდა... არნოლდ, შენ დარდის და-საყუჩებლათა ლოთობ!

არნოლდი. (ფასჭარასთანა დგა და შინა-ზე უკრაგს, როგორც დაფანდზე) დაღი კიდევ რა? თქვით ყველაფერი რაც იცით. ჰო, მართალია მაზის დაღი... სრულ ჭე-შმარიტებას ამბობთ, მაგრამ, ვგონებ მაგ დაღის დასმა ჩემი ბრალი არ არის.

ქალ. კრამერისა. შენ ერთავად ყვე-ლას უმწვიტინებ, სხევლეტ და ტყვიასა-ვით ახვედრებ აღამიანს გულში სიტყვას! ჩვენ რაც კი შეგვეძლო არაფერი დაგვი-ზოგავს... შენ თუ მაინც ახეთი გამოხვე-დი... ჩვენ მაინც უნდა ავიტანოთ, რო-გორათაც ლვთისაგან მოვლენილი განსა-ცდელი

არნოლდი. მაშ აიტანეთ, გეოაყვა (სი-ჩემება).

ქალ. კრამერისა. გამიგონე, არნოლდ, ნუ ანხელობ. ერთხელ მაინც მითხარი რა დაგემართა? შენ გამო დღე და ღამე სულ შიშში ვარ. შენ არ იცი ამ ღამეთ მამა-შენი როგორ მოუსვენრათ არი—ძილი არ ეჯიდება. კარგა ხანია აღარც მე მომ-დის ძილი... აგვესენ, ჩემო ბიჭიკო, ეს მაჯლაჯუნა, რომელიც სულს გვიხუთავს! იქნება ამისათვის შენი გულ-ახდილი ერ-თი სიტყვა სრულიადაც საკმარისი იყოს. ბუნებამ გიმუხთლა, ეს ხომ ვიცი...

არნოლდი. ოხ, დედი, თავი დამანებე, თორემ ამის შემდეგ აქ აღარ ამოვალ და სახელოსნოში დავიძინებ. ე. ი. მინდოდა მეთქვა, ჩემ ნამჯაზე და ცოცხლათ გვა-ფიჩდები. „არის რაღაცა!“ მეტე რა? მე ხომ უარს არა ვყობ. მაშ ამიტომ ეხლ-ეა განგაში დავკრა!?

ქ. კრამერისა. არნოლდ, შენ... ეს



ხომ ისევ ის გამოვიდა. რამდენიმე კვირის წინეთ შენ როგორდაც გამოსტყდი! შეძეგ სცდილობდი საქმე ჩაგფუტეჩებინა. ეგ ხომ სულ იმ ქალიშვილის ბრალია... არა არნოლდ? თქვი სწორეთ?

არნოლდი. დედი, შენ სულ ჭირდან შეიშალე!

ქ. კრამერისა. შვილო, მაგ დარდს მაინც ნუღა გადაგვიდებ. ნუ გაებმები სიყარულის ინტრიგებში (ბადქში). უზნეო ქალს გადაეკიდები და იმის გამო ყოველ-გვარ სიბინძურებში მოგიხდება ჩაყურჭუ-მალავება. მე ხომ ვიცი რა ადვილია კა-ცის შეცდენა... აქ ყველა ნაბიჯის გადა-დგმაზე ადამიანს ორმო აქვს გათხრილი და თან ხაფანგიც უგია. განა არ მესმის ღამ-ღამე მთვრალი ბრძოლ რო გამოივლის ხოლმე ღრიან ცელით?! ჩვენი პოლიცია ყველა ამას გულ-გრილათ უყურებს! იცო-დე დედაშენს თუ არ გაუგონებ, თავს დაიღუპავ. ყოველ დღე ახალ-ახალი ავ-კაცობა ხდება.

არნოლდი. ნეტავ ერთი გაბედოს კი ვინმემ და ხელი მახლოს (ხელს ჭიბები იდებს). ამისთანა შემთხვევისათვის თადარი-გი გაწეული მაქვს

ქალ. კრამერისა. ეგ რას ნიშვავს?

არნოლდი. იმას რო, მე ყველაფერზე მზათა ვარ. მაღლობა ღმერთს, ახლა არის საშუალება.

ქალ. კრამერისა. ნუ თუ ყველა ის არ შეგძაგდა: როიალის ბრახუნი, წითე-ლი ფარნები და მთლათ ის ბილწი შემა-ზრზენი ატმოსფერა! არნოლდ, მე ნამდვი-ლათ რო ვიცოდე, რომ შენ იქ... მინდა ვთქვა, იმისთანა გარუცნილების ბუდეში... იმისთანა ბინძურ ჯურლმულში ატარებ ღამეებს, ჩემი ხელით გავითხრიდი მიწას და შიგ ჩავეარდებოდი.

არნოლდი. დედი, ნეტა ეს დღე მალე

გავიდეს! სულ თავ-ბრუ მეხვევა და უურე-ბი მიბუის. საშინელი თავის შეკავება მჭირია, რომ პირდაპირ ბუხრის მილიდან არ აფტრინდე. დედი, ერთ დიდ თოვტრას ვიყიდი და ყველას მუდამ ზურგით თან გატარებთ საღაც კი წავალ.

ქ. კრამერისა. კარგი! მე მხოლოდ ერთ რამეს გეტყვი: დღეს საღამოს ნურ-საღ ნუ წახვალ!

არნოლდი. საღამოთი არა და ეხლავე კი წავალ, დედი!

ქ. კრამერისა. თერთმეტ საათზე მამა უშენთან წადი და მერე ისევ სახლში და-ბრუნდი.

არნოლდი. მამასთან წასვლა ფიქრადაც არ მომსვლია!

ქ. კრამერისა. მაშ სად მიხვალ?

არნოლდი. ეგ ჯერ არ ვიცი!

ქ. კრამერისა. მაშ საღილათ სახლში დაბრუნებას არ აპირებ?

არნოლდი. ყველანი რომ ერთათა გნა-ხოთ საღილზე?.. არა! გარდა ამისა, დე-დი, სულ ერთია, მე მაინც არაფერსა ვჭამ.

ქ. კრამერისა. მაშ არც საღამოთი იქ-ნები სახლში?

არნოლდი. ეგ იმაზე იქნება დამოკი-დებული, თუ როგორ მომეპრიანება.

ქ. კრამერისა. მაშ კარგი, არნოლდ! დღეიდან ჩვენ დედაშვილნი აღარა ვართ! მაგრამ მე მაინც ასე თავს არ დაგანებებ, შენზე თვალს დაგაჭერ და გზა-კვალს გა-გიგებ,— მე ვერ მოვისვენებ, ვიდრე ამას არ ვიზამ: შეგიძლიან ამაში სრული დარ-წმუნებული იყო. და თუ გავიგე, რომ აშ საქმეში ვინმე ქალია გარეული, ღმერთს გეფიცები, პოლიციას შევატყობინებ.

არნოლდი. არა, დედი, უმჯობესია რო მაგას კი თავი დაანებო.

ქ. კრამერისა. გარდა ამისა, მე ყველა-ფერს მამას ვეტყვი, და ის მოგიყვანს

კუთხახე. ნეტა ერთი ბეჭო რამე შეგიტუოს. სულ გადირევა, ვინ იცის რას იზამს.

არნოლდი. მე მხოლოდ ამას გეტყვი: უკეთესია მაგგანზრახვას თავი დაანებო! ხო იცი, მამა რო ქადაგებას დამიწყებს ხოლო—მე—მე ყურებში თითებს ვიცობ. სახოგადოთ კი უნდა ვთქვა, რომ იმისი მჭერა მეტყველობა ჩემზე არავითარ გავლენას არ ახდენს! ოხ, ღმერთო ჩემო!.. რა უცხონი გახდით ჩემთვის... მოილეთ წყალობა და ერთი გამაგებინეთ, მაინც და მაინც, სადა ვარ?

ქ. კრამერისა. ჰორო?

არნოლდი. სადა ვარ, ერთი მითხარი, სად? მიქალინას, მამას, შენ... რა გინდათ ჩემგან? რა საქმე გაქვთ ჩემთან, ან მე თქვენთან რა მესაქმება?

ქ. კრამერისა. როგორ? რომ? არნოლდი. ჰო და, რა? ერთი რა გინდათ?

ქ. კრამერისა. რა საშინელ სიტყვებს ამბობ?

არნოლდი. ჰო, ჰო. საშინელია, აღმა-შფოთარია: დეე, მაგრე იყოს, დედი, მაგრამ ეს მართალი სიტყვებია. ამ ხელათ სრული კეშმარიტებაა და არა სიცრუე... მე უკვე გითხარი, რო თქვენ ჩემი შველა არ შეგიძლიანთ... და თუ თავს არ დამანებეთ, დედავ... შეიძლება ისეთი რამე მოვახდინო, რო სუყველას პირი ლია დაგრჩეთ... მაშინ იქნება ჩემ სულსაც ელირსოს სანეტარო განსვენება.

ი. გომელაური.

(შემდეგი იქნება)

კუ და კურდღელი

I

ეოსწყინდა ფრინველთ მეფესა
კაქების ჭერა მთაშია,—
შურთხების, როჭოებისა,—
დღეთ ლევა იმათ სრვაშია,
მოუნდა საქეიფოდა
გასეირნება ბარშია:
ცხოველთ ბუნების ნავარდი,
სიამე, სხვა-და-სხვაშია.
(ან რო ვსთქვათ: ერთფეროვნება
გამოსადევი რაშია?)
რა ცხენი დასჭირდებოდა
და ან ჩაჯდომა ნავშია!
არც ყაჩაღები აშინებს
ჩისაფრებული გზაშია;
დაიხულუჩნა არწივმა,

ჭექა გაისმა ცაშია.

და, მინამ მოიხედავდი,
დანავარდობდა ბარშია...

II

მინდვრის ფრინველნი, ნადირნი,
რანიც-კი იყვნენ კარშია,
შეძვრნენ ზოგები სოროში,
სხვამ ციხე ჰპოვა ბარდშია:
სტუმრობა ონავარისა
არ მოუვიდათ ჭეკაშია.
არწივის ნახვა ყველასა
ერუოლასა ჰევრიდა ტანშია.
არწივი დასტრირიალებდა
მინდორს, ვით თავის სახლ-კარსა,
იქ ელის ყოველ სიამეს,
განცხრომას, სადილ-სამხარსა.



არწივის დასწერივ ჯაგშია
შიშით კურდლელი დნებოდა.
ელოდა ყოველ წუთშია
არწივი დაეცემდა.
თუ შეპნიშნავდა, იცოდა, აფაშია
ველარსად გაექცეოდა.
დააობლებდა ცოლ-შვილსა,
სახლ-კარი დაექცეოდა.
ამიტომ, როგორაც ტყლაბი,
ის მიწის გულ-მკერდს ეკვროდა.
კუ უცქერს შორი ახლოდან
ამ უამად კურდლის თრთოლსა;
ფიქრობს მოაპყროს მან ხელი,
მკვდარივით კურდლის წოლასა.
დრო ეხდა მაქვსო, იფიქრა:
რომ არ მიყადრებს თავსაო,
აშირბ ჩამირბენს ღიდ გულად
და არც-კი გამცემს ხმასაო.
ჩემი სირბლი და კურდლის
თუმცა საიდან-სადაო.
მითც კურდლელს, კარგა იცოდეს,
არ გაუხდები ყმადაო.
ამიტომ ზურგზე შეახტა

და „აჩუ-აჩუს“ უძახდა; არც ვადება
„ჩემი ცხენი ხარ, კურდლელი“, და
დეზებს გვერდებში ურტყამდა.
კურდლელი არ ინძრეოდა,
შიშისეგან ძლივა ჰსუნთქავდა.
„გამკვირებია, სიმძიმე
„ნუ თუ არა აქვს კუსაო?
„ნუ თუ არა ჰვრძნობ, კურდლელო,
„რომ კუ გაზივარ ზურგსაო?!.
„გაიქე შენებურადა!..
„რატომ არ მიგდებ ყურსაო?!”
— შენ არა, ზურგზე ის მაზის,
კლანჭ-ნისკარტ ბასრი ვინცაო.
„შეხედე მალლა!“ კურდლელმა
არწივზე მიუთითაო.
შენს ზურგზე ჯდომას მივიღებ
როგორც თავისას ციცაო.
შენ მითაც კუ ხარ, მითაცა,
ტყულად თავს იგდებ, ბიძაო!
კურდლელი ათასჯერა გჯობთ
დამბადებელსა ვფიცაო.
შენ ვინა ჰვლიხარ, არ ვიცი,
ზურგზე ის მაზის, ისაო!..

გაუა-ფშაველა.

ილიას ხსრვნას

იყოს წყეული, იყოს კრული
მისი სახელი,
ვინც შემოგკადრა სასიკვდილოთ
შეგახო ხელი!
ვინც დაგვინგრია ჩვენ ტაბარი
წმინდა ნაშენი
და სამუდამოდ შეურაცხჲო
სამშობლო შენი;
ვინც რომ ჰირველად განიზრახა
შენი დალატი,
ურცხვად დაღვარა სისხლი შენი,

როგორც ჯალათი;
ვინც შენი წმინდა სისხლით მორწყო
მთა და ველები
და კაენივით შეიღება
მითი ხელები.
სამშობლოშივე აღგიჩართა
წამების ჯვარი,
გოლგოთასებ დაყენა
იქ სისხლის ღვარი...
ეგ იყო განა ჯილდო შენი
სამსახურისა,

რომ გამხდარიყავ მსხვერპლი ვერაგთ
მტრობა შურისა?!..

უვიცა გროვამ ვერ შეიგნო
მოძღვრება შენი

და დაგვინგრია ჩვენ ტაძარი
წმინდა ნაშენი.

ვაი ჩვენს ყოფას, ჩვენს შერცხვენას,

ჩვენს დამკირებას, ვისულობას,
დედა-მიწასთან გასწორებას,
გათასისირებას!..
იყოს წყეული, იყოს კრული
მისი სახელი,
ვინც შემოგვადრა სასიკვდილოთ
შეგახო ხელი!...
რუს-იმერელი.

იროდიონ ევლოშვილს

(მისი ავადმუჯოფაბის გამო *)

ქავს მთის ნაპრალს, შავ ღამეში, შავი ნისლი შავად ჰეუთავს,
ტარტაროზი დავლურს უვლის და დემონი ფრთებსა ჰეუთავს;
შორს ხევ-ხუვში, შორით ისმის შორეულის კვნესა, ვიში,
სოფელს თავსა დაჰთარფატებს სივაგლახე, თროლვა, შიში!..

სდგას მგოსანი მთის მწერვალზე, სდგას მარტოკა, სდგას ეულად,—
ობოლია და მას ხელსა არვინ უწვდის მეგობრულად;
მაგრამ იგი მაინც მხნეა, მხნეა მუდამ, მხნეა, მხნეა...
მზეს მოუხმობს და დევიზი მისი მხოლოდ „სიცოცხლეა“!

წინ, მგოსანო, ეგრე წინ, წინ! ნუ შეგაკობს უამთა დენა;
არ იფიქრო შავ სიკვდილზე, იგი ღმერთმა შეაჩვენა!
გულს კვლავ მიეც სიხალისე, მოიმარჯვე ეგ მარჯვენა,
ააჟლერე კვლავ ჩანგური და დაგვიტკბე ისევ სმენა!

შენს ლექსო კრებულს, ლექსთა კონას ბროლის ჰიმნი ჩაწანი,
შენ ამ გულში ჩამომხედე, შენ ეს გულიც გაიცანი...
მასში ჰლვივის, ჰლვივის ალი ღრმად შენდამი თანაგრძნობის,
და ნუ გიკვირს, თუ მოგიძლვნა მეც სალამი მგოსნურ ძმობის!

ლადო გეგეჭკორი.

*) ეს ლექსი ავტორმა წაიკითხა აგარაკ აბასთუმანში მგოსნის სასარგებლოდ
გამართულ სალიტერატურო საღამოზე.

უკანასკნელი ვეტრება

(ბიჭვიდან)

ღ აბურულ ტყეში ოქვენ მე დამმარხეთ—
მოშორებული ხალხის ურიამულს,
რომ იქ შეეძლოს ჰპოვის სიმშვიდე
მგოსანს, ტანჯვისგან დაღლილ-დაქანცულს.

გთხოვთ, დაივიწყეთ საფლავისკენ გზა.
დეე, დაპფაროს იგი ბალახმა,

შემოეხვიოს ხის ჯვარს ბუჩქნარი,
რომ არ მოაგნოს ჩემ საფლავს ხალხმა.

ხის ტოტებიდან დეე, ვარსკვლავი
ღამის წყვდიაღში თავს დამცქეროდეს,
ოლონდ ყაყნი უგრძნობელ ხალხის
ჩემ საფლავამდინ არ მოდიოდეს.

კატო ბაქ—ძე.

ამონაპვნესი

დედის ძეირფასს ხსოვნას

პ ის შევჩივლო სევდა ჩემის გულისა?
ისევ სივრცეს ურკვეველსა და რთულსა?
—ის შეისმენს მწუხრის ამოძახილსა!?! ხე-
ებს, მინდვრებს, ფერადოვან ყვავილთა
შევდალადე უტყვთა და უხმოვანთა?!..

დიახ, მხოლოდ ბუნებასა მივმართავ...
თითქო, მასში ვჰპოვებ თანაგრძნობასა...
მაგრამ... ეჰა!.. ვხედავ—ვერ-რა გაპფან-
ტავს ღრმა ჭრილობას ამ საბრალო გუ-
ლისას...

სად წარვიდე? ვისლა ვანდობ ჩემს ფიქრ-
თა? ვერვის, ვერვის... ვგრძნობ სულისა
ობლობას... აგერ, მოჟერის—გზად შე-
მომხვდა მდინარე—გიუმაურად, შხუილით
მომჩქეფარე. „შენ რას მეტყვი?“ —ამ შე-
კითხვით დავცქერი და გრძნობათა გულ-
ში ადუღებულსა, მისსა ტალღებს თით-
ქო, ვატან — მღელვარეს... მაგრამ... პა-
სუხს — შვებას ვერა ვპოულობ და უფრო-
რე სევდით ივსება გული...

ის აღარ მყავს, ვინც მდინარეს, თუ
მინდვრებს, — ვინც შესტრფოდა სიკეკლუ-

ცეს ბუნების! — უდედობით გულდამწვარ-
მა-დავულმა ვით-ლა ვნახო შვება ჩემის
ნაღველის...

ის, ვინც იყო მთელი ჩემი სიცოცხლე,
მირჩევდა მე, ცქერას მიმავალ წყალის:
„დარდს და ნაღველს წარიტაცებს ტალ-
ღაო; ფიქრო მორევიდან ის გამოგიყვან-
სო; შვებას იგრძნობ, რადგან მდინარეს
თითქო, მასში თან და გაცლის გულის
წყლულებსო!“ ...

მეც ვუცქერი, რადგან ამას უყიდარდა;
მაგრამ შვებას ახლა ვერა ვპოულობ და
ცრემლები ღაბაღუპით მცვივიან... მისი
ცქერა უყვარდა — ვინც აღარ არს, — ესეც
კმარა ჩემსა დასატანჯავად!

— აგერ, მთვარეც ამოსცურდა — პირ ბად-
რი! საიდუმლო შუქით მიმომფინარი...
ვარდ-ყვავილნი მდუმარებენ კრძალვითა...
არე-მარე მიმოიცვა ნაზ შუქმა, — გულს
ათრთოლებს... მხიბლავია ბუნება!

ამ ნაირსა საღამოსა შესტრფოდა, ვინც
გაბიქრა ამ ქვეყნიდან ხელ-შუა... გადე-

სახლა ზეცის წიაღსა შინა! და არც ვიცი
ნამდვილ „ზეცას არსებობს“? — თუ — ქცე-
ულა ჰერათ და არარათ?!“

აქა სწყდება ჩემთა ფიქრთა საზღვარი...
და ხელ-ახლავ უიმედო გმინვითა შევღა-
ლადებ მხოლოდ სივრცეს უსაზღვროს:
„საღა ვპოვო შევბა ჩემის სულისა! — ვინ
ამიხსნის კითხვებს ამოცანისას — ამა ქვეყ-
ნის — გამოურკვეველისას!!!“

არსით... არსით არ მოისმის პასუხი...
და მიწაზე ვეშვები გულ მიხდილი... გონს
მოვდიგარ! დედა მიწას ჩავდახი... არც
იქიდან ხმა, არც ამოძახილი... ზეცით —
მაღლა ავიწვდინე ხელები: „ცალ, ცალ!
შენ გამომეც ხმა რამ საიმედოსი!“ მაგ-
რამ... არა... ზეცაცა სღუმს... თანამგრ-
ძნობი არ არი... არვის ესმის ურვა დამ-
წუხებულის; არც სულდგმული, არც
უსულო საგნები არ დაგეძებს, — მხოლოდ
სივრცე გულგრილი გახვევია ბედერულს —
დაუნდობელი... და... ამავ დროს ისევ
შენვე ფხიზღლდები... ამ სიტყვებით ზეზე
ჭამოდგომილი:

„გონს ვერ მოხვალ — თუ თვით არ გა-
კაულები!“ „ამ გვარი რამ ყოველ კაცის
ხვედრია... კაცი თავის მონუგეშე — თვით-
ვეა!“ შესძახე თუ: „ჩემო თავო, გამაგრ-
დი! კუას შესცდე — ვაჟკაცობა არ არი!“
ნუ მოელი ნუგეშს ნურავისაგან; ნურც
იძლევი ამაოთა კითხვებსა; ნურც ელი
პასუხს გამორკვეულსა... ადექ, გზასა
გაუდექ უფიქრელათ „ჭია ხარ და ჭია
შეგვამს მიწასა...“

„მანამ საფლავს ჩახვიდოდე კი, ვლიდე
უგზო-უკველოთ... გულ-ავსილი სევდითა...
რადგან ჰპოვებ ვერსად თანაგრძნობასა —
ნამდვილს — მომცემს შვებას შენის სული-
სას... „მაგრამ... მაინც გაკაჟებას ეცადე! —
და ერიდე სულით დაცემულობას!!.“

ამ ლალადით ისევ სივრცეს მიმართავს
და დაწოწავს ქვეყნად სული — ობოლი.

გულ-გატეხილი.

1913 წ. 19 აპრილი
დ. სურამი.

ს ი ტ ყ ვ ა,

თქმული თბილისის სათავად-აზნაურო ქართულს კერძოდ გიმნაზიაში სწავლის
დაწყების წინ, 1913 წლის ენერგენის ვ.

ქოგილოცავთ, ყმაწვილებო, ზოგი-
ერთს ჩვენს სკოლაში შემოსვლვას, ხო-
ლო დანარჩენთ სწავლის განგრძნობის და-
საწყისს, და წრფელის გულით გისურვებთ
მტკიცედ შეითვისოთ მომავალს წელში
გარდმოცემული თქვენდა სწავლა, რომ
ამ სწავლით განბრძნობილი აღიზარ-
დნეთ ღვთის საღიდებლად, მშობელთა
სანუგეშოდ და ეკლესიისა და მამუ-
ლისა სასარგებლოდ!

ამ მილოცვასთან ერთად, საჭიროდ
ვსთვლი მოგაგონოთ იგავი მონათა ზედა,
რომელთაც მიიღეს უფლისაგან თითო,
ორორი და ხუთ ხუთი ტალანტი. რო-
გორც უფალმა რამდენისამე ხნის შემდეგ
მოსთხოვა მონათა თვისთა ანგარიში, თუ
რა უყვეს მის მიერ მინიჭებულ ტალან-
ტსა, აგრეთვე თქვენც, საყვარელნო,
წლის გასულს მოგთხოვენ ანგარიშს, თუ

როგორ გაატარეთ ეს სასწავლო წელი. როგორც უფალმა შეაქო და შერაცხა სახიერად და სარწმუნოდ ის ორი მონა, რომელთაც თავის შრომით განამრავლეს უფლისა მიერ მონიჭებული ტალანტი და დაადგინა იგინი მრავალთა ზედა, ისე შეაქებენ და უწოდებენ მონად კეთილად და სარწმუნოდ მათ თქვენგანს, რომელნიც კარგის ყოფა-ქცევით და ბეჯითობით გამოიჩენენ თავსა და საფუძვლიანად შეითვისებენ გარდომოცემულს სწავლისა; მათ დაადგენენ მრავალთა ზედა, ე. ი. გადაიყვანებენ შემდეგ კლასში და აზიარებენ უმეტესა და უპრელეს ცოდნას!

სამაგიეროდ, მათ, რომელნიც მსგავსად მონისა მცონარისა და ზარმაცისა, დამალვენ ქვეყანასა უფლისაგან მინი-

ჭებულს ტალანტსა, ე. ი. ცუდის სწავლით და უვარებისის ყოფა-ქცევით გაძოებებით ამხანაგთაგან, შერაცხენ მონად ბოროტად და მედგრად და განხდის ბნელსა გარესკნელსა ე. ი. განაშორებენ ტოლთა და მეგობართაგან და დასტოვებენ იმავე კლასში, ანდა— სრულებით მოგაშორებენ ამ ცოდნისა და განათლების ტაბარსა!

რომელსამე თქვენგანს, რომ არ ეშიოს ეს სამწუხარო და სავაგლახო ხვედრი, შევეღროთ ყმაშვილებო, ზეციერს მამას, რათა მან კეთილ ჰყოს დასაწყისი ამ სასწავლო წლისა, ნაყოფიერ— მიმდინარეობა და გვირგვინოსან— დასასრული მისი. ამინ

დეკ. პ. ცინცაძე.

წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლა

(30 წლის იუბილეის გამო).

თუმცა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის საიუბილეო კომიტეტმა გადასწყვიტა დღესასწაული გადაიხადოს 29 სექტემბერს, მაგრამ სკოლის დამაარსებელმა და მხრუნველმა ბატონმა ილია წინამძღვრიშვილმა 4 ამ სექტემბერს 30 წლის თავზე მოისურვა ამ დღის აღნიშვნა. ოთხშაბათ დილის ხუთ საათზე ბ-ნ ილიასთან ერთად გავემზავრეთ სოფ. წინამძღვარიანთ-კარს. ცხრის ნახევარზე უკვე იქ ვიყავით. მწარის ნაღველით სავსე, ქუდ მოხდილი გავიარეთ შევის ხის ჯვართან, სადაც უკანასკნელად ამოისუნთქა სკოლის მეგობარმა უკვდამა ილიამ...

11 საათზე სკოლის ეკლესია გაივსო

მოწაფეებით და ადგილობრივი მცხოვრებით. სკოლის მღვდელმა მამა ჯალიაშვილმა გადაიხადა ჯერ პანაშვიდი და შერე სამადლობელი პარაკლისი. პანაშვიდი გადავუხადეთ და მაღლობით მოვიხსენიეთ აწ განსვენებულნი სკოლის გულწრფელი მეგობარნი:

ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი სტაროსელსკი, ილია ოქრომჭედლიშვილი სერგბრიაკოვი, ვიკტორ გაეგსკი, ივანე ხატისოვი, არტემ მირაქვი, იაკობ გოგებაშვილი, ნიკოლოზ ცხვედაძე, მიხეილ ბებუთოვი, ევგენი ბელოი, დივით სარაჯიშვილი და ყოფილი გამგე სკოლისა არქიპოტყემალაძე.

შემდეგ პარაკლისისა სკოლის გამგემ არსენ წითლიძემ დაახლოვებით შემდეგი სიტყვით მიმართა შესაფერებს: „დღევან-დელი დღე, ყმაწვილებო, ფრიად შესანიშნავია. დღეს ჩვენ სკოლას დაარსები-დან 30 წელიწადი უსრულდება. იშვიათ-მა ქართველმა, ბატონმა ილია წინამძღვრი-შვილმა ამ 30 წლის განმავლობაში გა-ზარდა სასწავლებელი, გააღმონიერა და გაამშვენიერა იგი. დაარსების დღეს, ამ 30 წლის წინად, აი აქ, მეორე იშვიათმა და დიდებულმა ქართველმა ილია ჭავჭა-ვაძემ გლეხებისადმი მიმართულ თავის უკვდავ სიტყვაში სთქვა: „ღმერთმა რომ ქვეყანა გააჩინა დედა მიწას გული გადა-უხსნა, შიგ აუარებელი სიმღიდრე ჩაუდა-ვა, ადამიანს უანდერძა—იშრომე, გაისარ-ჯე, ეგ სიმღიდრე დედამიწის გულიდან ამოიღე და შენს საღლევრძელოდ მოიხმა-რეო, ჩვენში და თქვენგან გამიგონია, ქრისტე ღმერთმა თავისი კალთა უხვობი-სა აქ, ამ ჩვენს პატარა ქვეყანაში დაი-ბერტყაო“.

მართალია ჩვენი ქვეყანა ულეველი სიმღიდრით არის საკუთ, ამ სიმღიდრეს მხოლოდ შესაფერი ცოდნით მოიხმარს კაცი. ამ შესაფერ ცოდნას აი ეს სკოლა იძლევა. დღეს ხსნა მხოლოდ მეურნეო-ბაშია, მიწის გამოყენებაშია, მარტო მშრა-ლი წერა-კითხვა ახლა არავის აქმაყოფი-ლებს. ეს სკოლა და მისი დამაარსებელი, ბატონი ილია, რომელიც თქვენით, ბავ-შვებო, ჰხარობს, ბევრის მხრით არის საყვარელი, მაგრამ ყველაზე უფრო კიდევ იმით არის საგულისხმო, რომ თქვენ გა-ნათლებას და ყოველივე ცოდნას სამშობ-ლო ენაზე ითვისებთ. ჩვენი იმედი თქვენ-ზეა დამყარებული, აქ მიღებული ცოდნა-გამოცდილება მოვალე ხართ სოფელში

შეიტანოთ და ხალხს შრომა გაუადვილოთ თქვენის დახმარებით. 29 ამ თვეს სასიქა-დულიად უნდა ვიღდესასწაულოთ 30 წლის თავი. მაშ, გაგიმარჯოთ თქვენც, ბატონი ილია, და თქვენც, ბავშვებო! —დაასრულა 8. წითლიძემ.

ბატონი ილია დღესაც ისე, როგორც 30 წლის წინად, თავს ევლება ამ სკო-ლას, მითი სცხოვრობს, და დღე და ღამ მის კეთილდღეობაზე ზრუნავს. საკვირვე-ლი და გასაოცარია ამ კაცის ბუნება! 30 წელიწადი ასეთი მძიმე ტვირთი ატარო და არ დაიღალო, განა ჩვენში მზავსი რამ ვინშეს გაგიგონიათ!

მახსოვ 28 წლის წინად სწორედ 4 სექტემბერს, როცა ამ სკოლაში მიმაბა-რეს; ილია თავს ევლებოდა სკოლას, მის საჭიროებას ხედავდა, მასწავლებლებს და ბავშვებს შრომას ასწავლიდა, სიხარულს და უნარს უნერგავდა ყველას, ვინც გა-რეშემო ეხვია. და დღეს, როცა შევადა-რე ნახული 1885 წელს 4 სექტემბერი 1913 წელს ჰეშმარიტად გაკვირვებული-დავრჩი: ის დღესაც უკლებელი ენერგიით და რწმენით აკეთებს სკოლის საქმეებს.

აი ასეთ ადამიანს უნდა გადაცუხადოთ ქართველებმა ლირსეული მაღლობა ამ თვის 29-ს.

ოცდა ათი წლის წინად აქ მარტო ცა-რიელი მინდორი იყო და დღეს აქაურო-ბა ქალაქსა ჰგავს — მრავალი საჭირო შე-ნობით და ვეებერთელა ბალით შემკობი-ლი, ყოველივე ეს ერთი კაცის მაღლიანი უნარით არის შექმნილი. მობრძანდით ბატონებო, ნახეთ და თითონ დარწმუნ-დებით, თუ რის გაკეთება შესძლებია ქა-რთველი ხალხის მოყვარულ აღამიანს.

სფიმონ ხუნდაძე.

შინაური მიმოხილვა

მასწავლებლების ვლ. ნაცვლიშვილისა და ა. ოდიშარიას თავ-გადასავალი*)

ლიდი აურზაური და შეტაკება მოხდა
წარსულ სამოსწავლო წლის ბოლოს ქუ-
თაისის გუბერნიის სახალხო სკოლების
დირექტორისა, ქალაქის სკოლის მასწავლებელებისა
და ქალაქის გამგეობის შორის.
საჭმის ვითარება ასეთია:

მოძრაობის შემდეგ, 1907 წლიდან
აღდგენილ იქნა ხელმწიფის მოადგილის,
განსვენებულის მიხეილ ნიკოლოზის ძის
მიერ დამტკიცებული 1881 წლის სასწავ-
ლო გეგმა ჩვენებური სახალხო სკოლების-
თვის, რომელიც მაშინდელი ოლქის მზრუ-
ნველის მ. ზავადსკის მოხსენებით ორჯელ
მოიწონა და დაამტკიცა კიდევ დღევან-
დელმა ხელმწიფის მოადგილემ, გრაფმა

ვორონცოვ-დაშვილმა, ჯერ შეუცვლელია და ამიტომ ძალაშია. თანახმად ამ გეგმისა, დასაწყისის სკოლებში პირველი წელიწადს ოთხი თვეის განმავლობაში მოსწავლემ უნდა შეისწავლოს სამშობლო ენაზე წერაუკითხება და ანგარიში, რესულ გაჭვეთილების ჰირვეფი ნახევარი წლის ნუსხაში ადგილი არ აქვთ, იანვარიდგან კი, ე. ი. მეორე ნახევარი წლიდან იწყება რუსული ენის გაკვეთილები ჯერ ლექსიური (ზეპირი), რომელიც გრძელდება წლის ბოლომდე დღეში 30—45 წუთს; მეორე წლიდან მოსწავლე იწყებს წერა-კითხებს რუსულ ენაზედაც. ამ ათასჯერ გადალეჭილ და შემუშავებულ გეგ-

ნინ ჩეებში, რომელიც კუპსკისა და მისთა
მსგავსთა ვითომდა კანონების მცდნეთ ადა-
რებენ და მთხოვილებას მოითხოვენ, ზორის
დირსნი არან, როგორც ქედმოხრილი ლა-
ხარნი და უკამაყონილი მონანი. ისედი გვერდა
სიმართლე თავისს გაატანდა, დასჯოლი მას-
წავლებლები მიღებდნენ ზნებორივს სიმშვიდეს
და პროფესია ველზეაც გამარჯვებული დარ-
ჩებოდნენ; ჩეენი მთლილი გამართლდა,
ნაცვლიშვილმა და ოდიშარიამ ზნებორივ სიმ-
შვიდესთან თავიანთი ადგილებიც დაიბრუნეს
და დღეს გამარჯვებული არან; დაჩრებებს კი
შეჩნათ მსოფლი თავიანთი სილაბრე და
სულის სიღატაპე. დე, ამ მაგალითმა მაინც
ჩასედოს მასწავლებლები თავიანთ გულში და
შეაგნებინთ, რომ სიმართლისადმი ლალა-
ტით თავიანთ თავსაც ავნებენ და საზოგადო
საქმესაც.

მის დარღვევა, ვიდრე ის შეუცვლელია და ძალაშია, დიდ დანაშაულობათ ეთვლება სახალხო მასწავლებელს, ამიტომ ყველანი ვალდებული ვართ დავიცათ ის; მაგრამ ასე როდი მოხდა: ამ ექვსი წლის განმავლობაში, ყოველთვის ქუთაისის დირექტორი, ინსპექტორებმა გაილაშქრეს ამ გეგმის წინააღმდეგ და მოინდომეს მისი დარღვევა და შეცვლა „ზოგიერთ მასწავლებლების“ წყალობით და მოღვაწეობით.

1912 წლამდე, სანამ ქუთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დირექტორად იყო პატივცემული და მეტად პატიოსანი ადამიანი ლ. სემიონოვი, ინსპექტორებს არ უჯერებდა და არ ეთანხმებოდა, ამიტომ გეგმაც დაცული დარჩა, თუმცა „ერთგული მასწავლებლები“ ინსპექტორების გულის მოსაგებად მალულად პირველ წელშივე იწყებდნენ რუსულ ენის სწავლებას პირველ განყოფილებაში და იმ დროს, როდესაც ჯერ კიდევ შვიდი წლის ბავშვმა ქართული ამოკითხვა არ იცოდა, ისინი თუთიყუშივით აზეპირებდნენ მათ რუსულ სიტყვებს და ამით უმახინჯებდნენ გონებას. 1912 წლის სექტემბრიდან ბ. სემიონოვმა თვისი სურვილით მიანება თავი სამსახურს. მის ადგილზე დაინიშნა ბ-ნი კრუპსკი ინპექტორ გროზდოვით. მოსელისთანავე ამათ ძვალ-რბილში გაუჯდათ 1881 წლის სასწავლო გეგმის დარღვევა და თავი ისახელებს მით, რომ ჯერ გაილაშქრეს ქუთაისის ქალაქის პირველ-დაწყებრთ სკოლების წინააღმდეგ, იმ მოსაზრებით, რომ თუ ამ პიზიციას აიღებდნენ, შემდეგ მთელი გუბერნიის სოფლის მასწავლებლებსაც დაითანხმებდნენ. ამ გეგმით ინსპექტორი გროზდოვი შეუდგა საქმეს და ნოვმბერში მოსთხოვა სკოლების გამგეთ, შეედგინათ

პირველი ნახევარი წლის გაცველებულის ნუსხა თანახმად დირექტორის მიერ შემუშავებული გეგმისა, რომელიც სავსებით ეწინააღმდეგებოდა 1881 წლისას მით, რომ გარდა სამშობლო ენის გაკვეთილთა რიცხვის შემცირებისა პირველი წლიდანვე იწყებოდა პირველ განყოფილებაში რუსული ენის გაკვეთილებიც. ოთხივე სკოლის გამგემ მასწავლებლებითურთ მოახდინეს კრება, მოილაბარაკეს და ყოველივე აცნობეს ქალაქის გამგეობას და სასწავლებელთა გამგე კომისიას; დაინიშნა შეერთებული სხდომა კომისიისა და ქალ გამგეობისა; გაიგო ეს თუ არა ინსპექტორმა, კიდევ მოსწერა გამგეებს და დრო დაუნიშნა, რათა მათ იმ დრომდე გაეგზავნათ მისთვის პირველი ნახევარი წლის ნუსხა, რუსული ენის გაკვეთილების შეტანით, წინააღმდეგ შემთხვევაში მათ ემუქრებოდა სამსახურიდან დათხოვნას. დეკემბრის 6—7 რიცხვებში მოხდა შეერთებული სხდომა, რომელზედაც მოწვეული იყნენ სათათბიროდ გამგეები და გარეშე საპატიო პირნიც; ბევრი თაბირის შემდეგ დაადგინეს: დეპეშა გაეგზავნოს ოლქის მზრუნველს ტფილისს და ეთხოვოს შეაჩეროს საქმის გამორკვევამდე ინსპექტორის უკანონო მოთხოვნილება; გამგეებს კი დაავალი სხდომამ ინსპექტორისათვის ჯერ არაფერი არ გაეგზავნათ. დეპეშის გაეგზავნა მიანდვეს ქალაქის თავს ილია ჩიქვანს, რომელმაც კიდევაც გაეგზავნა. ამასობაში ინსპექტორისაგან დანის შნული დრო დაუდგათ გამგეებს, სამშამათგანმა დაპკარგა სულის სიმშვიდე, აღარ დაუცადა დეპეშის პასუხს და მასწავლებლების დაუკითხავად, მალულად მეორე დღესვე გაეგზავნა ინსპექტორს ახალი ნუსხა, წინააღმდეგ 1881 წლის გეგმისა. გატყდა ციხე შიგნიდგან, აღაპარაკდა პრე-



სა, ახმაურდა საზოგადოება, დაიბეჭდა სა-
პროტესტო წერილები, პასუხი მოეთხოვა
მასწავლებლებს, ვინ რა როლს ასრულე-
ბდა, როდესაც გამგეებმა ეს ჩაიდინეს და
სხვა... პირველად დაიბეჭდა სამი დამნა-
შვე გამგის წერილი, რომლითაც ისინი
ბოდიშს იხდიდენ საზოგადოების წინაშე
და აცხადებდნენ, რომ თუმცა დირექციის
გაუგზავნეს ნუსხა, მაგრამ მოსატყუილებ-
ლად და ღრმოს მოსაგებად, თორებ საქ-
მით განხორციელებას არ ჰქონდნენ და
თუნდაც მოენდომებიათ ამ ნუსხით
მეცადინობა, მასწავლებლები მაინც თანა-
ხმა არ გაუხდებოდნენ და სხვა... „წყალ-
ში ჩავარდნილი ხავს ეკიდებოდა“ ასე-
თი იყო მათი თავისმართლება და ბოდი-
ში (იხილეთ გაზ. „იმერეთი“ 1912 წ.
66 ნომერი). შემდეგ მოჰყვა მასწავლებ-
ლების წერილები; პირველად 16 დეკემ-
ბერს „იმერეთის“ 68 ნომერში დაიბეჭდა
ლადო ბზვანელის წერილი: „სამი გამგის
საქციელის გამო“: ამ წერილში იგი იცავ-
და რა 1881 წლის სასწავლო გეგმას, სა-
ყველურს უცხადებდა გამგეებს აჩქარები-
სათვის, მტრებმა მაშინვე მიურბენინეს
გროზდოვს იმ გაზეთის ნომერი, რომელს
შიაც იყო დაბეჭდილი ბზვანელის წერი-
ლი; მესამე დღეს განრისხებული გროზ-
დოვი მივიღა სასწავლებელში და ნაცვლი-
შვილს უსაყვედურა: როგორ გაბედე და
გამოამჟღვნე ჩვენი განკარგულება და
სკოლის გამგის მოქმედებას რად უწოდე
სამარცხეფინა საქმე გაზეთის ფურცლებზე-
ლო. დაქმუქრა და მოსთხოვა წერილო-
ბითი პასუხი მიეცა მისთვის იანვრის 7
რიცხვამდე. ნაცვლიშვილმა უპასუხა, თუ
რამ გამოიწვია მისი წერილი, თან დაუმატა,
რომ მე არც დირექტორს და არც ინს-
პექტორს არ შევხებივარ, არამედ დავგმე
საჯაროდ გამგე მასწავლებლების მოქმე-
დება და თუ ისინი შეურაცხებულია და
გრძნობენ თავს, შეუძლიათ გამომიწვიონ
სამართალში და პასუხი მაგებინონო. გა-
ვიდა რვა იანვარი, წერილობითი პასუხი
ნაცვლიშვილს არ გაუგზავნია; მეორე დღეს
ინსპექტორს ნაცვლიშვილის დათხოვნის
შესახებ მოხსენება მიეტანა დირექტორ-
თან, რომელსაც სიამოვნებით მოეწერა
თანხმობაზე ხელი. აცნობეს ქალაქის გამ-
გეობას და იმ სკოლის გამგეს, სადაც
ნაცვლიშვილი მსახურებდა, რომ იგი და-
ითხოვეს გაზეთ „იმერეთში“ წერილის
მოთავსებისათვის, ამასთანავე გადააყენეს
გამგეობიდან ოდიშარიაც დირექციის მო-
თხოვნილების შეუსრულებლობისა გამო.
ამხანაგებმა იძულებს ნაცვლიშვილი და
წერილობითი პასუხი მაინც გააგზავნინეს
ინსპექტორთან, საღამოს ნაცვლიშვილიც
შევიდა, რათა სიტყვიერად მიეცა თავისი
პასუხის განმარტება; მან მოისმინა, მაგ-
რამ ქუთასში მასწავლებლად დატოვებაზე
კი უარი უთხრა: დირექტორმა დაამტკი-
ცა შენი დათხოვნა და აში გვიანდა არი-
სო. ნაცვლიშვილმა განაგრძო სამსახური,
ქალაქის გამგეობა მას არ ითხოვდა, პირ-
იქით ამხნევებდა და ეუბნებოდა, სასწავ-
ლებელი არ დაეტოვებინა. ინსპექტორი
გროზდოვი გულზე სკდებოდა, როცა
ნაცვლიშვილი კლასში მეცადინეობდა,
ორჯერ მოვარდა გაბრაზებული და წინა-
დადება მისცა გამგეს: ნუ ამეცადინებ ნა-
ცვლიშვილს, რაღაც როგორც გადა-
ყენებულს, უფლება არა აქვსო. ნაცვლი
შეილმა განუცხადა: „ვიდრე ქალაქის გამ-
გეობა არ მომწერს დათხოვნის ქაღალდს და
ჩემს მაგიერ კაცს არ გამოგზავნის, კლასი
დან ვერ გავალო“. მზრუნველისაგან დეპე-
შის პასუხი არ სჩანდა, დირექციიაც შე-
ჩერდა. ქალაქის გამგეობამ და კომისიამ
სხდომა მოახდინა და დაადგინა: ქალაქის

დება და თუ ისინი შეურაცხებულია და
გრძნობენ თავს, შეუძლიათ გამომიწვიონ
სამართალში და პასუხი მაგებინონო. გა-
ვიდა რვა იანვარი, წერილობითი პასუხი
ნაცვლიშვილს არ გაუგზავნია; მეორე დღეს
ინსპექტორს ნაცვლიშვილის დათხოვნის
შესახებ მოხსენება მიეტანა დირექტორ-
თან, რომელსაც სიამოვნებით მოეწერა
თანხმობაზე ხელი. აცნობეს ქალაქის გამ-
გეობას და იმ სკოლის გამგეს, სადაც
ნაცვლიშვილი მსახურებდა, რომ იგი და-
ითხოვეს გაზეთ „იმერეთში“ წერილის
მოთავსებისათვის, ამასთანავე გადააყენეს
გამგეობიდან ოდიშარიაც დირექციის მო-
თხოვნილების შეუსრულებლობისა გამო.
ამხანაგებმა იძულებს ნაცვლიშვილი და
წერილობითი პასუხი მაინც გააგზავნინეს
ინსპექტორთან, საღამოს ნაცვლიშვილიც
შევიდა, რათა სიტყვიერად მიეცა თავისი
პასუხის განმარტება; მან მოისმინა, მაგ-
რამ ქუთასში მასწავლებლად დატოვებაზე
კი უარი უთხრა: დირექტორმა დაამტკი-
ცა შენი დათხოვნა და აში გვიანდა არი-
სო. ნაცვლიშვილმა განაგრძო სამსახური,
ქალაქის გამგეობა მას არ ითხოვდა, პირ-
იქით ამხნევებდა და ეუბნებოდა, სასწავ-
ლებელი არ დაეტოვებინა. ინსპექტორი
გროზდოვი გულზე სკდებოდა, როცა
ნაცვლიშვილი კლასში მეცადინეობდა,
ორჯერ მოვარდა გაბრაზებული და წინა-
დადება მისცა გამგეს: ნუ ამეცადინებ ნა-
ცვლიშვილს, რაღაც როგორც გადა-
ყენებულს, უფლება არა აქვსო. ნაცვლი
შეილმა განუცხადა: „ვიდრე ქალაქის გამ-
გეობა არ მომწერს დათხოვნის ქაღალდს და
ჩემს მაგიერ კაცს არ გამოგზავნის, კლასი
დან ვერ გავალო“. მზრუნველისაგან დეპე-
შის პასუხი არ სჩანდა, დირექციიაც შე-
ჩერდა. ქალაქის გამგეობამ და კომისიამ
სხდომა მოახდინა და დაადგინა: ქალაქის



თავი ბ. ილია ჩიქოვანი ჩასულიყო თბილისს და მოლაპარაკებოდა პირადად ოლქის მზრუნველს, თან კომისიის წევრს, ბ. გრ. გველესიანს დაავალეს დაწერა დაწვრილებით მოხსენება ამ ინციდენტის შესახებ და საბჭოში განხილვის შემდეგ გაეგზავნათ გუბერნატორის შუამდგომლობით ხელმწიფის მოადგილესათვის. დაიწერა ვრცელი მოხსენება დირექციის უკანონო მოქმედების შესახებ, რომელიც განხილულ და მოწონებულ იქნა საბჭოს მიერ და გაიგზავნა გუბერნატორის კანცულარიაში ხელმწიფის მოადგილესთან გასაგზავნად; ქალაქის თავიც იანვრის დამდეგ რიცხვებში გაემგზავრა თბილისს. მზრუნველმა მოისმინა რა ქალაქის თავისაგან საქმის გარემოება, უკანონოდ სუნი ღირექციის მოქმედება და მისცა სიტყვა ქალაქის თავს, რომ საქმეს მშვიდობიანად გაათავებდა და გადაყენებულ მასწავლებლებსაც თავის ადგილზე დაბრუნებდა. ეს ამბავი ქალაქის თავშა დეპრესით აცნობა ქალაქის გამჯეობას, თან სთხოვა შეეჩერებინათ მოხსენების გაგზავნა ხელმწიფის მოადგილესთან, მეორე დეპრესია კი გაუგზავნა პეტერბურგს დეპუტატ გელლოვანს პასუხად იმის დეპრესიე, რომლის შინაარსი დაბეჭდილი იყო გაზეთ „იმერეთში“ და აქვე მომყავს, რათა ვაკანო მკითხველებს ოლქის მზრუნველის დაპირება: „სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი გელლოვნის აცნობა ქალაქის მოურავს, რომ ქეთაისის გუბერნიის სახალხო სკოლების დარექტორის სტატუტის უკანონო მოქმედების შესახებ შეკითხებას სათათბირო განიხილავს თოშშიათ 6 თებერვალსათ. ქალაქის მოურავს დეპრესით აცნობა ბ. გელლოვნის: „საჭიროა შრინციპიალურად მსარი და უჭიროთ შეკითხვას; ამავე დროს განაცხადთ, რომ თჯეშის მზრუნველი, საქმის ვითარებას გაცნობის

შემდეგ, პირადად შემშირდა საქმის მშენდობისად გათავების და დათხოვნილ მასწავლებელების თავის ადგილზე დაბრუნებას“.

თებერვლის პირველ რიცხვებში ქალაქის თავი ჩამოვიდა დამშვიდებული, მასწავლებლები დაწყნარდნენ, საზოგადოება და პრესა გაჩუმდა და ნორმალური მეცადინება გაგრძელდა სკოლებში. გავიდა სამი თვე, დირექციის აღარაფერი მოუწერია, ინსპექტორი შერცხვენილი დარჩა და სკოლებს აღარ მიჰყარებია; სამაგიეროდ ის დაბოლდა დარექტორთან და აქეზებდა მას, როგორმე გაეტანა თავისი განკარგულება; დირექტორმაც თავი მოაბეჭრა მზრუნველს „რაპორტების“ წერით და ორჯერ კიდევაც ჩავიდა თბილისში მზრუნველთან. დადგა მაისი; მოახლოვდა მოწაფეთა გამოცდის დრო და დირექტორმა მისწერა ხელახლავ გამგეობას შემდეგი შინაარსის ქაღალდი: „მაცნობეთ, რა საფუძველის ძალით არ მოიყვანეთ სისტულეში ჩემი დადგენილება ოდიშარიას და ნაცვლი-შვილის გადაყენების შესახებ, როდესაც მე ოლქის მზრუნველმა ხუთ თებერვალს ქაღალდით მაცნობა, რომ ის არ არის წინააღმდეგი ჩემი განკარგულებისათ“. დირექციის მოწერილობის შინაარსი დაუჯერებელი და საეჭვო შეიქნა ქალაქის გამგეობისათვის იმიტომ, რომ პირველს თუ რას თებერვალს ქალაქის თავი ჩამოვიდა თბილისილან მზრუნველის ასეთი დაპირებით და საიდან შეიძლებოდა, რომ ხუთ თებერვალს ის მოსწერდა დირექტორს ამ გვარი შინაარსის ქაღალდს! გამგეობამ ამ ქაღალდზე დირექტორს პასუხი არ გასცა და 17 მაისს გაუგზავნა ქაღალდი პირდაპირ მზრუნველს, რომელშიაც მოაგონა ქალაქის თავშა მას თებერვლის პირველ რიცხვებში თბილისში



მასთან ჩასვლა და მისი დაპირება; გათავ-
და მაისი და ქალაქის სკოლებში გაიმარ-
თა თანამაღლიური დირექტორის სურვილისა,
ინსპექტორის თანადასწრებით ოთხსავე
სკოლის უკანასკნელ განყოფილებების
მოსწავლეთა საჯაროდ გამოცდა, რომელ-
საც ესწრებოდნენ ქალაქის თავი, კომი-
სის წევრები და სხვა საპატიო პირნიც.
გამოცდა გაგრძელდა ერთ კვირას. შონა-
წილეობას ღებულობდნენ უმეტესად ის
მასწავლებლები, რომელთაც წელს ჰყავ-
დათ გასათავებელი უკანასკნელი განყო-
ფილებანი; ნაცვლიშვილს გამოცდაში მო-
ნაწილეობა არ მიუღია; ერთი იმიტომ, რომ
არ გაებრაზებინა ინსპექტორი და უსია-
მოვნო ინციდენტი არ ჟევედროდა და მეო-
რეც რადგან მას წელს მეთეუ განუთვილება
ჰყავდა და მოსწავლენი განთავისუფლებულ-
ნი იყვნენ საჯარო გამოცდისაკან, ამიტომ
დირექტორის განკარგულებით დამლევ მაისს
გაანთავისუფლეს და გამოცდაზე დასწრე-
ბას ნაცვლიშვილი ყოველთვის სავალდე-
ბულოდ არ სოვლიდა, ხანდახან კი ეს-
წრებოდა. მესამე სასწავლებელში, სადაც
ნაცვლიშვილი მასწავლებლობდა, უკანას
კნელ განყოფილებაში მეცადინეობდა მას-
წავლებელი ქალი მარიამ ლამბაშიძის ასული,
რომელიც მონაწილეობას იღებდა თავისი
მოსწავლეების გამოცდაში. ათ ივნისს და-
თავრდა ოთხსავე სასწავლებლის მოსწავ-
ლეთა გამოცდა. ინსპექტორმა უკმაყოფი-
ლება გამოაცხადა პირველი სკოლის მოს-
წავლეთა ცოდნის შესახებ ანგარიშში
(ოდიშარის კლასი) და მესამე სკოლის
ლამბაშიძის ასულის მოსწავლეების შესა-
ხებ ყველა საგანში. თუმცა არც ერთს
და არც მეორეს იმდენი ნაკლი არ ჰქო-
ნდათ, მაგრამ „ძალა აღმართს ხნავს“
და რადგან ინსპექტორს სახეში ჰქონდა
ქალაქის სკოლების დამკირება, ასე ინება;

საეგზამენო სიას ხელი მოაწერა—და შევი-
და. წავიდა და თან შეუდგა თავი-
სი მიზნის შესრულებას: მოახსენა დი-
რექტორს, რომ იმ დანაშაულს, რომე-
ლიც ჩაიდინეს ოდიშარიამ და ნაცვლი-
შვილმა, კიდევ დაემატა ის, რომ „იმ-
სასწავლებელში, რომელსაც განაგებს ლდი-
შარია, მოსწავლეები ანგარიშში სუსტი
აღმოჩნდნენ. და იმ სასწავლებელში კი,
სადაც ნაცვლიშვილი მასწავლებლის საჯა-
რო გამოცდის დროს მთსწავლები უვეჯვ
აგანში სუსტი იუგნენთ“. დირექტორმაც იშო-
ვნა საბუთი და გაუგზავნა მზრუნველს ბ.
გრიხტლოვის ყალბი მოხსენება. შეაკეთეს
საქმე; გამვეობა და მასწავლებლები პა-
სუხს ელოდნენ მზრუნველისაგან 17 მაისს
გაგზავნილ ქაღალდზე და თვე ნახევრის
შემდეგ მოუვიდათ შემდეგი განსაცვიფრე-
ბელი პასუხი, რომელსაც 27 ივნისს ხელს
აწერდა მზრუნველი; მომყავს აქვე შინა-
არსი:

„ლადო ნაცვლიშვილს ის ბრალი ედება,
რომ მან 1912 წ. 16 დეკემბრის კაზ. „იმე-
რეთის“ მე-68 ნომერში უადგილოდ გამოი-
და მექანიკა და მექანიკი კრიტიკა გაუქმდა გამგის
მოქმედებას და თან მიაწოდა მას ისეთი ბებ-
მა მოქმედებისა, რომელიც არ ეკუთვნის მას-
წავლებელს, ამის გარდა იმ სასწავლებელში,
სადაც მასწავლებლის ნაცვლიშვილი, საჯარო
გამოცდის დროს მთსწავლები უვეჯვა საგანში
აღმოჩნდნენ სუსტი. ღდიშარიამ ცრუ ცნო-
ბები მისცა დირექტორის გაკვეთილების რიც-
ხვის შესახებ, ამასთანავე იმისი მთსწავლები
სუსტი აღმოჩნდნენ ანგარიშის ცოდნაში“.
„რაც შეეხება ჩემს დაშირებას მასწავლებლების
თავის ადგილზე დაბრუნების შესახებ, მე
თქვენ შეგვიძლიათ მათ დატოვებას მხოლოდ
ამ სამოსწავლო წლის გასვლამდისო“. და ბო-
ლოს მზრუნველი უმატებს: „მიშხდავა
ასეთი შემცდარი მოქმედებისა, არც ღდიშ-

რიას და არც ნაცეფლიშვილს არ მოუნდომებიათ და არ ჟცდიათ ბეთილი განწყობილების აღდგენა დირქეჭიასთან; ამგვარ შირობებში ნასაღოვანი ეთხოვთს დირქეჭიას 16 იანვრის განხარგულების შეცეფა მათი დათხოვის შესხებ". როგორც მოგწონთ ასეთი ბრალდებანი! 16 იანვარს დირქეჭიამ სხვა ბრალდებანი წარმოადგინა მოსწავლეთა გამოცდის შემდეგ კი—სულ სხვა მოტივები წარუდგინა მზრუნველს და ყალბი მოხსენებით ფონს გადის. მესამე სასწავლებელს განაგებს ნ. მესხი. უკანასკნელ განუთავლებელს მასწავლებლად იყო შ. დამბაშაძის ასული და მთსწავლებები რომ სუსტნი აღმოჩნდენ, „ეს ლადო ნაცეფლიშვილის ბრალდასა!" შეიძლება ინსპექტორმა მისი რაიონის სკოლებში, სადაც წინად ნაცეფლიშვილს უმსახურნია, როგორც „მაგალითად, ეწერის და ტობანიერის სასწავლებლებში გამგედ, ან დიდი-ჯიხაიშის სასწავლებელში, სადაც გადაყვანილი იყო გამგედ, რაიმე ნაკლულევანება ნახა რევიზიის დროს, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, თუ სკოლნოდა, რომ ნაცეფლიშვილს ამ სკოლებში უმსახურნია, უსათუოდ მოახსენებდა დირქეჭორს. „რომ ყოველივე ნაცეფლიშვილის ბრალიაო", ინსპექტორმა მოატყუილა დირქეჭორი, რომელმაც შეუმოწმებლად ყალბი მოხსენება წარუგზავნა მზრუნველს. ქალაქის სკოლებში საკლასო სისტემა შემოღებული, ე. ი. პირველი განყოფილებიდან დაიწყებენ მეცადინეობას და ყოველ წელს გადატყვებიან ხოლმე მასწავლებლები თავიანთ მოსწავლეებს შემდეგ განყოფილებებში; შარშან ნაცეფლიშვილს ჰყავდა პირველი, წელს მეორე და მომავალ წელში ეყოლება გამოსაცდელი გასათვებელი განყოფილება. 23 წლის განმავლობაში ნაცეფლიშვილს თუ კარგად წა-

უყვანია ყველგან სკოლის საქმე, უნულებული ეხლა ვეღარ მოუვლიდა ერთ განყოფილებას! მაგრამ კრილოვის „მგლისა და კრავის" არაკის მსგავსად ირჯებოდა ინსპექტორი. რაც უნდა მართალი ყოფილი ყვნენ მზრუნველი, როგორც ჰედავთ, არ იყო თანახმა მასწავლებლების დატოვებაზე, თუ გამგეებმა და მასწავლებლებმა ბოდიში არ მოიხიდეს დირქეჭიასთან და არ მოიმაღლიერეს დირქეჭორი ინსპექტორი. ბოდიში მაშინ მოიხიდის ადამიანი, როდესაც რაიმე დანაშაული მიუძღვის, ნაცელიშვილმა და ოდიშარიამ კი ის დანაშაული ჩაიღინეს, რომ უმაღლესი მთავრობის მაგრა დამტეჭიდებული 1881 წლის სასწავლო გეგმა განთხიერად და წმინდად დაიწავეს.

ივლისის ხელის ქალაქის გამგეობამ და კომისიამ მოახდინა სხდომა, რომელზედაც მოიწვიეს გარეშე საპატიო პირნიც და ითათბირეს, როგორ და რით ებრძოლონ ასეთ უსამართლობას. დაადგინეს: განასაჩივრონ ხელმწიფის მოადგილესთან სამოსწავლო მთავრობის ასეთი განახენი, თან გაუგზავნონ იანვარში შედგენილი ვრცელი მოხსენება, ამასთანავე მიიღონ ზომები, რომ ქალაქის სკოლები გადაეცეს სხვა უწყებას. იმ მასწავლებლებს, რომლებიც პრინციპისათვის დაისასჯნენ, აღმოუჩინონ დახმარება, როგორც ნივთიერალ, აგრეთვე მით, რომ უშოვნონ წესაფერი ადგილი იმ შემთხვევაში, უკეთუ ხელმწიფის მოადგილემ დაამტკიცოს სამოსწავლო მთავრობის დადგენილება; დანარჩენმა მასწავლებლებმა კი, რომელთაც გაბედულად მხარი არ დაუჭირეს ამხანაგებს, თვითონ მოიძებნონ თავისთვის ადგილი, თუ ქალაქის სკოლები დაიხუროს. დიახ, თუ კი ყველას თანხმობა ჰქო-



ნოდათ, მაშინ ასეთი ამბავი არ ასტყუდებოდა, მაგრამ ზოგი მასწავლებელთაგანი ნოდა, უხაროდა; წყალი რომ აიმღვრევა,

თევზს დავიჭერო, არც აქეთ არის ზოგით. დროს უყურებს, რადგან ხშირად გაჩუმებით მოიგებს.

მეთვალყურე.

კრიტიკა და პიბლიოგრაფია

(წერილი შედრე)

„გ უ თ ა ნ ი“

ოჯახესა და შკოლაში საკითხაგი წიგნი

შედგენილი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების ი. აცხელის,
თ. მთავრიშვილისა და ს. ეიფანის მექ.

მეორე შესწორებული გმოცემა

მოგორც წინა წერილში გვქონდა ნათქვამი წერილი რომ არ გაგვიგრძელდეს, გავარჩევთ ამ წიგნის მხოლოდ მეორე განყოფილებას „ცხოველთა შორის“.

ძეგუს-მაწვანი. ეს ტერმინი მეტად უაზრო და უხერხეულია. ძეგუს-მაწოვანი დედები ან ძიძები არიან და ბუნებამ განა მარტოოდენ მდედრთა სქესი შექმნა!? განა მარტო მაწოვრებზეა ლაპარაკი. ლათინური Mammalia რუსებს უთარგმნიათ მლეკოპითაიუჟია და ახლა თითქოს მეცნიერებაც ლოიალობას მოითხოვდეს, უკველად სცდილობთ ქართული ტერმინიც რუსულს ემსგავსებოდეს...

ქართულს სამეცნიერო ლიტერატურაში დიდი ხანია ხმარებულია ტერმინი: ძეგუსმწვევლი, ძეგუსმწვევლი, ძეგუსმწვევლთა. სადათაა და აზრიანიც, რადგან უკველად ჩვენგანს ძეგუს უწოვია. თანაც კეთილს ხმავანია და ტექსტსაც საუცხოოთ ეფუსება. 25 წელიწადია მე ამ ტერმინს ვხმარობ საბუნებისმეტყველო წერილებში,

ავტორიც და მკითხველიც უკველანი სრული კმაყოფილნი ვართ.

ახლა ერთი მიბაძეთ, ლმერთი გაღლებრძელებდესთ, რაღა საჭიროება მოითხოვდა ამ ტერმინის ხელ-ახლად შექმნას, გამოგონებას?! მახსოვეს წინეთაც ვიღიასაც უნდოლა შემოელო ძეგუს-მაწვანი, მაგრამ ვერც ეს გამოდგა...

კარგი და პატიოსანი, ეს ვსოდეთ არ იწამეთ ჩემი წინადაღება, არ მიიღეთ ჩემი ტერმინი, ეს რაღა ლვთის წყრომაა, რომ ერთი ალთას სცემთ და მეორე ბალთას! ქუთაისელნი სწერთ 1911 წელს „ძეგუს მაწვანი“, ხოლო თბილისელნი 1913 წ. სწერენ: „რათ მეგებავნი“ *) გეკითხებით, ბატონებო, როდის და რას უნდა ველირსნეთ!? როდის უნდა დავეწიოთ ევროპას. ან მომავალმა მუშაკმა რომელს უნდა გაგვიგონოს? თუ იმათაც უნდა უკველ

*) იხ. „მცენარენი და ცხოველნი“ ვ. რცხილაძისა.

ათ წელიწადში ერთხელ ახალ-ახალი ამერიკა აღმოაჩინონ!..

2) ინდოეთის ხურმა (გვერდი 247, სტრიქონი 8 ზევიდან) უნდა ითქვას ინდის ხურმა ან დანაკის ჭუდი.

3) შეპკოჭეს (გვ. 247, სტრ. 2 ქვევიდან) უნდა იყოს შებოჭეს ანუ შეჭერეს (თოკებით). ბაკურიანის გზაზე არის სადგური საკოჭავი, ჰო და ეს იმას ნიშნავს, რომ იქ სატივო ხეებს ჰკოჭავდენ, ხოლო ადამიანზე ითქმის შებოჭეს. ოვით სტატია კი „ბეჭუინი და მისი ცხენი“ მშვენიერის ენით არის ნათარგმნი.

საზოგადოთ უნდა შევნიშნოთ, რომ მთელი ეს განკუთფილება, ას სამოცდაათი გვერდი აღტაცებით წავიკითხე. ყველა სტატია საუცხოო ქართულით არის ნათარგმნი თუ დაწერილი. მთავარი ლირუება აქ ის არის, რომ ენის შედგენილობა, მისი კონსტრუქცია წმინდა ქართულია, ქართლურია—არც რუსიციზმი და და არც ბარბარიზმი, არც თუ სხვა რამე ჯანდაბა, მხოლოდ ამ ჰროვინციალიზმა კი სწორედ უნდა მოგახსენოთ რო დამაკლები.

4) შველი (გვ. 250) უნდა იყოს მშველი.

5) ღმუილი (გვ. 252 სტრ. 10, ზევ.) ღმუის ძალი, მგელი და სხვ. ხოლო ნადირთა მეფე ჭარმი მუდრობის. ამ მოთხრობის (ზღვის ლომი) ერთმა ადგილმა (ხანამ) ქვევიდან მეცამეტე სტრიქონით რო იწყება, სწორეთ რო აღტაცებაში მომიყენა. უნდა მოგახსენოთ, რომ ქართულს ენას ჭირივით ეჯავრება მრავლობითი რიცხვი. სხვა მწერალი აქ უკველად მრავლობითი რიცხვით დააბოლოვებდა ყველა სიტყვებს. ჰო და აბა ახლა ნახეთ, ბატონებო, ჩვენო რუსეთუმებო, აი ინტერეტი ნიმუში რასაც თხოულობს ქართული

ენა. რუსულით გაულენთილი ჭიათურული მწერალი მოპყვება ბატონი ამ ების. ებების, ებები, ებებს და უბედურად ამახინ-ჯებს ტკბილ ქართულს.

ერთიც უნდა მოგახსენოთ—სულ არ იშვნება არ უხდება ქართულს ნაცვლით სახელიც. ახლა თქვენ იცით.

6) კყივილით (გვ. 255, სტრ. 6 ქვ.) უნდა იყოს უკირილით, რადგან გოჭზე ითქმის კყივისო და მამუნი კი უკირის.

7) აწარენებს (გვ. 260 სტრ. 13 ზევ.) ქართული არ არის, უნდა იყოს აწარენებს. აქვე არის სიტყვა მთამარაგეს, თუმცა ეს ლექსი პირველად მესმის და ვერც ლექ-სიკონებში ვპოვე, მაგრამ რაც კარგია, კარგია, „საზამთროდ სანოვაგე მთამარაგეს“ ცხოველებზეა ნათქვამი. ჩვენ კი ვიტყო-დით: საზამთროდ სანოვაგე დამზადეს, შეინახეს.

8) საცხვრე, სჯობს ითქვას ფარესი.

9) კოკისის ხე. იქნებ სჯობდეს ითა-ქვას ქოქოსის ხე. რ. ერისთავს ინდოეთის ქაკაჭი დაუწერია, მაგრამ ეს ტერმინი არ ივარგებს, ინდოეთში ბევრგვარი კაკალი იზრდება.

სამაგალითოდ არის ნათარგმნი ეს სტატია სიცილი, მხოლოდ ბოლოში არ უვარება სიტყვები „ბრეგა გაადინა“ ე. ი. უნდა იყოს—ბრაგვა მოიღო. „მოირბინეს მკედარ*) სპილოს სანახავად“ უნდა იყოს მთკლულ სპილოს სანახავად. „ვეებერთელა კბილებიც ამთხანერეს“, უნდა იყოს ვეებერთელა კბილებიც ამთკლულეს, გარდა ამისა ამ საუცხოო, ცოცხლად დაწერილ სტატიაში დახასიათებულია სპილოს მხოლოდ ერთი მხარე: მისი ანავრობა, და ვინც არ იცის და ამაზედ მეტსაც აღარ

*) მთელ ამ წერილში სიტყვები ჩვენ გავ-სახედ.

წაიკითხავს თავის სიცოცხლეში, იმან რა წარმოდგენა უნდა იქნიოს ამ შესანიშნავ ცხოველზე, რომელიც თავის უზარმაზარ აგებულებით და ჭიუის გამჭრიახობით, ადამიანის შემდეგ ყოველ ცხოველსა სჭარბობს, მოშინაურებული სპილოს ხოლიდი და უანგარიშო სარგებლობა მოაქვს ადამიანის ეკონომიურ ცხოვრებაში. სხვა არა იყოს რა სურათი მაინც ჩაგრერთოთ.

უნდა შევნიშნოთ, რომ მეტად დიდი და საკრძნობელი ნაკლებულებაა ამ სახელმძღვანელო წიგნისა, რომ არ არის დასურათებული. მეტადრე საბუნებ-მეტყველო სტატიებს აუცილებლად ესაჭიროება სურათი, ნახატი, სქემა და სხვ. უამისოდ ზოგს სტატიას არამც თუ მოსწავლე, თვით მასწავლებელიც ვერას გამოარსევს. თუ საპატიო იყო პირველი გამოცემის უსურათ-ხატოდ გამოცემა, მეორედ მაინც უნდა სურათები ჩაგრერთოთ. ეხლა ცინკოგრაფია არამც თუ თბილისში, პროვინციებშიაც-კი არის, სადაც სტატიაა, იქ ცინკოგრაფიაც მუშაობს. მართალია, გამომცემლებიც სჩივიან, რომ უსალსრობის გამო იძულებული იყვნენ მეორეთაც უსურათოთ გამოეცათ, მაგრამ ბოლიში საქმეს ვერ ასწორებს.

ამისთანა ღირსეულ სახელმძღვანელოს ნუ თუ ამდენ წელიწადში თანამგრძნობელი, დამფასებელი ვერავინ აღმოუჩნდა შეძლებულ ქართველთა შორის!? თუ არა და იქირავეთ, ბატონებო, კლიშეები რუსებისაც, თორემ სხვა არა იყოს-რა თვითონ წიგნს ნახევარზედ მეტად ეკარგება ღირსება.

9) ვებერთელა ვეფხვი (გვ. 264 სტრ.)
2) ამ შემთხვევაში სჯობს ითქვას: უშედებელი. აგრეთვე სიტყვას „თავს ესხმოდა“ აჯობებს თავს ეცემოდა, აგრეთვე

, „ლომივით არა ღრიალებს“, უფრო უფრო მუდრათის *).

10) კლანებისაც-კი მალავს (გვ. 265, 3 ზევ.) უნთა იყოს ჭანგებსაც კი კი მალავს...

ჩვენი მწერლები საზოგადოთ ამ ორ სიტყვას ერთმანეთში განურჩევლად ურევენ, ვის რომელი სიტყვაც პირველად ენაზე თუ პირზე მოადგება. მე მგონი ღროა გიმოირკვეს და ერთხელ და სამუდამოდ შევიგნოთ, რომ „ფრჩხილი“ არს კაცის თითის რქანი; ჩლიქი არს ზროხათა და მისთანათა გაპებული (გაპობილი?) ფერნის ფრჩხილი; ქაჩაჩი არს ცხენთა, ვირთა და მასთანათა მრთელი ფრჩხილი; ჭანგი— მხეცთა ფერნის მოდრეკილი ფრჩხილი; კლანჭი არს ბაზთა ***) და ფრინველთა ფრჩხილი (საბა).

ჰო და ასე, რაც ჩვენს წინაპარებს უშენებიათ, ჩვენ ნუ კი ლა ვანგრევთ!.. ეს სტატიაც, ვეფხვის შესახებ შეუდარებელი ქართულით არის ნათარგმნი, მაგრამ ცალმხრივია, მხოლოდ მტაცებლობაა გამოხატული.

11) ცოფის ჭია (გვ. 267) ამის სინონიმია შპანური ბუზი და მარიამბულა.

12) „ცხენს, ვირს და ზებრას ერთნიშვიანთა ჯგუფი ეწოდება“ - მ. საბა კი განმარტავს (როგორც ზევითაც ვნახეთ), რომ ერთჩლიქიან ცხოველებს ქჩაჩიანი ცხოველები ეწოდებათ.

13) „მესამე ჯგუფი სქელეგანანები—ღორი, სპილო, მარტორქა და ზღვის კამები (გვ. 262)... აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ტერმინი შრავალ ჩლიქიანები სჯობს ვიხმაროთ. ხოლო რაც შეეხება სქელ ქანანები, აქ სიტყვა კანი სრულებით უად-

*) მუღრობა არს ლომური ზხება (საბა).

**) ბაზი: შავარდენი, გავაზი, მიმინო, ყოველივე მისთანანი არიან ბაზნი (საბა).

კრიტიკა და ბიბლიოთგრაფია

გილოა, თუ არ დაგიშლიათ შეგეძლოთ გეოქვათ სქელ ტყავიანი. აქაც საჭიროა ერთხელ და სამუდამოდ გამოვარკვითოთ რა არის ტყავი და რა არის კანი. მე წინადაღება შემომაქვს სიტყვა კანი დავ-სტოკოთ მცენარეთათვის, ბოტანიკაში სახმარებლად, ხოლო ტყავი დარჩეს ცხოველებს.

საბაც მოგვითხრობს, რომ კანი არს თხელი ტყავი, ხოლო ტყავი არს კაცისა და ცხოველთ ჯორცი (ხორცი) გარეგანი საფარველი.

14) სქელ ფაფრიანი (გვ. 273) სჯობს ითქვას ხშირფაფრიანი (ლომი).

15) თქვენ სწერთ ამავე გვერდზე, რომ კატის ოჯახის წევრებს: ლომს, ვეფხვს ფოცხვერს პირში ბასრი წინა კბილები და წვეტიანი ეშვები უზისო. ეს ეშვები როგორდაც საჩირიროდ მიმაჩნია. ჯვარ-სა და სახარებაზედაც რო დაიფიცოთ ვერავის დააჯერებთ, რომ ლომი ანუ ვეფხვი ეშვებიანია. ამიტომ სჯობს ითქვას: წინა კბილები საჭრელი ანუ საკვეთი აქვსთ და მათ შემდეგი საგადევი კბილები ანუ მწვეტიანი ღოჯები აქვსთ-თქო.

რაც შეხება იმას, რომ კლანჭები ას ხიათო, ამაზედ უკვე ზემოდ შევნიშნეთ, რომ კლანჭები ბაზთა კუთვნილებაა, ხოლო ლომს, ვეფხვს და სხვ. ჭანგები ასხიათ თოვებზე.

16) მეხუთე ჯგუფს წარმოადგენენ „მდირდნელებით“-ი (274 გვ.) უნდა იყოს მდირდნავი, მდირდნავი.

17) უკრდგელი. ეს სახელი ბევრგანა გაქვთ ამ ფორმით ნახმარი და სრულებით არ არის ლიტერატურული ქართული — რაღაც ქურდელი გამოდის. ქართლ-კახეთში ოტყვიან კურდგელი და ძლიერ მართებული და კეთილხმოვანიც არის. იქნება იმერეთში უძახიან ყურდგელს,

მაგრამ ექიმი ელიაშვილიც ხსრში მონაცემდება და მიმართ გურევთ მონაცემებს.

18) „მეექვსე ჯგუფს შეადგენენ ხელ-ფრთიანები (გვ. 274) ქართულად ითქმის მკარ-ფრთიანები, მაგ. დოლგორუკია არის მხარგრძელი და არა ხელგრძელი.

19) მე არ მესმის მაიმუნები მეშვიდე ჯგუფში რად მოაქციეთ, ვისი სისტემით ხელმძღვანელობდით. ავილოთ ბრეში — უკანასკნელი გამოცემა. ის მისი კლასიფიკაცია:

| | |
|--------------------|--|
| I კლასი | ძუძუმწოდელები: |
| ამის პირველი რაზმი | მაიმუნები. |
| მეორე რაზმი | სახევარ მაიმუნები. |
| მესამე რაზმი | მკარ-ფრთიანები. |
| მეოთხე რაზმი | მხეცები. |
| მეხუთე რაზმი | ზღვის თხხოვები ცხოველები. |
| მეექვსე რაზმი | მწერილჭამიები. |
| მეშვიდე რაზმი | მდირდნავნი. |
| მერვე რაზმი | კბილმომდევნი. |
| ანუ კბილნაფლულები. | |
| მეცხრე რაზმი | სირთუმიანი ცხოველები |
| მეათე რაზმი | ქაჩაჩიანები. |
| მე-11 რაზმი | ჩლილიანები ანუ წევილჩლილქანება (Artiodactyla). |
| მე-12 რაზმი | სირინზები. |
| (Sirenia). | |
| მე-13 რაზმი | გეშაბები. |
| მე-14 რაზმი | გუდასნები. |
| და მე-15 რაზმი | ერთგასაფლანები (Monot remota). |

ბოლოს უნდა ისიც შევნიშნოთ, რომ მაიმუნები კი არ დაცოცავენ ხეებზე, სულ ყირა-ყირა გადადიან, ციუვივით დახტიან ტოტიდან ტოტზე.

ილ. ალხაზიშვილი

(შემდეგი იქნება)



Яковъ Гогебашвили. „Русское Слово“ или учебное руководство къ русскому языку для грузинскихъ школъ, часть вторая, изданіе шестнадцатое „Общества распространенія грамотности“.

განსცემულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელო წიგნები იმდენად ცნობილია ქართველ საზოგადოებაში, რომ მათ შესახებ ბევრი ლაპარაკი არ დაგვჭირდება. შეითხვების უკრადებას ამ ქამად მიზანტევთ მხრივ სახელმძღვანელო წიგნების მეთეხთ საწილის „Русское Слово“-ს მეთეხთ საწილის შევენიერს გამოცემას, რომელიც განსცემულის იაკობის სხვა გამოცემებთან ერთად დღეს შეადგინს ქ. შ. წერა-კითხვის გამაზრცელებელ საზოგადოების საკუთრებას. წერა-კითხვის საზოგადოებას სხას დიდი მოქმედია გაუწევა ამ გამოცემაზე, წიგნი დაბეჭდილია კარგს ქალადზე, მოთხოვთ მეტად უკეთ სასურველად შესწორებულია, მასალა შესებული, წიგნში მოქცეულია ორმოცდა ათამდის ახალი სურათი, ხვეულებრივზე მოდიდო გამოცემა და შეიცვას 224 გვერდს ე. ი. 16 გვერდით გადიდებულია. უკეთებია ეს გამოცემა შემდეგში უცვლელი დარჩება და, გარდა ზოგიერთ ძეველ სურათების შეცვლისა, დარჩება შინაარსის მხრით ისეთი, როგორიც ეს უკანასკნელი გამოცემაა. „Русское Слово“-ს მეთეხთ საწილის, სამწუხაროდ, ისეთს უკრადებას არ აქცევდნენ ჩვენს სკოლებში, როგორც შირველი ნაწილი, მაგრამ ეჭვს გარეშე, რომ უკეთ მასწავლებელი, გის გარეშე და გრძელების მისამართის შეცვლისას გრძელდობის, გრძელების სივრცის საკუთრებული სახელმძღვანელო, როგორიც არას, მაგალითად, გრიგორევისა და თლეინის წიგნი, ვერ გაუწევს. ეს კარგად უნდა იცოდნენ ჩვენი სკოლის მასწავლებლებმა და სხვა სიკეთესთან ერთად მედგრად უნდა დაიცვან სკოლებში სახელმძღვანელოების საკითხიც. ამას დიდი გრძირია არ სჭირია, საჭიროა მხრივ ცოტა გამბედობა, საკუთარი ინიციატივა და კანონის დაცვა და ვინც მასაც მოკლებულია, ის სკოლაში შესშებიც არ არის.

უხშობს, რესული ენის შესწავლასც-უმნებელი და ამულებს. უკეთ შეგნებული მ. სწავლებელი მოგალეა სკოლებში მსარი და უწირს ჩვენი სახელმძღვანი შედაგვის, როგორც სხვა წიგნებს, აგრეთვე „Русское Слово“-ს არსავე ნაწილს. თუ მასწავლებელი მოიწავდინებს, არავის შეუძლიან წინ აღუდეს მას, და მასწავდის სხვა წიგნი, მით უფრო რესული ენის სახელმძღვანელოები, რომელთა შორის ჩვენი სკოლებისათვის გრძებაშვილის თრიკერუსული სახელმძღვანელო უაღრესად მოწონებულია მთავრობის მიერ და არავის აქვთ უიკლება ეს მოწონება უაღრესს და ჩვენს ბავშვებს პურის საცვლად ქვა მარწოდს. ეს დიდი დასამაულობა იქნება, რადგანც „Русское Слово“ ს მაგიერობას, როგორც ეს განეზრავს ქუთასის გუბერნიის სახალხო სკოლების ინსტექტორის ბანის გრძელდობის, გრძელების სივრცის სახვა რესული სახელმძღვანელო, როგორიც არას, მაგალითად, გრიგორევისა და თლეინის წიგნი, ვერ გაუწევს. ეს კარგად უნდა იცოდნენ ჩვენი სკოლის მასწავლებლებმა და სხვა სიკეთესთან ერთად მედგრად უნდა დაიცვან სკოლებში სახელმძღვანელოების საკითხიც. ამას დიდი გრძირია არ სჭირია, საჭიროა მხრივ ცოტა გამბედობა, საკუთარი ინიციატივა და კანონის დაცვა და ვინც მასაც მოკლებულია, ის სკოლაში შესშებიც არ არის.

რედაქტორ-გამომცემელი
ლ. გ. ბოცვაძე.



ცნობა

ქ. მ. ზერს-პითევის გამავრცელება.
საზოგადოების მომენტების.

კავკავის

ქართული სკოლის 1911—1912 სამოცწავლო წლის სწავლა—
აღზრდის ანგარიშები.

მოწაფები. საანგარიშო წელს სკოლაში სწავლობდა 210 მოწაფე—132 ვაჟი და 78 ქალი. აქედან პირველ განყოფილებაში იყო 76 მოწაფე—50 ვაჟი და 26 ქალი; წლის განმავლობაში სწავლას თავი დაანება 12 მოწაფემ, წლის ბოლოს დარჩა 64 მოწაფე. მეორე განყოფილებაში გადავიდა 51 მოწაფე—36 ვაჟი და 15 ქალი; იმავე განყოფილებაში დარჩა—13 მოწაფე. მეორე განყოფილებაში იყო 58 მოწაფე—32 ვაჟი და 26 ქალი; წლის განმავლობაში სწავლას თავი დაანება 7 მოწაფემ; წლის ბოლოს დარჩა 51 მოწაფე—29 ვაჟი და 22 ქალი; მესამე განყოფილიბაში გადავიდა 42 მოწაფე—27 ვაჟი და 15 ქალი, იმავე განყოფილებაში დარჩა 9 მოწაფე—7 ქალი და 2 ვაჟი. მესამე განყოფილებაში იყო 46 მოწაფე; წლის განმავლობაში სწავლას თავი დაანება 10 მოწაფემ; წლის ბოლოს დარჩა 36 მოწაფე აქედან 21 ვაჟი და 15 ქალი; მეოთხე განყოფილებაში გადავიდა 29 მოწაფე—15 ვაჟი და 14 ქალი; იმავე განყოფილებაში დარჩა 7 მოწაფე 6 ვაჟი და 1 ქალი. მეოთხე განყოფილებაში სწავლობდა 30 მოწაფე; სწავლას თავი დაანება 8 მოწაფემ 5 ვაჟმა და 3 ქალმა. წლის ბოლოს დარჩა 22 მოწაფე—15 ვაჟი და 7 ქალი. სწავლა დაასრულა უვერია 22 მოსწავლემ (100%). ოთხსავე განყოფილებაში ითვლებოდა წლის ბოლოს 173 მოწაფე; — დარჩა პირველ, მეორე და მესამე განყოფილებაში 29 მოწაფე; შემდეგ განყოფილებაში გადავიდა 122 მოწაფე; სწავლა დაასრულა 22 მოწაფემ. წლის განმავლობაში სხვა და სხვა საპატიო მიზეზების გამო სკოლიდან გამოვიდა და სწავლას თავი დაანება სულ 37 მოწაფემ.

სასწავლო წლის განმავლობაში მოსწავლეები დაჰკლებიან სულ 8182 გაკვეთილს. გაკვეთილების გამოტოვების მიზეზი იყო ტანისამოსის და ფეხსიცმლების უქონლობა, ავადმყოფობა, ბინის სიშორე სკოლაშე და მშობლების დაუდევრობა. სკოლაში სისტემატიური სწავლა დაიწყო 6 ენკენისთვეს და დამთავრდა 22 მაისს. წლის განმავლობაში სწავლა წარმოქმდა სულ 170 დღე.

საზოგადო რიცხვი მოწაფეთა წარმატებისა განყოფილებათა მიხედვით იხატება ასე: პირველ განყოფილებაში წარმატება უდრიდა $79,75\%$, მეორეში — $82,3\%$, მესამეში — $80,6\%$, მეოთხეში — 100% . შუათანა რიცხვით მოსწავლეთა წარმატება სასწავლებელში იხატება 83% , რაც ფრიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს. კურს დამთავრებულ მოწაფეთაგან 2-ს განხრახვა აქვს შევიდეს რეალურ სასწავლებელში, 1-კლასიკურ გიმნაზიაში, 1 სასულიერო სასწავლებელში 3 სამოქალაქო სასწავლებელში, ქალებს — ქალთა პროფესიონალიურ სკოლაში. კურს დამთავრებულ ვაჟთა უმეტეს ნაწილს საშუალება წევას არ აძლევს სწავლა განაგრძოს, რის გამო იძულებული არიან ზოგი მაღაზიებში მიებაროს, ზოგი ხელობაში, ზოგიც მშობლებს დაეხმაროს თავიანთ ოჯახში.

საანგარიშო წელს სკოლაში იყო ხუთი მასწავლებელი: სკოლის გამგე-უფროსი მასწავლებელი ვარლამ ა. ბურჯანაძე, გრიგოლ ა. რაზმაძე, ილია ზ. რუხაძე, ნატალია კლიმი. იოსელიანის ასული და მღვდელი გიორგი ნათაძე. ამთვან პირველ განყოფილებაში ასწავლიდა მასწავლებელი ილია რუხაძე. რუხაძეს სწავლა გორის საოსტატო სემინარიაში აქვს დამთავრებული. კავკავის სკოლაში მსახურობს სამოსწავლო წლის 19:1 წლის პირველი ენკენისთვიდან, ხოლო აღნიშნულ დრომდი მსახურებლა მასწავლებლად საგურამოს ილია ჭავჭავაძის სახელობის სკოლაში; ეძლევა 420 მან. ჯამაგირად, 60 განეთი ბიბლიოტეკა-სამკითხველოს მართვა-გამგეობისათვის და ბინა (ორი ოთახი) განათება-გათბობით. ასწავლიდა საღვთო სჯულის გარდა ყველა საგნებს: ქართულს, არითმეტიკას, რუსულს და ხატვას. სწავლის საქმე ამ განყოფილებაში ნორმალიურად მომდინარეობდა. მასწავლებელმა მოსწრო ჭ. კ. გ. ს. სანიმუშო პროგრამის სავსებით გავლა, რაც უნდა მიეწეროს მის ერთგულ, ბეჭით მეცადინეობას მოსწავლეებთან და სწავლების კონცენტრიული მეთოდით წარმოებას. მოწაფეთა წარმატება აღნიშნულს განყოფილებაში $79,75\%$, გამოიხატება, რაც მოსწავლეთა რიცხვის მიხედვით (76) სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს. — მეორე განყოფილებაში ასწავლიდა გრიგოლ. ა. რაზმაძე, დასრულებული აქვს სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში. კავკავის სკოლაში მასწავლებლობს 6 წელიწადი; წინად მსახურობდა აღაგირის ქართულ სკოლაში. ეძლევა 420 მანეთი ჯამაგირად, 120 მან. გალობის სწავლებისათვის 120 მან. ბინის ქირად. უნდა მიეცა სულ 700 გაკვეთილი (ამ რიცხვში შედის 120 გალობ. გაკვეთილი), მისცა 540, გამოტოვა ავადმყოფობის მიზეზით 160 გაკვეთილი. მისი ავადმყოფობის დროს თანახმად 3. საბჭოს დადგენილებისა ამ განყოფილების მოწაფეებთან მეცადინეობდა საკვირაო სკოლის მასწავლებელი ნინო ილ. ავალოვის ასული. სწავლების საქმე მიუხედავათ იმისა, რომ მასწავლებელმა 160 გაკვეთილი გამოტოვა, რაც საგრძნობელ რიცხვს წარმოადგენს, ნორმალურად

მიმღინარეობდა. პროგრამმა ყველა სასწავლო საგნებში წ. კ. გ. ს. სანუმუშმ პროგრამმის მიხედვით გავლილია. რუსულ ენაში მასწავლებელმა პროგრამაში აღნიშნული მასალას გარდა რამდენიმე მოთხოვნა და საუბარი „P. C“-ს მეორე ნაწილიდანაც გაიარა. მოწაფეთა წარმატება მეორე განყოფილებაში $82,3\%$ უდრის, რაც სრულიად საკმარისად უნდა ჩაითვალოს. მესამე განყოფილებაში ასწავლიდა: სამოსწავლო წლის 1-ლ იანვრამდი აგრაფენა იოს. წერეთელის ასული; იანვრიდან იგი მცხეთის სამინისტრო სკოლაში დაინიშნა მასწავლებლად; მის ნაცვლად, ვიდრე ადგილობრივი წ. კ. გ. ს. განყოფილების გამგეობა ახალ მასწავლებლს დანიშნავდა, პედაგოგიური საბჭოს გადაწყვეტილებით, მოწვეული იქმნა ნინო ავალოვის ასული, რომელიც ასწავლიდა აღნიშნულ განყოფილებაში თებერვლის 1-ლ რიცხვამდე, ხოლო თებერვლიდან თავის მოვალოების აღსრულებას შეუდგა გამგეობის მიერ ახლად დანიშნული მასწავლებელი ნატალია კლიმენტი იოსელიანის ასული; დასრულებული აქვს სწავლა ქუთაისის ქალთა წ. ნინოს გიმნაზიაში და ერთი კურსი მოსკოვის კომერციულ ინსტიტუტში. ეძლევა 480 მანეთი ჯამაგირათ. - ამ ჯამში შედის 360 მანეთი ჯამ., 60 მანეთი ხელსაქმის სწავლებისთვის და 60 მანეთი ბინის ქირათ. მოწაფეთა წარმატება მესამე განყოფილებაში $80,6\%$, უდრის; რაც საკმარისად უნდა ჩაითვალოს. ისეთი წარმატება, ეჭვი არაა, უნდა მიეწეროს აგრაფენა წერეთელის ბეჯით მეცადინეობას წლის პირველი ნახევრის განმავლობაში და ნ. იოსელიანის მუყაითობასაც.

მეოთხე განყოფილებაში ასწავლიდა ვარდაამ ა. ბურჯანაძე, დასასრულებელი აქვს სწავლა ამიერ კავკასიის საოსტატო სემინარიაში. კავკავის სკოლაში მსახურობს სამოსწავლო წლის პირველი სეკტემბრიდან. მოხსენებულ დრომდე იგი შესურებდა ქუთაისის ქალაქის თვით შართველობის სკოლაში (გამგეთ). ეძლევა 720 მანეთი ჯამაგირათ ბინით (ორი ოთახი) და განათება-გათბობით. ასწავლიდა სამლოც სჯულის გარდა ყველა საგნებს: ქართულს, რუსულს, არითშეტიკას, გეომეტრიას, ისტორიას, გეოგრაფიას, ხატვას. გარდა სავალდებულო გაკვეთილებისა მეცადინეობდა მოსწავლეებთან ნასაღილევს ორი თვის განმავლობაში, მისცა ზედ მეტი 200 გაკვეთილი. ზედ მეტი მეცადინეობა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მეოთხე მედან გადასული მოწაფეები ძლიერ სუსტნი იყვნენ ყველა საგნებში, ნამეტურ ქართულსა და რუსულში. მოწაფეთა წარმატება ამ განყოფილებაში უდრის 100% -ს. სალვო სჯულს ოთხსავე განყოფილებაში ასწავლიდა მღვდელი მამა გიორგი ნათაძე, სწავლა დასრულებული აქვს თბილისის სასულიერო სემინარიაში. ეძლევა 120 მან. ჯამაგირად.

კლასს გარეშე კითხვა. ღრრო გამოშვებით, საღამ-საღამოობით, კვირაში ერთჯერ, უფროს განყოფილებაში მოწაფეებს მასწავლებლები უკითხავდნენ სხვა და სხვა შინაარსისა მისაწდომ ქართულ-რუსულ წიგნაკებს და უურნალებს „ჯეჯილს და ნაკადულს“, ივარჯიშებდნენ კითხვაში და რებუსების აღსნა-გამოცნობაში. მოწაფეთა საზოგადო განვითარება. სამოსწავლო წლის განმავლობაში ოთხივე განყოფილების მოწაფეები მასწავლებელთა ხელმძღვანელობით ორჯერ იყვნენ ეკსკურსიაზე კავკავის მიღამოებში; ხუთჯერ სინემატოგრაფში. უფროსი განყოფილი



ლების მოსწავლეებმა ორჯერ დაათვალიერეს თერგს ოლქის მუზეუმი, დააზღვადებული ერეს აგრეთვე ფრინველების გამოფენა (სამუზეუმო საზოგადოების მიერ გამართული) კომერციულ საკრებულოს საზაფხულო დარბაზში. ორჯერ გაიმართა სალოტერატურო სალამო 12 ნოემბერს და 29 იანვარს. დადგმულ იქნა საბავშვო პიესები: „ტყეში“ და „შობის ხე“.

საზოგადოთ სწავლა-აღზრდის საქმე, მიუხედავათ სხვა და სხვა დამაბრკოლებელი მიზეზებისა, ნორმალურად მიმდინარეობდა, რასაც სხვათა შორის ამტკრცებს მოწაფეთა წარმატების საშუალო რიცხვი მეტ სასწავლებელში—8 : 0 / ...

პედ. საბჭო, —საანგარიშო წელს პედაგოგიურ საბჭოს ჰქონდა სულ 15 სხდომა-სხდომას და ესწრო: ვ. ბურჯანაძე—15 ჯერ. ა. წერეთელი—10 ჯერ.
ი. რუხაძე—15 ” გ. რაზმაძე—12 ”
გ. ნათაძე—10 ” ნ. იოსელიანი—4 ”

პედაგოგიური საბჭოს განსაზილველ საგნებს შეადგენდა: მოწაფეების მიღება, ღარიბ მოწაფეთა სიის შედგენა გაკვეთილებისა და მორიგეობის გაწესრიგება მას-წავლებელთა შორის და განყოფილებებში, ცუდი ყოფა-ქცევის მოწაფეთა გასა-სწორებლათ სხვა და სხვა ზომებისა და საშუალებების გამორკვევა, პედაგოგიური და საზოგადო განათლების უურნალ-გაზეთების სიის შედგენა და გამოწერა ბიბლიო-თეკა-სამკითხველოსთვის, პროგრამების განხილვა თვითეულ სასწავლო საგანში, წ.-კ. გამ. საზოგადოების სანიმუშო პროგრამების განხილვა, თუ რამდენად შეესა-ბამება იგი თავის შინაარსით პირველ დაწყებითი სკოლის კურსის შინაარსია და მიზანს, შემოსავალ-გასავალის ხარჯთ-აღრიცხვის შედგენა, ინვენტარის შედგენა, საბჭოს ფუნქციების განსაზღვრა, გამგეობასთან დამოკიდებულება, საქმის წარმოე-ბის წესრიგის გაუმჯობესება, მოწაფეთა დათხოვის დროს განსაზღვრა და სხვა... .

თანამად პედ. საბჭოს დადგენილებისა საანგარიშო სამოსწავლო წელს შე-მოღებული იქნა სკოლაში წიგნები სკოლის ქონების (ინვენტარის) და ბიბლიოთეკის წიგნების ჩასაწერათ; ყველა, როგორც სასწავლო და სათვალსაჩინო ნივთები, ისე სკოლის დგამი და არა სასწავლო ნივთები საზოგადოთ დანუმრილ და შეტანილ იქნა ახალ წიგნებში; გაუმჯებულ იქნა ორდერებით ფულის მიღება და მათ ნაცვ-ლათ შემოღებულ იქნა ეგრედ წოდებული მოთხოვნილებითი უწყებები. ყოველ კუში სკოლის გამგე ლებულობს გამგეობის კასიდან საჭირო თანხას არსებული „სმეტის“ მიხედვით და ასწორებს თვიურ ხარჯებს; სკოლას თავისი საკუთარი შემოსავალ-გასავალის დავთარი აქვს, რომელსაც აწარმოებს სკოლის გამგე; გადა-თვალიერებულ იქნა წ.-კ. გ. ს. სანიმუშო პროგრამიდან საღვთო სჯულის პრო-გრამა ოთხივე განყოფილებისა და ქართული ენისა პირველი და მეორე განყოფი-ლებისა, შემოღებულ იქნა ხატვა-ხაზვის სწავლება „ბუშეს“ მეთოდით, შემუშავე-ბული იქნა წესი წერითი ვარჯიშობის წარმოებისა ქართულში, რუსულში და არითმეტიკაში; ვ აპრილის სხდომაზე საბჭომ დადებითად გადასჭრა საკითხი შესა-ხებ იმისა, რომ მომავალი სამოსწავლო წლისთვის სკოლას თავისი საკუთარი შე-სავალი კარგები ექნეს, რადგან ეხლანდელი საერთო შესავალი კარგები სკოლაში და მასთან არსებული დაწესებულებები ხელს უშლის სკოლაში ჯეროვანი დისკი-

ვლინის დამყარების საქმეს და ხდება სხვა და სხვა ნივთების დაკარგვის, მიზეზზად; ეს დადგენილება ეცნობა ადგილობრივი განყოფილების გამცემას მასში ზუსტს (ქალ. № 36). საბჭოს სიმპატიური სურვილი ბაქოში და გრიზნაში ექსკურსიის მოწყობისა, უსახსრობისა გამო განუხორციელებელი დარჩა...»

ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სკოლის ბიბლიოთეკას და სამკითხველოს საანგარიშო წელს მოსდიოდა შემდეგი უურნალ-გაზეთები: 1. „განათლება“, 2. „ოემი“, 3. „კოლხიდა“, 4. „ცხოვრება“ 5. „სახლხო გაზეთი“, 6. საბავშვო უურნალები: „ჯეჯილი“ და 7. „ნაკადული“ (ორ ორი ეგზემპლარი). რუსული: 1. „Русская школа“, 2. „Народный учитель“, 3. „Свободное воспитание“, 4. „Русское слово“, 5. „Терекъ“, „Закавказская речь“... წლის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან გაიტანეს სახლში საკითხავად სულ 387 ცალი ქართულ-რუსული წიგნი, რომლითაც უსარგებლია 64 კაცს. სამოსწავლო წელს ბიბლიოტეკაში შეიძინა სულ 60 მანეთად ღირებული ქართულ-რუსული წიგნები და უურნალები. საანგარიშო წელს სკოლის მუზეუმს და ბიბლიოტეკა-სამკითხველოს შემოსწირეს: გამგეობის თავჯდომარებ იოსებ გრიგოლის-ძე შვილიერმა 33 სურათი საღვთო ისტორიიდან, 3 სურათი მავნებელ და სასარგებლო ცხოველებისა, 24 სურათი (იანჩუკი) რუსეთის ხალხებისა; 26 სურათი ბოტანიკიდან, 4 ტაბელთა ანაზომია—ფიზიოლოგიიდან, 18 სურათი რუსეთის ახალი ისტორიიდან, 10 ტაბულა არითმეტიკიდან, 24 სურათი სხვა და სხვა ქვეყნების ცხოველთა და მცენარეთა, 32 ცალი სხვა და სხვა ტაბულებით, სათამაშო ნივთები და სხვა ღირებული სულ 140 მანეთად და 56 კაპ., ლუარსაბ გერ. ბოცვაძემ უურნალ „განათლების“ 1908, 1909 და 1910 წლის ყველა ნომრები (უყდოთ), ღირებული 9 მანეთად, ბატ. შერაბ კორლანოვმა ლუი გუსენარის თხუზულება 16 ტომი და სხვა წიგნები, ღირებული 4 მანეთად 50 კაპ., ალექსანდრე მამუჩაშვილმა 12 ცალი ბუნდოვანი ფარნის სურათი, ღირებული 3 მანეთად., ლევანტი სოხაძემ 5 მანეთი გაზეთ „P. C.“-ს გამოსაწერათ., „კოლხიდა“-ს რედაქცია უფასოდ უგზავნიდა თავის გაზეთს სამკითხველოს, ვარლამ ბუნჯანაძემ 10 ცალი სხვა და სხვა წიგნი, სტუდენტმა პეტრე ბაქრაძემ ბუნდოვანი ფარნის 60 ცალი სურათი ასტრონომიიდან, კაცობრიობის განვითარების ისტორიიდან და სხვა...»

სამკითხველო მიიღო თავის გამგებლობაში აღვილობრივმა განყოფილების გამგეობამ. ბიბლიოტეკა-სამკითხველოს მართავდა თანახმად პედ. საბჭოს გადაწყვეტილებისა მასწავლებელი ილ. რუხაძე.

საკვირაო სკოლა. — საკვირაო სკოლაში წლის დისაწყისს სწავლობდა 60 მოწაფე; 52 ვაჟი და 8 ქალი. წლის ბოლოს დარჩა 42 მოწაფე, 40 ვაჟი და 2 ქალი. წლის განმავლობაში სკოლას თავი დაანება 10 მოწაფემ. ეროვნებით ყველა მოწაფეები ქართველები იყვნენ. ყველა მოსწავლენი 4 ჯგუფათ იყვნენ გაყოფილი. პირველ ჯგუფს ხელმძღვანელობდნენ და ასწავლილნენ: ალ. სეანიძე და ნინო ი. ავალიშვილის ასული, მეორეს ოლღა ცისკარაული, მესამეს მალაქია გობეჯიშვილი, მეორეს ვ. ბურჯანაძე და ი. ზირკიძე. დარიბ მოსწავლეებს სასწავლო ნივთები: წიგნები, კალმები, რვეულები და კარანდაშები უფასოთ ეძლეოდათ სკო-



ლის წიგნების საწყობილებან. პირველი ჯგუფის მასწავლებლებმა საკმაო კარგდღ შექმნა სწავლების ქართული წერა და კითხვა და ციფირების წერა, ნუმერაცია 100-დი და ათეულებზე პატარა ამოცანების კეთება და რიცხვით მაგალითების გამოანგარიშება 10-დი (სახელმძღვან). წიგნები: ხრამელაშვილის კრებული პირველი ნაწ. და „დედა-ენა“ პირველი ნაწ.) მეორე ჯგუფის მოსწავლეებმა შეისწავლეს ანგარიში 100-დი ათეულებზე, ნუმერაცია 400-დი., ამოცანების კეთება ერთეულებზე 40-დი და რამოდენიმე მოთხრობა და ლექსი „დედა-ენის“ მეორე ნაწილიდან 50 გვერდამდი. მესამე ჯგუფის მოსწავლეებმა ნუმერაცია 1000-დი. ამოცანების კეთება 100-დი. შეკრება და გამოკლება 1000-დი. ქართულში გაათავსეს დედა-ენის მეორე ნაწ. რუსულში გოგებაშვილეს „P. C.“-ს პირველი ნაწილი. მეორე ჯგუფის მოსწავლეებმა ისწავლეს რამოდენიმე მოთხრობა და ლექსი გოგებაშვილის „ბუნების კარიღან“, სამშობლოს აღწერიდან: კახეთი, ქართლი, იმერეთი, ისტორიიდან: თამარ მეფემდი. რუსულ ენიდან: „P. C.“-ს სახელმძღვანელოდან 51 გვერდამდი. აქვე უნდა აღინიშვნას, რომ ავალოვის ასული და მალაქია გობეჯიშვილი წლის ბოლომდი ერთგულათ და ბეჭითად ეკიდებოდნენ ნაკისრი მოვალეობის აღსრულებას... საკვირაო სკოლის მასწავლებელთა კორპორაციამ მონაწილეობა მიიღო ქრისტინე ალჩევსკაიას იუბილეში დებეშის გაგზავნით. ქრისტინე ალჩევსკაია, 50 წელიწადი ემსახურება და ხელმძღვანელობს ხარკვის საკვირაო სკოლას და ეკუთვნის იმ მოღვაწეთა ჯგუფს, რომელმაც საფუძველი ჩაუდვა სკოლის გარეშე განათლების განვითარებას რუსეთში.

ქალთა პროფეს. **სკოლა.** — პროფესიონალურ ქრა-კერვის სასწავლებელში საანგარიშო სამოსწავლო წელს სწავლობს 18 მოსწავე. პირველ კლასში 11, მეორეში 7; ერთვნებით გარდა 1 (რუსისა), ცველა ქართველებია. ხელსაჭმეს ასწავლიან: სოფიო გ. ჩიტაძის ასული, დამთავრებული აქვს თბილისის საქალაქო პროფესიონალური სასწავლებელი. ეძლევა 360 მან. ჯამაგირად და ბინა განათება გათბობით; ფერკტისა მიხ. ბოვკუნოვის ასული ეძლევა 610 მან. ჯამაგირად, ბინა განათება-გათბობით. სკოლას ფაქტურად განაგებს ქალთა წრე, ქ-ბ-ნ სოფიო დავ-კალანდარაშვილის ხელმძღვანელობით, რომელმაც დღიდან დაარსებისა ერთგულათ ეკიდება ნაკისრ მომავალეობის ასრულებას...

მოსწავეთა ჯანმრთელობა. — მოსწავეთა ჯანმრთელობაზე საანგარიშო პირველ წელს ზრუნავდნენ: ექიმები: პავლე გელევანიშვილი, ალექსანდრე ნაუმოვი და მოსე ან. კალანდარაშვილი. ექიმმა პ. გელევანიშვილმა წლის დასაწყისს შეამოწმა ოთხივე განყოფილების მოსწავეთა ჯანმრთელობა, შეადგინა სხეულავალ-მყოფ მოსწავეთა სია და რიგ რიგათ იბარებდა მათ სახლში და აძლევდა რეცეპტებს და წამალს უსასყიდლოთ.

რეგიზია და გარეშე პირების მიერ სკოლის დათვალიერება. — სამოსწავლო წელს, ნოემბრის შუა რიცხვებში სკოლა დაათვალიერა სახალხო სკოლების ღირებულება ბ-ნმა დევიცეკიშ, რომელმაც ინახულა შეოთხე, მესამე და მეორე განყოფილება და გამოსცადა მოსწავენი რუსულს ენაში. წერილობითი აზრი ბ-ნს დერეკტორს არ გამოუთქვას მოსწავეთა წარმატების შესახებ და არც არაფერი ჩაუ-

წერია სარევიზიო წიგნში, სიტყვიერად კი სურვილი გამოსთქვა რუსულ ენის სრა-
ვლების უფრო რიგიან ნიადაგზე დაყენების შესახებ, თუმცა არც ერთ მის მიერ
ნახულ განყოფილებას ასეთი შენიშვნის საბაბი მისთვის არ მიუკია. აპრილის 15-ს
სკოლა დაათვალიერა ქ. შ. წ. კ. გ. საზოგადოების მთავარი გამგეობის თავმჯდო-
მარებ გ. ნ. ყაზბეგმა; ინახულა მეოთხე, მესამე და მეორე განყოფილება, დაეს-
წრო ქართული და რუსული ენის და ორითმეტიკის გაკვეთილებს აღნიშნულ გან-
ყოფილებში, თვითონ გამოსცადა მოწაფეები მოხსენებულ საგნებში და აპრილის
17-ს ადგილობრივი წ. კ. ს. განყოფილების გამგეობის კრებაზე, გაუზიარა გამ-
გობას თავისი შთაბეჭდილება სწავლა-აღზრდის საქმის დაყენების შესახებ სკოლა-
ში: „მე ვინახულე ქართული სკოლის სამი განყოფილება, დავესწარი გაკვეთი-
ლებს, მოვისმინე მოწაფეთა პასუხები მიცემულ კითხვებზე და უნდა მოგახსენოთ,
რომ თქვენს სკოლაში არამც თუ მარტო სწავლის საქმე, აღზრდის საქმეც ძალიან
კარგად არის დაყენებული, მივაქცევ მხოლოდ მასწავლებელთა ყურალებას სა-
ხელმწიფო (რუსული ენა) ენის სწავლების საქმის გალმჯობესებას“. ასე იყო დედა
აზრი ბ-ნი ყაზბეგის მიერ გამოთქმული აზრისა სკოლაში საქმის დაყენების შესახებ.

გარდა მოხსენებული პირებისა საანგარიშო წელს სკოლა ინახულეს: ყოვ-ლად სამღვდლო ეპისკოპოზში დაფიქტმა, თბილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანმა და სასკოლო კომისიის წევრიმა ბ-ნმა სიმონ თ. ხუნდაძემ და ცნობილმა მოგზაურმა ემანიულ ლაკონმა, რომელმაც ჩაიწერა თავის სამოგზაურო წიგნში მოკლე ისტო-რია სკოლისა და თან წარლო სკოლის შენობის სურათი.

წიგნების საწყობი. — წიგნების საწყობში საანგარიშო წელს იყო სულ სხვა
და სხვა სახელმძღვანელო წიგნები და სასწავლო ნივთები, ლირებული 45 მანე-
თად და 86 კაპ. გაიყიდა და უფასოდ დაურიგდა მოწაფეებს სასწავლო ნივთები,
ლირებული სულ 350 მან. და 74 კაპ., დარჩა საწყობში სხვა და სხვა ნივთები
105 მან. და 12 კ. ლირებული. წიგნების საწყობს იანვრამდი განაცემდა იგრ. წე-
რეთელი, ხოლო იანვრიდან ვ. ბურჯანაძე.

სცენის მოყვარეთა წრე.—ქართულ სცენის მოყვარეთა წრემ გამართა წელს
7 წარმოდგენა: 1) „დაძმიდან“ 1 მოქმედება, ენკენისთვის 4-ს. 2) „დამარცხებულნი“ იჩეთელისა ოკტომბრის 14-ს. 3) „უბედური ნაბიჯი“ კორეევისა ოკტომბრის 30-ს, 4) „უბედური“ კონისა დეკემბრის 4-ს. 5) „სამშობლოდან“ 1 მოქმედება დეკემბრის 26-ს, 6) „პირველი ბუზი“ ველიჩკოს კომედია ობეგრვლის 2-ს
7) „გამცემი“ გელევანაშვილისა პრილს 15-ს.

წარმოდგენებში ღებულობდნენ მონაწილეობას: ქ-ნი: ბარათოვი, ბურდული, გაბაშიძეს ასული, ხიმშივისა, ფუასისა, იოსელიანის ასული, წერეთლის ასული, ცისკარაულის ასული, ჩიტაძის ასული, ფურცელაძის ასული, ბ ნნი: ი. ბერიშვილი, ა. მამუხაშვილი, ი. ვაშალომიძე, ა. სარაჯვევი, კ. კახიანი, კაკაბაძე, ა. ჩხუბიანი, ვ. ქამისივივი, ე. შარუჩი, ზერეკიძე, გ. რაზმაძე, თ. რუხაძე და სხვა...

წარმოდგენები იმართებოდა ევ. კაკაბაძის და თ. რუხაძის ორექისორობით. პი-
ესებს არჩევდა წრის გამგეობა. გამგეობა 7 წევრისაგან შესდგება. ესენი არიან: თა-
მარა ფულასსი, ნ. დ. ყაზბეგი, ე. კაკაბაძე, ვ. ბურჯანაძე, გ. რაზმაძე, ივ. ივანო-

ვი და ი. რუხაძე. წრემ მიიღო მონაწილეობა საფაროებაშიძის იუბილეში, მისა ლოცი დეპეშის გაგზავნით.

არ შემიძლია არ აღნიშნო ამ მოკლე ანგარიშში, რომ სამოსწავლო წელს გამგეობის თავმჯდომარე იოსებ გრ. შვილიერი ჩვეულებრივი თანაგრძნობით ეკიდებოდა ნაკისრი მოვალეობის ასრულებას სკოლის საჭირობისადმი და თავის მორალურსა და ნივთიერ მზრუნველობას არ აკლდებდა მას. მისი მეცადინეობით ქალაქის თვითმართველობამ გაუორკეცა სკოლას ყოველ წლიური დახმარების ჯამი — 200 მან. 400 მანდი აიყვანა და იღუთქვა მომავალს წელს 1000 მანეთამდის აიყვანოს მოხსენებული ჯამი.

რომ სკოლა უფრო რიგიან ნიადაგზე დადგეს, რომ წეტი ნაყოფი გამოიღოს მან და აღასრულოს თავისი დანიშნულება ნახევრად მაინც, აუცილებლად საჭიროა სისრულეში მოყვანილ იქნას პედაგოგიური რჩევის დადგნილებანი, სახელდობრი: ა) შეძენილ იქნას მეოთხე და მესამე განყოფილებისთვის 20 ახალი პარტა ერისმანისა სისტემისა, რადგან ეხლანდელი სამ ადგილიანი ძველი კონტრუქციის პარტები თავისი მლწყობილებით სრულიად ეწინააღმდეგებიან ელემენტარულ ჰიგიენურ მოთხოვნილებებს. აგრეთვე საჭიროა ორი ლინელუილის კედელზე დასაკიდებელი დაფის შეძენა უფროსი განყოფილებისთვის. გაკეთდეს ოთხი პატარა თითო 5 მანეთად ღირებული შკაფი ცალ-ცალკე თითეული განყოფილებისთვის. ამ შეაფებში მოთავსებული უნდა იქნეს საპავზო ქართულ-რუსული წიგნები, რომ შელთა შინაარსი უნდა უპასუხებდეს განყოფილების მოწაფეთა განვითარება... (საბჭ. დადგ. № 3. 12 მეათე 1911 წ.)

სასწავლებელში წესიერების დასამყარებლად და ზოგიერთი დღეს ძველიდან დარჩენილი სკოლაში არსებულ უწესობების მოსასპობად, აუცილებლათ საჭიროა მომავალი სასწავლო წლისათვის გაკეთდეს სკოლისთვის ცალკე შემოსავალი კარები და განკერძოებული იქმნას ეკლესიადა ბანკი სკოლისაგან. დღევანდელი საერთო შემოსავალი კარები, რომელიც მუდამ ღიაა, და არც შეიძლება მისი დაკეტა; რაც გამოცდილებამ ნათლად დაგვანახა, ისეთს მეგობრებისა ჰქმნის, რომ ფიზიკურად შეუძლებელი ხდება თვალ-ყური აღვნოს სკოლის გამგემ. ან მორიგმა მასწავლებლებმა რაიმე ელემენტარული წესიერების დამყარების საქმეს. (პ. საბჭ. განჩინება № 13. აპრ. 3 ს.).

დ) ეკლესის მცველის ბინა ძლიერ ცუდ ალაგას არის მოთავსებული. მუდამ კარების რაჯგუნი და ჭრიალი, ხშირად შესვლა გამოსვლა ხელს უშლის მეოთხე განყოფილებას მეცადინეობის დროს, ხშირად მოსვერებას არ აძლევს აგრეთვე უფროსს მასწავლებელს — სასურველია ეკლესის მცველის ბინა სხვა ალაგას მოთავსდეს.

ე) სკოლის სმეტის განხილვის დროს საჭიროა გადაიღოს განსაზღვრული თანხა საკვირაო სკოლის ხარჯების დასაფარავად.

ვ) სასურველია, თუ ადგილობრივი განყოფილება საშუალებას მოიპოვებს, სისრულეში მოიყვანოს წარსული წლის საზოგადო კრების გადაწყვეტილება პარა-

ლელ განყოფილების გახსნისა პირველ განყოფილებასთან მომავალი — სამოსა — წავლო წლის ენკენისთვიდან.

(3) აუცილებლათ საჭიროა, რომ უფრო ნაყოფიერად იმუშაოს აღვილობრივი განკ. გამგეობამ: 1. შემცირდეს გამგეობის წევრთა რიცხვი და ნაცვლად 30-ს. გამგეობის შედგენილობა განისაზღვროს 9 წევრით, ან 11-თა. 2) განაწილდეს გამგეობის წევრთა შორის ფუნქციები: დაარსდეს საღამოების მომწყობი და სათეატრო კომისია დი სამეურნეო კომისია. (შემუშავდეს ინსტრუქცია).

(3) შემცირდეს სკოლის გამგის გაკვეთილების რიცხვი 18-ლი, რათა მას შეძლება ექნეს სხვა განყოფილების მასწავლებლების გაკვეთილებას და აქსტროს და საჭირო ხელმძღვანელობა გაუწიოს სწავლების საქმის გაუმჯობესობაში.

ა ჯერ ჯერობით ის მინიმუმი, რომლის სისრულეში მოყვანა აუცილებლად საჭიროა პირველ ენკენისთვიდანვე, რათა სკოლამ უფრო ნაყოფიერად იმუშაოს.

კავკავის სკოლის გამგე გარლამ ბურჯანაძე.

25 მაისი 1912 წ.

სოხუმის განეოფილების 1912 წ. მოქმედება

ოქმი № 27. საზოგადო კრება 24 იან. 1912 წ.

1912 წელს ივნისის 24-სა დღესა შესდგა საზოგადო წლიური კრება ქ. შ. წ. გ. გამაზრცელებელ საზოგადოების სოხუმის განეოფილების უფალ წევრთა. კრებას დაესწრო ასზე მუტი წევრი. კრებას თავმჯდომარეობს განეოფილების თავმჯდომარე გნეინა მარია ნიკოლაზის ასული ანჩაბაძისა.

კრების გასხის თანავე თავმჯდომარე მთხელენა საზოგადოებას, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში გარდაიცვალნენ აკოდ სიმთხის ქე გოგებაშვილი, დავით ზაქარიას ქე სარაჯიშვილი, ნიკოლოზ ზებედეს ქე ცხვედაძე, პატრ მისელ თამარშვილი და მესხი ივანე გრგარაძე და თან მოკლე სიტევაში თვითონეული იმათგანი დასასიათა და განემარტა კრებას, თუ რა დაწყიდებისთ მათ სამშენებლის წინაშე. თავმჯდომარე წინადაღება მისცა კრებას, ფეხზე ადგომით პატივი ეცათ მიცვალებულთა სსოფნისათვის. კრებაშ პატივი სცა.

გამგეობის მდივანი ნ. ჯანაშია კითხულობს სარევიზით კომისიის თან მთხელებას გამგეობისა და საამშებლო კომიტეტის მოქმედებათა შესახებ, სადაც სათქმამა, რომ ანგარიშები სწორებ არის შედგენილი, მსთლივ უკანასკნელის (საამ. კომიტ.) შესახებ შენიშვნები; „გვირანციები მიღებული რაოდნიმე არის ანიშნული ციფრებით; კომისიის აზრით ფულის რაოდნობა უსათუდ ასოებით უნდა იწერებოდეს“.

შემდეგ მდივანი 6. ჯანაშია კითხულობს გამგეობის წასრული წლის მოქმედების გარიშს, ხოლო სამშენებლო კომიტეტის ანგარიშს მდგრადი 1912 წლის ათ ივნისამდეს. პირველი ანგარიში დამტკიცებული იქმნა ერთ სმით, ხოლო მეორე (კომიტეტის) ანგარიშმა სანგრძლივი კამათი გამოიწვია. გამგეობის წევრი გ. შ. თურქია ვრცელსა და მშვენიერს სიტყვაში უჩევს კრებას, ხელასჭათ გაიწერს საზოგადოების შექლებულმა ნიწილმა და გაიანწილოს საჭირო თანხა, რათა ამ გზით სახელმძღვანელო ქართველობის მიუცეს ერთი საერთო თავშესაფარი სახლი. „სირცხვილიცაა, ამბობს ის, რომ ამოდენა ქართველობის ერთი საერთო თავშესაფარი სახლი არ ჰქონდესთ. ჩვენდა სასისხარულოდ უმეტესობას ჩეგნთაგანს თვითოულს უკეთესიც აქვთ დარიბთ და შეუძლებელია თავი დაკანებოთ, და ჩვენ უფრო შეძლებულებია გავიწეროთ აიდევ ნახევარი ამისა, რაზედაც წინა ხელი გვეწერათ.“ ბ. ფილიპე ერქომაიშვილი წინააღმდეგია ამისა და ამბობს, უკელამ გაიღოს თავისა წილი, და არ მარტო შეძლებულებმაც. „შეძლებულო ისედაც ტუავი გვიძრებათ!“ ბ. ისებ ლოლუაც ბ. თურქიას აზრს ემსხვება და კრძნობიერ სიტყვაში სოხუმის საზოგადოებას — „ცოტა გავიჭროვთ და საშილაშვილო საქშე დაგაგვირგვინოთ.“ ბ. ევსეგი გვათუაც იმის მომსრუა, რომ შენობა საკუთარი ძალ-ღონით დაგასრულოთ, მხოლოდ მთავეთ უსაფეროებს: წინ და წინ ჩვენი ძალ-ღონე არ გაითვალისწინეთ და შეუფერებელ საქშეს მოჰკიდეთ ხელი.

სანგრძლივი კამათის შემდეგ ქრებამ დაადგინა: ხელასჭად არჩითს უელის ახალი ამგრები კომისია, ექვს გაცისაგა შემდგარი, რომელსაც დაევალა ორი კვირის განმავლობაში მოიცვანის ცნობაში, ვინ ინდის და ვინ არა გაწერილს უფლისო, და ვინც უაზტე, მისი ვინათა გამოწეობი გამოცემადებს. თან ამ კომისიას დაევალა სამშენებლო კომიტეტის ერთად უფლივე ღონე იღონის. რომ პირველ სექტემბრობის მოათავოს საკუთარ შენობაში სამი თახა ძანც, რათა ამთ შეძლება მოგვეცეს მომავალ სამსრწავლი წლიდან სკოლა საკუთარ შენობაში გადავიტანოთ. ამ კომისიაში არჩეულ იქმნენ: კნეინა დესპინე გრიგოლის ასული გელოვანისა, თლია დიმიტრის ასული გოგინიძისა, ანთა მთხ ივ. ჯუთელი, გახუ ბ. თურქია, ივანე ზ. ცეცხლაძე და მასელ მ. მაღლაგელიძე.

შემდეგ მდივანი კითხულობს 1912 წლის სარჯო-აღრიცხვას და გამგეობის მოხსენებას მესამე მასწავლებლის მოწვევის საჭიროების შესახებ. კრება სარჯოთალიცხვას ამტკიცებს და მესამე მასწავლებლის მოწვევის საჭიროის გარდაწევერის ანდობის უფლის ამკრებ კომისიასა და გამგეობას და თან ავალებს, თუ სამი საკლასო თთახი მომთავრდა სწავლის დაწესებამდის, უსათუდ მოიწვიოს მესამე მასწავლებლი, რომელსაც თვიურად დაენიშნოს არა უმეტეს თთა თუმნისა თვეში, უბინოდ და უშეშდ.

სარევიზო კომისიაში არჩეულ იქმნენ ბ. ბ. ვასილ ლაზარეს ქე გორგიჩიძე, ისებ ტ. ლოლუა და პავლე შერმანდინის ქე ჭეთნა და მათი კანდიდატებად: ევსეგი ბესარიონის ქე გვათუა და ლევან ალექსის-ქე ალშიძა.

შემდეგ ანთამთხ ივ. ჯუთელის წინადაღებით ქრებამ ერთხმად დაადგინა: „ეთხოვთ მთავარ გამგეობის საზოგადოების რევიზოს ვრცელი აზრი სკოლისა, თუ საზოგადოების საქმეთა მდგრადების შესახებ უფლის წლივ ღრმაზე გამოგვიგზავნოს, რათა მათ შემ-

დება მიეცეს ადგილობრივ საზოგადოების საზოგადო კრებაზე გათვალისწინების, მთელს კეთება მისს დაწესებულებებში".

ამის შემდეგ მიღებულ იქმნენ 75 ახალი წევრი საზოგადოებისა, რომელთ საა საზოგადო სიახლის ერთად იგზავნება.

1912 წ. ხარჯთაღრიცხვა, საზოგადო კრების მიერ მიღებული.

შემოსავალი: (მოსაფლოდნელი)

| | |
|-------------------------------|---------------|
| 1. ნინობაზე შემოვად. | 1048 გ. 53 პ. |
| 2. 20 მაისს სეირნისა. | 405 გ. — |
| 3. ქალაქის სუბსიდია | 300 გ. — |
| 4. ღ. გუდაუთაში შეგროვილი | 84 გ. — |
| 5. ქ. ს. დოლუს მიერ შეგროვილი | 5 გ. 4 პ. |
| 6. საწევრო გადასხადი | 600 გ. — |
| 7. სახლის შემოსავალი | 100 გ. — |
| 8. სეირნისა შემოდგომაზე | 300 გ. — |
| 9. ღ. ოჩამჩირები შეგროვილი | 100 გ. — |
| 10. შემოწირულება | 100 გ. — |
| 11. წარმოდგენა შემოდგომაზე | 240 გ. — |
| სულ | 3282 გ. 57 პ. |

გასაფალი:

| | |
|---|------------|
| 1. გამგეს ჯამაგირი და ბინის ქირა. | 1080 გ. — |
| 2. მსწ. ნ. ქერიძეს ჯამაგირი და ბინის ქირა | 860 გ. — |
| 3. მასწავლებელთ საპენსიო კასაში შესატანი | 72 გ. — |
| 4. მესამე მასწავლებელს თოხის თვის | 160 გ. — |
| 5. გალობის მასწავლებელს ჯამაგირი | 20 გ. — |
| 6. სკოლის მოსამსახურეს | 200 გ. — |
| 7. ბიბლიოთეჭკა | 50 გ. — |
| 8. განათება და გათბობა | 100 გ. — |
| 9. კნცელარია და წვრილმანი. | 50 გ. — |
| 10. 1911 წ. გალი | 109 გ. 54 |
| 11. მოულოდნელი სარჯელი | 120 გ. — |
| 12. სახლის ქირა. | 408 გ. 39 |
| სულ | 3278 გ. 89 |

თავმჯდომარე კნ. გ. ნ. ანჩაბაძისა.

მდივანი ნ. ჯანაშია.

შ ე მ რ ვ ი დ ა

| №№ | | გან. | პ. |
|---|--|------|---------|
| 1) 32 | 1912 წელს 14 სადამთს წმინდა შემოსაფალი | 1048 | 53 |
| 2) 33 | 1912 წ. 20 მაისის სეინობის წმინდა შემოსაფალი | 405 | " |
| 3) 34 | სკოლის ერთი თაახის და სამზარეულოს ქირა შემოვიდა | 85 | " |
| 4) 35 | ქ. სალომე თ. ლოლუას მიერ უულაბით შეგროვილი | 5 | 4 |
| 5) 37 | ქ. სოხუმის თვითმმართველობის სუბსიდია | 300 | " |
| 6) 38 | 1912 წ. 2 სექ. ქ. თეატრში გამართულ „ოქერეტერის“ შემოსავ. | 27 | 92 |
| 7) 39 | 1912 წ. 16 ნოემ. ქ. ბუღდარში გამართულ სეინობიდან შემოვ. | 173 | 61 |
| 8) 40 | თცდა თრ უელაბში, რომელიც გახსნეს გამგების დაღგრილების თანახმად გამგების თავმჯდომარებ კნ. მ. ნ. ახაბაძისამ, წევრმა ბ. ან. ივ. ჭულელმა და მდივანმა ნ. ჯანაშიამ აღ მოჩნდა (იხილე აქმი) | 92 | 39 |
| 9) 41 | თ. ნ. უ. თავდგირიძის მიერ შემოწირული | 25 | " |
| 10) 36 42 | 1912 წელს საწევრო გადასახადი შემოვიდა საგვარეულოდ წიგნა- | | |
| 43...50 | გებით №№ 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, და 10 (მთა- ვარ წიგნში ჩაწერილია შემდეგ №№-ით: 37, 42, 43, 44, 45, 46, 47, 48, 49 და 50) სულ შემოვიდა | 583 | " |
| | | სულ | 2745 49 |
| შენიშვნა. შეცხრე მესამე მთხსენებული 25 წანეთი მთა- ვარ წიგნში ჩაწერილია შეცდომით თ. ნ. თავდგირიძის შემოწირუ- ლებად: შემოწირანილია საამშენებლო ფონდში ჩასარცხად და ამი- ტომ საკრთვე ჯამს ექვება და სამდგრად შემოვიდა თრი ათას შვიდას თცდი მანეთი და 49 პ. | | | |
| | | | 3720 49 |
| | 1913 წლის შემოსაფლიდან ნასესხი | 414 | 6 |
| | | | 3134 55 |

გ ა ვ ი დ ა

| №№ | | მან. | პ. |
|----------|--|------|----|
| 1) 44 | გასტუმრებული იქმნა 1911 წლის გაფი | 109 | 54 |
| 2) 45-46 | მასწავ. ნ. ჯანაშიას და ნ. ქურიძეს მიეცათ საპენსიო ჯასაში შე- სა ტანად | 72 | " |
| 3) 47 | გაფლაბის მასწ. ნ. ქურიძის წლიური ჯამაგირი | 90 | " |
| 4) 48 | სკოლის გამგის ნ ჯანაშიას ჯამაგირი 720 მანეთი და ბინის ქი- ნა 360 მან. სულ | 1080 | " |
| 5) 49 | მასწავ. ნ ქურიძას ჯამაგირი 620 მ. და ბინის ქირა 240 მ. სულ. | 860 | " |
| 6) 50 | მასწავ. თამარა ერ. თავადშეიღლის თოხი თვის ჯამაგირი | 100 | " |
| 7) 51 | ებ. გეგენავას შეიდი თვის სახლის ქირა | 408 | 35 |
| 8) 53 | სკოლის მოსამასებურებელი | 200 | " |
| 9) 54 | ებ. გეგენავას სახლის რემონტი | 23 | 00 |
| 10) 55 | ძმათა შენგელიების ანგარიშით (განათება) | 33 | 3 |
| 11) 57 | ტილო სტოლების საწმენდი 3 მ. 82 კ., წიგნები და „განათ- ლება“ — 5 მ. 70 კ. სულ | 9 | 52 |
| 12) 59 | ლაჭი ქანიას ერთი ურემი შეშის ფასი | 7 | 50 |
| 13) 60 | ა. ზაქარია ს. თურქიას ერთი საჟენი და ერთი ურემი შეშის ფასი . | 30 | " |
| 14) 61 | წვრილმანი ხარჯები | 31 | 50 |
| | სულ სკოლის შენახვაზე დაიხარჯა | 3054 | 44 |
| | გამგებაზე დახარჯული: | | |
| 15) 52 | ნ. ჯანაშიას და პორ. ჯუღელის გამგების საჭმეთა გამო თბილის- ში წასესულებად გზის ხარჯი | 65 | " |
| 16) 56 | ძმათა შენგელიების ანგარიშით (კანცელარია) | 15 | 11 |
| | სულ გამგებაზე | 80 | 11 |
| | მთლად დაიხარჯა 1912 წელს | 3134 | 55 |



ამ რიგად (სამშენებლო) საანგარიშო 1912 წელს შემოვიდა თრთ ათას შევიდის ფრი მანეთი და 40 კაბუკი, ხოლო დაიხარჯა სამი ათას ას თცდა თოთხმეტი მანეთი და თერთმეტი შეური: გადა დაედო გამგებას 1912 წელს ოთხის თოთხმეტი მანეთი და 6 კაბუკი 414 მ. 6 კ.; რომელიც გასტუმრებულ იქმნა 1913 წ. შემოსავლიდან.

თავმჯდომარე კნ. მ. 6. ანჩაბაძისა.

მდივანი 6. ჯანაშია.

მოკლე მოხსენება განკ. გამგეობის მოქმედების შესახებ.

კ. მ. წ. კ. გამავრცელებელ საზოგადოების სახუმის განუთვილების გამგებას საანგარიშო 1912 წელს მტკიცედ გადაწყვეტილი ჭირნდა თავისი სასკოლო შენობა მოქმთავრებიათ. თუ მთლად არა, დაეხურა და რამოღნიმე ათასი მაინცა და ამ შენობაში გადაეტანა თავისი სკოლა, როთაც საშუალება ეძლეოდა მესამე განუთვილება გაეხსნა და მასწავლებელიც მოეწვია. მიუხედავად იმისა, რომ გასულ წელს ქ. სახუმში მეტის-მეტად დაეცა გაჭრობა-მრეწველობა და დიდი კრიზისები დადგა, გამგებაში მაინც მოახერხა რამდენიმედ მაინც მოუკანა სისრულეში ეს თავისი გარდაწყვეტილება: მთელი შენობა დასხურა თუთა გადაერტყო უესტით და სამი საკლასო ათასი მოამთავრა, რის წეალბითაც საშუალება მიუცა შესამე მასწავლებელიც მოეწვია. რა თქმა უნდა, კვლევა ეს საზოგადოების მძიმე უღლად — ტვირთად დაადგა და სკოლის შენახვაც გაუშეირდა: საანგარიშო წლის შემოსავალს გაისავალმა გადაეჭარბა ათხას თოთხმეტი მანეთით. სამწესროდ უსახსრობის მიზეზით გამგეობაში თავისი აზრი სამკითხველს გასწინს შესახებ სისრულეში ვერ მოაუგანა. აგრეთვე ვედარ მთაწყო საკვირაო სკოლაცა.

მდგრძნელე 1913 წელს გამგება იმედოვნების, როგორმე 5—6 ათასი მანეთი სესხი იშვინოს და სასკოლო შენობა მოამთავროს, როთაც საშუალება ეძლევა შეოთხე განუთვილებაც გახსნას მომავალ შემოდგომიდან და თან სახალხო წარმოდგენებიც მოაწეოს. საქმე ის არის, რომ ამ შენობას აქვს ცალპე დიდი დარბაზი (სცენის გარდა, სიგრძით 37 ათშინი, განით კი $10\frac{1}{4}$ ათშინი), რომელიც დაახლოებით დაიტევს 300—350 კაცს. თუ ეს დარბაზი დამთავრდა, კულტურულ საქმესთან ერთად 700—800 მანეთს წმინდათ შემოიტანს. გარდა ამისა დღეს სასკოლო შენობა მოსამსახურის ამარადა დატვებული სწავლის შეწყვეტის შემდეგ, რაცა არ არის სასურველი. თუ მომთავრდა შიგ გამგებაც მიეცემთდა ბინა, როთაც თნახარი მიზანი იქნებოდა მიხეწევლი: საზოგადოების ქონებას შეტი თვალ-უკრის გდება ექნებოდა და თან გამგის ბინის ქირაც შეგირჩებდა: (360 მ.), — მაშასადამე, წლიურად შენობა მოგვცემდა დაახლოებით ათას მანეთამდის, და ეს სულ ითლად გაისტუმრებდა აღებულ სესხს სულ რამდენიმე წლის განმავლობაში. გამგება გადევ ერთხელ სცდის ბედსა და სთხოვს მთავარ გამგეობას — როგორმე ეს სესხი მოუხერხოს და მით სახუმის სკოლა სამუდამოდ შევიდრ ნიადაგზე დააეგნოს. როგორც ზევითაც მოგიხსნე, გამგებას გადაწყვეტილი აქვს მომავალ სამსაწავლო წელში გახსნას მეოთხე განვთვილებაც, მხოლოდ სამწესროდ (მეოთხე მასწავლებელს) უსახსრობისა გამო

ვეღარ მთიწვევს და იმულებულია ფრი-თრი განუთვილება ერთ მასწავლებელს ჩამატების რიცხვისათვის. საკვირაო სკოლის გახსნაც მიუცილებელ საჭიროებათ მიაჩნდა და იმედოგნების იმის მატერიალისაც. რადგანაც სოხუმის სკოლაში სახახვერდ ქალები სწავლით გამოიყო, იმედოგნების, თუ გაზაფხულიდან არა, შემოდგრძიდან სელ-საქმეს სწავლაც მთაწეოს. სამკითხველის გახსნაც აუცილებელია, თუ უსახსრობაში აღარ უდალატის.

გადევ გამტეორებთ, რომ სოხუმის განეთვილების გამტეორებას ნეუროგინი მუშაობა ერთ-თავად დამთკიდებულია სასკოლო შენობის დამთავრებაზე, რასთვისაც აუცილებელია 5—6 ათას მნიშვნელობის სესხის აღება და ამიტომ ხელმეორედ ვიმტეორებ ჩვენს თხოვნის, მთავარ გამტეორებაში როგორმე მოგვიხერხოს ეს სესხი და მით მტკიცე საფუძველი ჩაუყაროს ამ საშვილიშვილ საქმეს ქ. სოხუმში.

თავმჯდომარე კნ. მ. ნ. ანჩაბაძისა.

მდივანი ნ. ჯანაშვილი.



განცხადება

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას აქვს ორი საპრემიო თანხა: უგანათლებულესი თავადის გრიგოლ დადიანისა და ნიკოლოზ ბესარიონის ძის ღოლობერიძის. თ-დ დადიანის სახელობის თანხის სარგებლიდან პრემიად მიეცემა 400 მანეთი ორ წელიწადში ერთხელ; ხოლო ნ. ბ. ღოლობერიძის სახელობის თანხის სარგებლიდან ყოველ წლიდით 300 მანეთი.

1. პრემია მიეცემა იმას, ვინც დასწერს და წარმოადგენს საკონკურსო საუკეთესო თხზულებას შესახებ ქართული ენისა, ისტორიისა, გეოგრაფიისა, ეთნოგრაფიისა, ლიტერატურისა და საზოგადოდ თხზულებას საქართველოს შესახებ. თ-დ დადიანის-სახელობის პრემიის მისაღებად წარმოადგენილი თხზულება უსათურდ ქართულ ენაზე უნდა იყოს დაწერილი; ღოლობერიძის სახელობის პრემიის მისაღებად კი უპირატესობა ეძლევა ქართულ ენაზე დაწერილს თხზულებას. ხოლო საკონკურსოდ შეიძლება წარმოადგენილ იქმნას რუსულსა, არ რომელიმე ეპროპიულ ენასაც.

2. თხზულებას ქართული ენის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ისტორიული გრამატიკა ქართული ენისა - ეთიმოლოგია ან სინტაქსი, ბ) შედარებითი გამოკვლევა ქართული ენის შტოებისა, გ) გამოკვლევა ქართულის ენის უცხო ენებრან შედარებით, დ) ქართული ენის შტოების შედარებითი ლექსიკონი,

ე) ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ვ) უცხო ენებთან მონათესავე ცეკვები როგორ სიტყვების ლექსიკონი, ზ) უცხო ენათაგან შემოსული სიტყვების ლექსიკონი.

3. ოხზულებას ქართული ისტორიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) პოლიტიკური ისტორია საქართველოს მთელი წარსულის ცხოვრებისა ან რომლისამე მის ეპოქისა; ბ) სოციალ-ეკონომიკური ისტორია, სრული ანუ რომლისამე ეპოქისა; გ) საეკლესიო და საზოგადოდ სარწმუნოების ისტორია, როგორც სრული, ისე რომლისამე ეპოქისა; დ) სამხედრო ისტორია, ე) იურისპრუდენცია, ვ) მითოლოგია.

4. ოხზულებას ქართული მწერლობის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ქართული მწერლობის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, ბ) მწერლობის ერთ-ერთი დარგის სრული ან რომლისამე ეპოქის ისტორია, გ) რომლისამე ერთის ან რავდენისამე მწერლის ნაწარმოებთა სრული და ყოველ მხრივი შესწავლა და გამოკვლევა, დ) ქართული მწერლობის დამოკიდებულობა უცხო მწერლობაზე და უკანასკნელის გავლენა პირველზე, როგორც მთლად მთელის ქართულის მწერლობისა, ისე რომლისამე კერძო ეპოქისა, ე) სახალხო სიტყვიერების გამოკვლევა.

თხზულებას ქართული ეთნოგრაფიის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს: ა) ეთნოგრაფიული აღწერა ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა; ბ) შეგროვება და შესწავლა ან და გამოყენება უკვე შეგროვილ მასალისა ქართული ენის სხვა და სხვა კილოკავებიდგან, ხალხურ სიტყვიერებიდგან, ცრუმორწმუნოებიდგან, ზეჩვეულებიდგან, ფიზიკურ აგებულებიდგან. და სხვა და სხვა დარგებიდგან ქართველი ერის რომელიმე ნაწილისა - გამოსარკვევად: 1) ან ქართველი ერის რომელიმე შტოს ნათესაობრივი დამოკიდებულობისა დანარჩენ მის ნაწილებთან, 2) ან მთელი ქართველი ერის ნათესაობრივი ჩამამავლობისა სხვა ერთა შორის.

შენიშვნა: საკმარისია, თუ მკვლევარმა დამუშავა მასალა მარტო ერთ-ერთ ზემოხსენებულ დარგიდგან და ეს მასალა გამოიკვლია ქართველი ერის მარტო ერთი რომელიმე ნაწილის შესახებ.

6. ოხზულებას ქართული მუსიკის შესახებ შეიძლება საგნად ჰქონდეს ა) გამოკვლევა წარმართდოროინდელი ქართული მუსიკისა; ბ) გამოკვლევა ქრისტიანობის მიღების შემდეგი ქართული მუსიკისა, გ) გამოკვლევა იმისა, თუ რა გავლენა იქონია სხვა ერთა მუსიკამ ქართულ ენაზე.

7. საკონკურსო ოხზულება უნდა იქმნას წარდგენილი წერა-კითხვების საზოგადოების კანცელარიაში 1-ლ იანვრამდე 1914 წლისა...

8. საკონკურსო ოხზულება შეიძლება იყენეს ხელთნაწერიც და დაბეჭდილიც, მხოლოდ იმ პირობით, რომ დაბეჭდილი არ იყვეს 1910 წელზე აღრე გამოცემული.

განცხადება

ეროვნული
გიური გორგაძე

გამოვიდა ახალი წიგნი

იაკობ გოგეგაშვილის სახსოვრად



წმინდა შემოსავალი
ამ კრებულისა მოხ-
მარდება სახალხო გა-
ნათლების ფონდს, რო-
მელიც განსვენებულმა
იაკობმა დარსა.

ქართული საზოგადოება
და საზოგადო მომა-
რადების წარმომად
გენერალი გიორგი
გოგებაშვილი
და მის მემკვიდრე
გიორგი გოგებაშვილი

წიგნი შეიცავს 320 გვერდზე მეტს და ლირს 75 კაპ. ამ კრებულში მოთავსე-
ბულია მრავალი იხალი და უკვე დაბეჭდილი მასალები, სიტყვები, დეპეშები და
მოგონებანი განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის შესახებ.

უურნალ „განათლების“ ოედაქციაში იყიდება სურათები განსვენებულის იაკობ
გოგებაშვილისა სკოლებში დასარიგებლად — თითო ცალი ორ შაურად, 50-ზე
50-ზე მეტს დაიბარებს, იმას დაეთმობა 20%.

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობამ უკვე დაბეჭდია
განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის სახელმძღვანელოები „დედა ენა“, „ბუნე-
ბის კარი“ და „Русское Слово“-ს I და II ნაწილი 1913—14 წლისათვის. ეს
სახელმძღვანელოები უკვე მზად არის. „Русское Слово“-ს მეორე ნაწილის ახალ
გამოცემაში, თანახმად განსვენებულის იაკობის ანდერძისა, შეტანილია ზოგიერ-
თი შესწორებანი და 50-მდის ახალი სურათი. წიგნი დაიბეჭდია საუკეთესო ქალა-
დზე და, კარგი გამოცემაც არის ჩვენი სახალხო სკოლების მასწავლებლების
ზნეობრივი მოვალეობაა უკველგან სკოლებში გაავრცელონ ეს სახელმძღვანელო
და მით გაუადვილონ მოსწავლეთ რუსული ენის შესწავლა.

სამეცნიერო-პედაგოგიური და სალიტერ. უურნალი

„განათლება“

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლის თვის.
(წელიწადი მექქსე)

1913 წელში უურნალი „განათლება“ ჩვეულებრივად გამოვა ყოველ-
თვის შუა რიცხვებში გარდა ზაფხულის ორის თვისა. უურნალში იბეჭ-
დება წერილები, როგორც სწავლა-აღზრდის შესახებ, აგრეთვე მეც-
ნიერების სხვა და სხვა დარგიდან და სიტყვა კაზმულ მწერლობიდან;
აქვს თვიური უურნალის ყველა განყოფილება, გამოვა ჩვეულებრივზე
უკეთ დასურათებული. უურნალში მონაწილეობას იდგენ უკეთ ჩვენი საუკეთესო მე-
ცნიერები, მწერლები, პედაგოგები და პოეტები.

იანვრიდან უურნალში იქნება ცალკე განუოფილება, სადაც დაბეჭ-
დება უოველგვარი ცნობები ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-
გადოებისა და მისი განუოფილებათ მოქმედების შესახებ.

წლიური ფასი უურნალისა არის მოთხოვითი (4 ბ.) მხოლოდ
სოფლის მასწავლებლებს და სასოფლო სამკითხველოებს უურნალი
დაეთმობათ წლიურად სამ მათეთად, საზღვარ გარეთ 6 მანეთი. ვინც
წლიურ ფასს უურნანლისას იანვრის ბოლომდის გადიხდის, საჩუქრად
მიიღებს განსვენებულის იაკობ გოგებაშვილის მოზრდილ სურათს.

ხელის მოწერა მიიღება ფილისში: ქართულ გიმნაზიაში, „ნაკადულის“ ოე-
დაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში იგანე ავალიშვილთან.
ქუთაისში ისიდორე კვიცარიძესთან, ბათომში წიგნის მაღაზია „განთიადი“, იმ
ორ ადგილის და სამტრედიაში იყიდება ცალკე ნომრებიც, თითო 40 კაპ.

რედაქცია სთხოვს ხელის მოწერლებს დროზე დაკვეთონ უურნალი.

მისამართი: თიფლის. დვორის გრანის გარეთი. ლ. გ. ბოცვაძე.

რედაქტორ-გამჭერებული ლ. გ. ბოცვაძე.